

დინიანე ბარბი

ბიბლიკალიტი და სოციალური მედიის გავრცელება

საქართველოს



ბიბლიკალიტი

სოციალურ მედიის გავრცელება

თბილისი



World Vision



გმირები საზღუდუმს გატეძე

ითაღგმნა და გამთიცა

კონსულიქტების და მოლაპარაკებების

საერთაშორისო კვლევითი ცენტრის
მიერ World Vision-ის და EED-ის
მხარდაჭერით



2010 წელი

სარჩევნი

აბისინიის მეფე ნეგუს აშამა იბნ აბჯარი —	13
მოსე მაიმონიდი —————	16
ფრანცისკო ასიზელი (1181-1226)	
და აღ-მალიკ აღ-კამილი —————	19
ჯალალ აღ-დინ მუჰამედ რუმი —————	22
ჯალალუდინ მუჰამად აქბარი —————	25
როჯერ უილიამსი —————	28
მოზეს (მოსე) მენდელსონი —————	31
მოზეს მონტეფიორე —————	34
სარა და ანჯელინა გრიმკეები —————	37
რაბინდრანათ თაგორი —————	41
ჰენრიეტა ზოლდი —————	44
მოჰანდას მაჰათმა განდი —————	47
აბდულ გაფარ ხანი —————	50
მურიელ ლესტერი —————	53
ეტი ჰილესუმი —————	56
ალბანელი მუსლიმები ჰოლოკოსტის ჟამს —	58
მარტინ ბუბერი —————	61
ანდრე ტროკმე —————	64
ჰოვარდ თურმანი —————	67
ლანცა დელ ვასტო —————	71
დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი —	74
ფრიც ეიხენბერგი —————	78
აბრაამ იეშუა ჰეშელი —————	81

ჟაკ მარიტენი	85
პ. ა. მუკტი ალი	88
იმამ მუსა ალ-სადრი	91
კრისტინ დე შერჟე	94
სატგურუ სივია სუბრამუნიასვამი	97
შუმარტანა	100
ჰარბჰაჯან სინგჰ ხალსა იოგიჯი	104
კარდინალ აარონ ჟან-მარი ლუსტიგერი	107
გრიგოლ ფერაძე	111
წმ. მარიამ სკობცოვა	115
მერაბ მამარდაშვილი	120
ქეთევან წამებული	124
ლოგორ გამოვიყენოთ წიგნი?	128
განმარტებები	130

წინასიტყვაობა

ამ წიგნის ქართულ ენაზე მომზადების იდეა დენიელ ბათრისთან, ამ წიგნის ავტორთან მორიგი შეხვედრისას გავეჩინდა.

დენიელ ბათრი არის საერთაშორისო კონსულტანტი მშვიდობისა და სამართლიანობის საკითხებში. დენიელი ამერიკის ბაპტისტური ეკლესიის ღვთისმსახურია. იგი უკანასკნელი ათი წლის მანძილზე უძღვება სამშვიდობო პროგრამას და მთელი მსოფლიოს მასშტაბით ესმარება მშვიდობისმყოფელებს. დენიელ ბათრი ავტორია მშვიდობისა და საეკლესიო თემატიკაზე დაწერილი არაერთი წიგნისა და სატრენინგო სახელმძღვანელოსი. მისი სახელმძღვანელო “კონფლიქტის ტრანსფორმაცია” თარგმნილია არაბულ, ჩინურ, ბირმულ, ესპანურ ენებზე.

დენიელ ბათრი საქართველოსთან უკვე მერვე წელია თანამშრომლობს. კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრში იგი უძღვებოდა ტრენინგების ციკლსა და შეხვედრებს.

ჩვენ გარკვეული ხნის განმავლობაში ვფიქრობდით ეთნიკურად და რელიგიური ნიშნით განსხვავებული ხალხების და მათი ცალკეული წარმომადგენლების დადებითი ურთიერთობის სანიმუშო მაგალითების მოძებნას და მათ პუბლიკაციას. ბათრის წიგნმა ახალი იმპულსი მოგვცა და როდესაც მან შემოგვთავაზა ამ თემისადმი მიძღვნილი თავისი კრებულის საქართველოში გამოცემა, ჩვენ ერთუზიანებით შევუდევით თარგმანს.

წიგნი „გმირები საზღვრების გარეშე“ იმ ადამიანებზეა, რომლებმაც თავიანთი მტკიცე რწმენისა და პიროვნულ სიდიადეზე დაყრდნობით გადააბიჯეს ეთნიკურობის და რელიგიის პირობით ჩარჩოებს, თავი

დადეს “სხვისთვის” და მთელი თავიანთი მოღვაწეობით ჰუმანიზმის და ადამიანთა დაახლოების იდეალებს ემსახურებოდნენ.

მათი ცხოვრება რთული, ხშირად ტრაგიკული და მტივნეული გამოცდილებებით სავსე იყო. მათი ქცევა კი, სხვებისთვის გამოწვევა. ისინი არ უშინდებოდნენ რთულ გარემოებებს, ხალხებსა და რელიგიებს შორის მწვავევად დაპირისპირებას, სიძულვილს და გაუცხოებას, არ უშინდებოდნენ პირდაპირ მუქარას მათ მიმართ, “თავისიანების” მხრიდან გარიყვის საფრთხეს, ტყვიებს, გაზის კამერებსა თუ წამებას. ამიტომ ისინი გმირები არიან.

როდესაც ტექსტზე მუშაობას შევუდექით, გაგვიჩნდა დანაკლისის გრძნობა, რადგან წიგნში არ იყო შესული არც ერთი ადამიანი, გმირი ჩვენთვის ახლობელი – აღმოსავლეთ ევროპის სივრციდან. ბათრიმ თვითონ გამოთქვა სურვილი, რომ დაგვემატებინა ასეთი ადამიანები. ამ გამოცემაში შევიყვანეთ რამდენიმე გმირი, რომელიც თავისი მოღვაწეობით წიგნისთვის შერჩეულ კრიტერიუმებს შეესაბამებოდა. აქ საქართველოსთვის საამაყო ადამიანებიც არიან. ასევე შევარჩიეთ ამ თვალსაზრისით გამორჩეული რუსი მოღვაწეც.

იმედი გვაქვს, რომ თქვენც გატაცებით წაიკითხავთ ამ არაჩვეულებრივი ადამიანების ბიოგრაფიებს და გაგინდებათ სურვილი, გაუზიაროთ სხვებს.

აქვე მადლობა გვინდა ვუთხრათ იმ ადამიანებს, ვინც აქტიურად და ინტერესით ჩაერთო ამ წიგნის მომზადებაში. პირველ რიგში დენიელ ბათრის, რომელმაც ეს წიგნი შექმნა და კეთილი ნება გამოიჩინა, რომ ის ქართულად გვეთარგმა და გამოგვეცა; საერთაშორისო ორგანიზაცია World Vision-ს, რომელიც დაინტერესდა ამ პროექტით და ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა; ბატონ ნუგზარ პაპუაშვილს და ბექა მინდიაშვილს

დამატებითი ტექსტების მომზადებისათვის; მთარგმნელთა ჯგუფს „კონფლიქტებისა და მოლაპარაკების საერთაშორისო კვლევითი ცენტრიდან“, რომლებმაც ძალიან სწრაფად და მოტივირებულად იმუშავეს ამ წიგნისათვის საბოლოო სახის მისაცემად.

ავტორის შესავალი

Titoeul i rel igiuri tradicia pativs scems Tavisi liderebis mdidar sias, roml ebmac Camoayal ibes rwnena. mraval i maTgani cxovreba namdvil ad samagal iTo da misabaZia dResac. magram zogierTi maTgani Cveni STagonebis wyaroa imitom, rom isini mSvidobis maZiebel ni iyvnen, roml ebmac gabedes da gascdnen Tavisi sarwmunoebis sazRvrebs, raTa gaeerTianeбинаT sxvadasxva sarwmunoebis xal xi.

zogierTi maTgani CvenTvis kargad cnobilia. danarCenebis Sesaxeb am istoriebidan pirvel ad SeityobT. zogierTi iyo rel igiuri lideri, zogierTi _ saxel mwifo mmarTveli da Zal aufl ebis mqone, zogi ki _ ubral o adamiani, roml ebmac warmoaCines TavianTi Zal a xasiaTis araCveul ebrivi Tvisebebis wyal obiT.

am 35 biografiul i sketCis kol eqciaSi gaecnobiT da SexvdebiT xal xs, roml ebmac daasrul es da gaaRrmaves RmerTis sakuTari gageba da gansazRvres, Tu ras niSnavs, iyo adamiani, vinaidan sxva sul ieri perspeqtivebi SexvdaT.

sxva sarwmunoebis adamianeბTan TanamSroml obisas xSirad riskavdnen, radgan SiSisa da Zal adobis Suagul Si imyofebodnen. zogierTma sicocxl ec ki Seswira, raTa mxari daeWira sxva sarwmunoebis adamianeბisTvis.

sxvadasxva sarwmunoebრივი tradiciis matarebel Titoeul am gmirs, romel ic SegxvdebaT am wignSi, gaaCnia sul ieri siRrme, roml idanac bevrs viswavl iT.

isini dResac gvexmianeბian gasul i saukuneბidan. maTi cxovreba badebs maradiul kiTxvas: erTiandeba Tu iyofa Cveni sakuTari rwnena. mivesal meბiT am gmireბis mraval ferovan sarwmunoebas, roml ebsac aq SevxvdeბiT? Tu gveSinia amis? kvლ av davuSveბT konfl iqts?

am wigns mraval i STagonebis wyaro gaaCnia, waaxal isebs mraval axl adSeqmnil sazogadoebriv gaerTianebas, Seqmnas mraval sarwmunoebrivi sazogadoeba. am istoriebSi Tqven amoikiTxavT sakuTar anarekl s, dausvamT kiTxvebs sakuTar Tavs. Aan SegiZliaT igi gamoiyenoT Tqvenive sarwmunoebis jgufis warmomadgenl ebTan, sxvadasxva sarwmunoebis Seswavlisa da diskusiis jgufebSi. wignis bol os SemogTavazebT garkveul winadadebebs Seswavlisa da moqmedebisaTvis.

Tqven SegiZliaT es magaliTebi sxvadasxva sarwmunoebidan gamoiyenoT, rogorc gmirobis nimuSi Zaladobis winaaRmdeg mSvidobisTvis brZolasi. religiuri niadagis konfliqtebi mZvinvarebs msofi ios sxvadasxva kuTxeSi. 21-e saukunis udidedi kiTxvaa _ rogor SeiZleba Cveni Tanacxovreba, rodesac Cveni warsuli aseTi gansxvavebulia? viswavl iT erTmaneTisgan? viTanamSroml ebT, raTa SevqmnaT ukeTesi samyaro?

“Semdgomi nabijebis” nawili wignis dasarul uzrunvel yofs zogad xel mZRvanel obas Cveni momclevno moqmedebebis Sesaxeb sxvebTan mimarTebaSi Cvens sazogadoebaSi. sarwmunoeba da gansxvaveba sarwmunoebebis Soris – esaa is msofi io probl ema, roml is gadaWris gzebi unda gamovnaxoT am axal aTaswl eul Si.

dae, gagvinaTos gza am istoriebma.

vियोT Rirsni, vidgeT momaval TaobaTa Soris.

დღინელ ბათია.
მინიგონა. ჟღერდგონა 2007.

შესავალი ქართული გამოცემისათვის

დენიელ ბათრი

თითოეულ ქვეყანას კონფლიქტებისა და სისხლისღვრის საკუთარი ისტორია აქვს. ხშირად ამ უბედურებას რელიგიური განზომილებაც ახლავს. მე ბევრჯერ ჩამოვსულვარ საქართველოში და ამ ვიზიტების დროს მრავალი ასეთი ამბავი მსმენია საქართველოს ძველი და უახლესი ისტორიიდან. როდესაც საუბარია რელიგიურ შეუწყნარებლობასა და კონფლიქტზე, საქართველო არ არის გამონაკლისი, მაგრამ ეს წიგნი ასეთ ამბებს არ ეხება.

ამ წიგნში მოთხრობილია ისეთი ამბები, რომლებსაც, როგორც წესი, არ ექცევა სათანადო ყურადღება. ეს არის ისტორიები იმედის შესახებ. ჩვენი წიგნი მოგვითხრობს ადამიანებზე, რომლებმაც გადალახეს რელიგიური საზღვრები, დაძლიეს განსხვავებები და ეს ყველაფერი შეძლეს რწმენის ძალით და ღვთისნიერი ქცევით. ვერც ერთი რელიგია ვერ გამოაცხადებს მონოპოლიას ამგვარ რელიგიათაშორის სიმამცეზე. ყოველ რელიგიაში გხვდებიან ადამიანები, რომლებმაც თავიანთი რელიგიური ტრადიციიდან გამოიტანეს საუკეთესო და უნივერსალურად ჰუმანური საქციელი დაგვიტოვეს. ეს იყო ღვთიური ძალით შთაგონებული სიყვარული თუ სამართლიანობისთვის ბრძოლა კონფლიქტის დროს, რომელიც სხვებმა ღმერთის სახელით გააჩაღეს. ჩვენ ვისხენებთ ისტორიებს ადამიანებზე, რომლებიც გავიდნენ კონფლიქტის მხარეების ინტერესთა მიღმა და გადალახეს განსხვავებულობის ბარიერები. აქ მოთხრობილი ზოგიერთი ამბავი ქართულ სინამდვილეზეა, თუმცა უმეტესობა შორეულ ქვეყნებში ხდებოდა. ყველა ეს ამბავი გმირობის ისტორიაა.

ამ ადამიანთაგან ზოგიერთს ყველა კარგად იცნობს. დანარჩენები არც ისე ცნობილი არიან ან შეიძლება უკვე დავიწყებულნიც. ზოგი გმირი უცნობი რჩება, რადგანაც სხვა ქვეყნის ან რელიგიის წარმომადგენელია. მაგრამ ეს ისტორიები ნამდვილად მოსათხრობია, ვინაიდან ისინი შთაგვაგონებენ და გვაძლიერებენ. როგორც საქართველოში მოღვაწე, ისე სხვა ქვეყნების გმირები არ გაუბოდნენ სიძნელეებს და მამაცურად ემსახურებოდნენ თავიანთ იდეებს.

დღეს რელიგიისათვის თავდადებული ადრინდელი მოწამისაგან განსხვავებული სიმამაცეა საჭირო. დღევანდელი გმირის გამბედაობა ვლინდება სხვა სარწმუნოების მიმდევრების მხარდაჭერითა და პატივისცემით. ეს გმირები ახალ ცოდნას უძებნენ გულისკარს, ზრუნავენ, თუ როგორ ავაგოთ უფრო მშვიდობიანი და სამართლიანი საზოგადოება. ყველაზე მწვავე კრიტიკა და მიუღებლობა ამ საქმეში შეიძლება ჩვენს საკუთარ წრესა და რელიგიაში შეგვხვდეს, რადგანაც ყველა რელიგიური ტრადიციის შიგნით არსებობს აბსოლუტური და ექსკლუზიური ჭეშმარიტების პრეტენზია. რელიგიის ადეპტები ძალადობრივად იცავენ ღმერთის საკუთარ გაგებას. ღმერთის სახელით ესხმიან თავს და კლავენ. ზოგან ასეთი აბსოლუტისტები მართლმადიდებლები არიან, სხვანაირი – მუსლიმები, პროტესტანტები ან კიდევ ინდუისტები. ზოგიერთ ქვეყანაში ამ პოზიციას იუდაისტები ატარებენ, სხვანაირი – კათოლიკები. იმავდროულად, ამ ქვეყნებში არიან განსაკუთრებული გამბედაობის მქონე მართლმადიდებლური, კათოლიკური, მუსლიმური, იუდაური, ინდუისტური და პროტესტანტური რწმენის ადამიანებიც. ისინი იყვნენ ნამდვილი გმირები და რწმენის დამცველები და არა დამანგრეველები, მათ მიუძღვით წვლილი რელიგიათაშორისი ხიდეების შენებაში.

რა არის საქართველო? ვინ არიან ქართველები? ეს არ

არის მარტივი შეკითხვა და ბევრ წინააღმდეგობრივ მოსაზრებასაც შეიცავს. ჩემთვის, პირადად, საქართველო მეტად კონტრასტულია: ერთი მხრივ, ესაა ურბანული თბილისი, მეორე მხრივ, ღრმა ტრადიციების მქონე სოფლები, ესაა ერთდოულად ხრიოკი უდაბნოები და მარადთოვლიანი მწვერვალები, პალმებიანი ზღვის სანაპირო და მზიან ბორცვებზე გაშენებული თვალუწვდენელი ვენახები. ეს ყველაფერი უაღრესად მრავალფეროვანი საქართველოა. ვინ არის საქართველოში მცხოვრები ხალხი? ხატების წინაშე მლოცველი მართლმადიდებლები, ებრაელები, რომლებიც საუკუნეების მანძილზე პასექს აღნიშნავენ, ალაჰის წინაშე მუხლმოდრეკილი მუსლიმები, ბაპტისტები, კათოლიკეები, ლუთერელები – ქრისტიანები, რომლებიც სხვადასხვა სიტყვებით ერთ ღმერთს აღიღებენ; იეზიდები, რომლებიც მზის ამოსვლას ეთაყვანებიან ქვეყანაში, რომელმაც თავშესაფარი მისცა. და, რა თქმა უნდა, ადამიანები, რომლებიც არ მიეკუთვნებიან რელიგიას, მაგრამ იღვწიან ადამიანთა კეთილდღეობისთვის. საქართველოს მოსახლეობა ისეთივე მრავალფეროვანია, როგორც მისი ბუნება.

მაშ, რას ეფუძნება ჩვენი მეობა? როგორ შევქმენით ჩვენი ერთობა? ყველა მცდელობა, რომ ადამიანები ერთნაირები გამხდარიყვნენ, წარუმატებელი იყო და ხშირად სისხლისღვრით მთავრდებოდა. ერთობის საუკეთესო საფუძველი მისი ერთობლივი აღმოჩენა გამოდგა იმ განსხვავებული ხალხის მიერ, ვინც ერთად მოიყარა თავი, ილაპარაკა, ისწავლა ერთმანეთისგან და შექმნა საერთო საზოგადოება.

საქართველოში ჩემი ერთ-ერთი ვიზიტის დროს დამპატიჟეს ბაპტისტურ ეკლესიაში, რათა გადამეხადა ლონდონში ტერორისტების მსხვერპლთა მოხსენიების პარაკლისი. იქ თავი მოიყარეს მართლმადიდებელმა, კათოლიკე და პროტესტანტმა ქართველებმა. იქვე იყვნენ საქართველოში მცხოვრები მუსლიმები და ებრაელები.

ისინი ქართველები ან სხვა ეროვნების საქართველოს მოქალაქეები იყვნენ. ერთად იგლოვეს, ერთად წამოწიეს თავიანთი რწმენიდან კუმანიზმის იდეალები და ადამიანებისათვის საუკეთესო სურვილები. იმედითა და რწმენით ერთად დაგმეს ძალადობა. ახლა დროა, ჩვენ გავხდეთ იმედითა და რწმენით ადამიანთა დამაკავშირებელი გმირები, რომლებიც ასე სჭირდებიან საქართველოსა და მსოფლიოს.

თავი პირველი

აბისინიის მეფე ნეგუს აშამა იბნ აბჯარი (630)

მეშვიდე საუკუნის დასაწყისში აბისინიის სამეფოს (დღევანდელი ეთიოპიის ნაწილი) მართავდა მეფე ნეგუს აშამა იბნ აბჯარი. ნეგუსი საკუთარი სახელია, მაგრამ მეფესაც ნიშნავს. სხვადასხვა წყარო მეფეს როგორც ნეგუსად, ისე აშამა იბნ აბჯარადც მოიხსენიებს. აქსუმის ისტორიამ ცოტა რამ შემოგვინახა, ამიტომ ბევრი საკითხი საიდუმლოებითაა მოცული; ის კი ცნობილია, რომ ეთიოპიის ეს რეგიონი ერთ-ერთი პირველი იყო იმ ქვეყნებს შორის, რომელთაც ქრისტიანობა მიიღეს.

აბისინიიდან წითელი ზღვის გადაღმა არაბეთში ახალი რელიგიური ტრადიცია გავრცელდა. მუჰამედი, რომელსაც ჰქონდა ზეშთაგონება, უზიარებდა მას თავის მიმდევართა პატარა ჯგუფს. როგორც კი აღამიანები დაინტერესდნენ მუჰამედის სწავლებით და დაიწყეს ახალი რწმენის გაზიარება, მექაში მყოფმა წარმართებმა იწყეს მუჰამედის მიმდევართა დევნა, ისინი დასცინოდნენ და შეურაცხყოფდნენ მუსლიმებს. მათ მოწინააღმდეგეებს კი პატიმრობა ელოდათ. ბევრი მუსლიმი გარდაიცვალა. თავად მუჰამედს მფარველობდა ბიძამისი, რომელმაც გააფრთხილა დაუცველი მუსლიმები, რომ გახიზნულიყვნენ აბისინიაში, სახალხოდ ცნობილი მოწყალე და სამართლიანი მეფის სამფლობელოში.

გვიან ღამით 11 მუსლიმი აბისინიაში გადავიდა. ისინი შეიფარა მეფე ნეგუსმა. ამის შემდეგ კიდევ 83 მუსლიმი შეეხიზნა აბისინიას. როდესაც მექაში (მექა ასევე ცნობილია, როგორც ქურაიში) შეიტყვეს არაბეთში გახიზნულ მუსლიმთა შესახებ, მათ მეფე ნეგუსს ძვირფასი საჩუქრებით ხელდამშვენებული ელჩი გაუგზავნეს, რათა უკან გამოეთხოვათ მათ მიერ

დევნილი ადამიანები.

მეფეს მრჩეველები სთხოვდნენ, შეესრულებინა მექელთა თხოვნა, მაგრამ მან, უპირველეს ყოვლისა, მოიწვია ორივე მხარე, რათა მის წინაშე განესაჯათ შექმნილი მდგომარეობა. დევნილ მუსლიმთა მჭევრმეტყველმა წარმომადგენელმა, ჰადრატ ჯა'ფარადია ალაჰუ ანჰუმ უამბო მათ იმ უსასოლო ყოფაზე, სანამ მუჰამედი გამოჩნდებოდა მათ ცხოვრებაში, დაიწყებდა ქადაგებას და მოუწოდებდა მათ, ეცხოვრათ ლოცვითა და სამართლიანობით. ასევე ითქვა მათი დევნისა და წამების შესახებაც.

როდესაც ჯერი მიდგა ქურაიშის წარმომადგენელზე, მან წამოაყენა საკითხი, თუ რითი განსხვავდებოდნენ მუსლიმები და ქრისტიანები იესოს ბუნებასთან მიმართებაში. იგი ცდილობდა, წინ წამოეწია მკვეთრი განსხვავებები, რათა მეფე ნეგუსი მექელთა მოკავშირედ ექცია მუსლიმთა განსადევნად. მაგრამ მეფე ჭკვიანი და სამართლიანი პიროვნება იყო, მან სიტყვა ისევ მუსლიმებს მისცა. მუსლიმებმა იწყეს საუბარი ყურანის ენით, სადაც აღწერილია იესო და ქალწული მარიამის მიერ მისი შობა.

დიდი ბჭობის შემდეგ მეფემ აიღო პატარა ჯოხი და განაცხადა: “უფიცავ, რომ განსხვავება ამ ორ მრწამსს შორის იესოს შესახებ არ აღემატება ამ პატარა ჯოხის სიდიდეს.”

მან უარით გაისტუმრა მექელი სტუმრები და დაუბრუნა ყველა ის ძვირფასი ძღვენი, რითაც ისინი იმედოვნებდნენ მეფის გადაწყვეტილების შეცვლას. მეფე ნეგუსის მიერ მე-7 საუკუნეში ჩადენილი საქციელი საამაყოა დღესდღეობით ეთიოპიაში მცხოვრები მუსლიმი თუ ქრისტიანი საზოგადოებისთვის.

კითხვები გააზრებისათვის:

- გვსურს თუ არა, დავეხმაროთ ჩვენს ქვეყანაში ჩამოსულ დევნილებს მაშინაც კი, თუ ისინი სხვა რელიგიის წარმომადგენლები არიან?
- გამახვილებთ თუ არა ყურადღებას ჩვენ შორის არსებულ სხვაობებზე და ამ სხვაობებზე დაყრდნობით ვაკლებთ თუ არა მზრუნველობას იმ ადამიანებს, რომლებსაც ის სჭირდებათ?
თუ ეფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენ ერთნაირები ვართ და ანგარიშს ვუწვევთ გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფებს მოწყალებითა და სიკეთით?



თავი მეორე

მოსე მაიმონიდი (1135-1204)

მე-12 ს-ში მოღვაწე ფილოსოფოსი მოსე მაიმონიდი შუა საუკუნეების ყველაზე დიდი ფილოსოფოსი იყო. იგი ასევე იყო დიდგვირი ალფადილის და სულთან სალადინ ეგვიპტელის კარზე, რაბინი და მეცნიერი. მოსე დაიბადა ესპანეთში, სწორედ იმ პერიოდში, როდესაც კორდოვაში ებრაული კულტურის ოქროს ხანა იდგა.

თუმცა მაშინ, როდესაც აღმოჰადებმა, რადიკალურმა ისლამურმა სექტამ, დაიპყრო კორდოვა, სიკვდილით დასჯით დაემუქრნენ იმ ებრაელებს, რომლებიც ისლამს არ მიიღებდნენ. მაიმონიდი სხვა ებრაელებთან ერთად ესპანეთიდან გაიხიზნა, მან თავშესაფარი მაროკოში ჰპოვა, უფრო ზომიერ მუსლიმურ თემში. კაიროს მუსლიმებმა დიდი სტუმართმოყვარეობა გამოიჩინეს, მაიმონიდმა კი მთელი ცხოვრება იქ გაატარა.

მაიმონიდი იყო ყველაზე დიდი ებრაელი მოაზროვნე, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა იუდაიზმის ფილოსოფიას. მან განიხილა მთელი მიწა – ებრაული

ტექსტების უძველესი კრებული, რომელშიც შესულია ცხოვრების რწმენის კანონთა კოდექსი. მან მოაგროვა თორაში შესული 600-ზე მეტი მცნება ებრაელთა ცხოვრებაზე. ასევე გაშიფრა 13 საღვთო წერილი, რომლებიც დღესაც მოცემულია ბევრ ებრაულ ლოცვის წიგნში.

მაიმონიდი ცნობილი იყო, როგორც დიდი მოაზროვნე და სწავლული. მან დაწერა სამედიცინო შრომები არაბულ ენაზე, რომელიც შემდეგ მრავალ ენაზე ითარგმნა და დღესაც ხელმისაწვდომია. მაიმონიდი სწავლობდა არისტოტელეს, ასევე არაბი მუსლიმი ფილოსოფოსების, იბნ რუშდისა და ალ-ღაზალის მოძღვრებებს.

მაიმონიდი დიდი მონდომებით იკვლევდა მეცნიერულ ნაშრომებსა და სწავლებებს, რათა ისინი საკუთარ რწმენასთან შეეთანხმებინა. მისი აზრით, არაფერი იყო ურთიერთსაწინააღმდეგო იმაში, რაც ღმერთმა დაანახვა წინასწარმეტყველებს და რასაც მეცნიერებამ და ადამიანის გონებამ მიაკვლია. მაიმონიდის სქოლასტიკურმა ფილოსოფიამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ქრისტიან ფილოსოფოსებზე: თომას აქვინელზე, ღუნ სკოტზე; მან ასევე მოხიბლა არაბი ფილოსოფოსები, რომლებიც მას უკვე თავიანთი წრის წარმომადგენლად აღიქვამდნენ. ეს ახალბედა ფილოსოფოსი არ იყო ჩაკეტილი ერთფეროვნებაში, იგი იცნობდა კულტურის უამრავ დარგს, ამიტომაც მისმა გამოცდილებამ გაამდიდრა როგორც საკუთარი, ისე სხვათა ტრადიციები და რწმენები. იგი იცავდა საკუთარი ებრაული რწმენის ფესვებს და, ამასთან, მან დააკავშირა უძველესი ელინისტურ-რომაული, შუა საუკუნეების არაბული, ებრაული და დასავლური კულტურები.

კითხვები გააზრებისათვის:

- რა ვიციოთ სხვა კულტურისა და სარწმუნოების ტრადიციებსა და სწავლებებზე?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ რაიმე სასარგებლო, რაც შეგიძენიათ სხვა აღმსარებლობის მეგობრისგან, მეზობლისა თუ თანამშრომლისგან?
- შეგიძლია თუ არა განსხვავებული ტრადიციების ურთიერთქმედებით გავამდიდროთ და დავხვეწოთ ჩვენი რელიგიური ნააზრვეი და გამონათქვამები?
- ვცნობთ თუ არა მიზეზად რელიგიურ განსხვავებას იმ ადამიანთა შორის, ვინც ერთმანეთს უსამართლოდ ეპყრობა, ხოლო ის, ვინც იმავე რელიგიის ერთგულია, მოწყალება და აღმოუჩენს თავშესაფარს დევნილს?



თავი მესამე

ფრანცისკო ასიზელი (1181-1226) და ალ-მალიკ ალ-კამილი (1180-1238)

მე-13 ს-ის დასაწყისში, ჯვაროსნული ლაშქრობების ყველაზე ცხელ პერიოდში, ერთმა ქრისტიანმა და ერთმა მუსლიმმა გაბედეს ბრძოლის ხაზის გადაკვეთა. მათმა დიალოგმა ორივე გააოცა. შედეგად შემუშავდა მშვიდობის მიღწევის რისკიანი მოდელი.

ფრანცისკო ასიზელი დაიბადა შეძლებულ ოჯახში. იგი გაემგზავრა, როგორც რაინდი იტალიის ქალაქ-სახელმწიფოებს შორის მიმდინარე ომებში საბრძოლველად. სასულიერო კრიზისის შემდეგ ფრანცისკოს ცხოვრებაში მოხდა გარდატეხა, მან თავი მიუძღვნა რომაული კათოლიკური ეკლესიის სულიერ აღორძინებას. მისი სულიერება გამსჭვალული იყო უბრალოებით, ღატაკთა შებრალებითა და ღვთის დანახვით მდაბიოთა შორის. ამ ღირებულებებზე დაყრდნობით მან ჩამოაყალიბა ფრანცისკანული საზოგადოება, შემდგომში ფრანცისკანულ ორდენად წოდებული.

ბული.

ფრანცისკო იბრძოდა ძალადობის წინააღმდეგ მაშინ, როდესაც ეკლესია ჯვაროსანთა ე.წ. “წმინდა ძალადობაში” იყო ჩართული. ჯვაროსანთა სისასტიკით შეძრწუნებულმა ფრანცისკომ დამიეტასთან ბრძოლის დროს გადაკვეთა ბრძოლის ველი და პირადად ეწვია მტერს ბანაკში. ეს იყო სულთანის ალ-მალიკ ალ-კამილი. ფრანცისკომ სულთანს თავისი მრწამსი უქადაგა, რაც შეიძლებოდა სიცოცხლის ფასად დასჯდომოდა. თუმცა, მისდა გასაკვირად, იგი გულთბილად მიიღეს. კამილი გახლდათ დიდი სამხედრო ბელადის, სალადინის ძმისწული, რომელმაც მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობაში დაამარცხა ევროპელი რაინდები. იგი გააოცა ფრანცისკოს სიმამაცემ და გამბედაობამ და სთხოვა ბერს, დარჩენილიყო ერთკვირიანი მოლაპარაკებებისთვის. ფრანცისკოზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა მუსლიმთა ერთგულებამ, იგი განსაკუთრებით მოიხიბლა ღოცვის წესით და კრიალოსანის ხმარების კულტურით. ზოგიერთი სწავლულის თქმით, ფრანცისკომ ეს ტრადიცია ევროპაში ჩამოიტანა. არც ფრანცისკოს და არც ალ-კამილს რჯული არ შეუცვლიათ, მაგრამ ისინი მეგობრებად დაშორდნენ ერთმანეთს, მოიპოვეს ურთიერთპატივისცემა და ბევრი რამ ისწავლეს ერთმანეთისგან.

ამ შესვენების შემდეგ ევროპაში დაბრუნებული ფრანცისკო ცდილობდა, დაერწმუნებინა კარდინალი პელაგიუს გალვანი, რომ სულთანთან მშვიდობა დაემყარებინა, მაგრამ ამაოდ. ერთი მხრივ, სულთანი ალ-კამილი მზად იყო მშვიდობის დასამყარებლად. გამარჯვების შემდეგ მან შემწეუნარებლობა გამოიხინა დამარცხებული ჯვაროსნების მიმართ, რაც სრულიად არ ჰგავდა ჯვაროსანთა საქციელს, როდესაც მათ ხელში ჩაიგდეს დამიეტა.

საბოლოოდ კი ალ-კამილმა 1229 წელს შეძლო წარმატებული სამშვიდობო მოლაპარაკება ფრიდრიხ II-

კითხვები გააზრებისათვის:

- *გაიხსენეთ მსოფლიოში მიმდინარე ომები. ეწვეოდით თუ არა მტერს პანაკში მისი სტუმართმოყვარეობის იმედით? დაასახელეთ ადამიანი, რომელიც ჩაიდენდა მხგავს საქციელს.*
- *გაუოცებისხართ ოდესმე ადამიანს, რომელიც მტრად მიგანჩნდათ?*
- *ნაიფიქრე ვინმე, რომელ ზეც ფიქრობ, რომ შენი მტერია. რა ნაბიჯებს გადადგამდით მასთან მოსალაპარაკებლად?*



თავი მეოთხე ჯალალ ად-დინ მუჰამედ რუმი

ჯალალ ად-დინ რუმი გახლდათ სპარსი მუს-ლიმი პოეტი და მისტიკოსი ღვთისმეტყველი, რომელიც ცხოვრობდა მე-13 ს-ში. იგი დაიბადა სპარსეთში, ქალაქ ბალხში, რომელიც დღევანდელი ავღანეთის ტერიტორიაზეა. იგი ბავშვი იყო, როდესაც ამ რეგიონს მონღოლი დამპყრობლები შემოესივნენ. მის ოჯახს გახიზნვა მოუხდა და ხანგრძლივი დევნილობის შემდეგ ისინი საბოლოოდ აზიაში, ანატოლიაში დასახლდნენ, დღევანდელი თურქეთის ტერიტორიაზე.

ცხოვრების მანძილზე რუმის ბევრი პოლიტიკური თუ სოციალური კონფლიქტის გადალახვა მოუხდა. მისი ოჯახი მოექცა ორმხრივ მარწუხებში, ერთი მხრივ, აღმოსავლეთიდან მოსული მონღოლი დამპყრობლებისგან, მეორე მხრივ, დასავლეთიდან ჯვაროსანთა მხრიდან.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა რუმი ცნობილი იყო, როგორც მუსლიმი ვეჭილი და სწავლული. იგი დაუმეგობრდა ერთ უცნაურ მისტიკოს დერვიშს, სახელად შამს-ე-თაბრიზს, რაც ნიშნავს შამს ქალაქ თაბრიზიდან.

შამშამა რუმის დაანახვა მისტიციზმის საოცარი სიღრმე. ეს ადამიანები ძალიან დამეგობრდნენ და ერთმანეთს დიდ ცოდნას უზიარებდნენ. თუმცა, ერთ დამეს შამი მოკლეს. როგორც ამბობდნენ, ეს რუმის ეჭვიანმა მიმდევრებმა ჩაიდინეს.

რუმიმ მეგობრის სიკვდილით განცდილი მწუხარება ჩააქსოვა პოეზიაში, რომელიც კარგად ასახავდა მის ხედვასა და შემოქმედებით ნიჭს. მისი ლექსების დიდი ნაწილი ცნობილია ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული მოულოდნელობების საოცარი გამოხატვით. სპარსულ ენაზე დაწერილ მის ლექსებს დღესაც კითხულობენ ცენტრალურ აზიასა და ახლო აღმოსავლეთში, თარგმანების წყალობით ის მთელ მსოფლიოშიც კარგად არის ცნობილი. რუმიმ დაწერა ლექსები არაბულ, ბერძნულ და თურქულ ენებზეც.

რუმიმ აღმოაცენა ისეთი თემები, რომლებიც სუფისტების შეხედულებებისათვის ცენტრალურია, მაგალითად ისეთი, როგორიცაა ერთობა და სამართლიანობისაკენ ლტოლვა. მას სჯეროდა, რომ მუსიკა, პოეზია და ცეკვა ადამიანს ღვთისაკენ მიმავალ გზას უკვლევდა. რუმის გარდაცვალების შემდეგ მისმა სწავლებამ ხელი შეუწყო “მბრუნავი დერვიშების” მეღვევის ორდენის შექმნას. მათ დადგეს საღვთო ცეკვა, რომელიც გამოხატავს მისტიკურ მოგზაურობას გონებასა და სიყვარულში “სრულყოფილების” მოსაპოვებლად. რუმი ამბობდა, რომ მისტიკური მოგზაურობიდან დაბრუნებულ ადამიანს შეეძლო სიყვარული და ხდებოდა შემოქმედი ყოველგვარი ცრურწმენის გარეშე, იმ ცრურწმენისა, რომელიც განარჩევს ადამიანებს რწმენის, რასის, გვარისა და წარმომავლობის მიხედვით.

რუმი ადრეულ ასაკში ცხოვრობდა რელიგიურად მრავალფეროვან გარემოში. ბაღსში ერთად იყვნენ თავმოყრილნი ბუდისტები, მაჰმადიანები, ზოროასტრელები, იუდეველები და ქრისტიანები. რუმი ყველა ამ განსხვავებული რელიგიური ტრადიციების მქონე ადამიანებთან მეგობრობდა. რუმი ღვთისმომადგენელად მუს-

ლიმი იყო. ის თავის ერთ-ერთ ლექსში წერს: “მე არ ვარ ქრისტიანი, არც ებრაელი, არც ზოროასტრელი და არც მუსლიმი”. ეს სიტყვები არ გამოხატავს იმას, რომ იგი იყო ურწმუნო, პირიქით, ამით ჩანს, რომ რუმის სწამდა სიკეთისა და ერთი ღმერთისა, რომელიც ყველაზე დიდია და სწვდება ყველას სულს.

პირად ცხოვრებასა თუ პოეზიაში რუმიმ რელიგიებს შორის სხვაობები გადალახა. მისი პირველი ცოლი იყო მუსლიმი, რომლის გარდაცვალების შემდეგაც იგი ქრისტიან ქალზე დაქორწინდა. იმ პერიოდში ქრისტიანი და მუსლიმი მეომრები ჩართულნი იყვნენ ჯვაროსანთა სისხლისმღვრელ ბრძოლებში. რუმის გარდაცვალების სამგლოვიარო ცერემონია 40 დღე გაგრძელდა, მასში მონაწილეობდნენ მგლოვიარე მუსლიმები, ქრისტიანები და ებრაელები, ასევე ადამიანები საბერძნეთიდან, არაბეთიდან და სპარსეთიდან.

რუმი მართლაც ის ადამიანი იყო, რომლის გული და პოეზია ეფერებოდა მთელ კაცობრიობას. აქ მოცემულია რამდენიმე სტრიქონი მისი უდიდესი პოეშიდან “მესნევი”, რომელიც 50,000 სტრიქონისგან შედგება:

**“ერონება და რელიგია არა აქვს სიყვარულს,
და ღმერთს უყვარს ის, ვისაც სიყვარული ძალუძს,
სიყვარულს მიზეზები არ სჭირდება,
და ღვთიურ სასწაულთან მიყვარართ სიყვარულს.”**

კითხვები გააზრებისათვის:

- *ოდესზე განვიცდით თუ არა სიყვარული სხვა რწმენისა და კულტურის მქონე ადამიანის მიმართ?*
- *გიტირიათ თუ არა სხვა აღმსარებლობის ადამიანის გარდაცვალების გამო?*
- *რა ტიპის სასულიერო პოეზია გიზიდავთ? გადაიკითხეთ ან ზეპირად თქვით თქვენი საყვარელი ნაწევები.*



თავი მეხუთე

ჯალალუდინ მუჰამად აქბარი (1542-1605)

1556-1605 წლებში ინდოეთში მუღალის იმპერიას მართავდა ჯალალუდინ მუჰამად აქბარი. იგი უფრო ცნობილი იყო აქბარ დიდის სახელით, რადგან მას მუღალის მმართველთაგან ყველაზე ძლიერად მიიჩნევენ. ეზობელ დამპყრობლებთან საომარი გამარჯვებებით მან გაზარდა თავისი იმპერია. ხანგრძლივი მმართველობისას აკბარმა იმპერია შინაგანად განამტკიცა. იგი ხელოვნების მოტრფიალე იყო, რამაც დიდად იმოქმედა ინდური ხელოვნებისა და მუსიკის განვითარებაზე.

რელიგიური მრავალფეროვნება და შემწუნარებლური პოლიტიკა მისი მმართველობის დამახასიათებელი ნიშანი იყო.

ინდოეთში ინდუისტთა უმრავლესობას მუსლიმური ელიტა მართავდა და ასეთ პირობებში რელიგიური განსხვავება ძალიან ფეთქებადსაშიში იყო. ეს ადრეც არაერთხელ მომხდარა.

აქბარმა ამის საპირისპიროდ წამოიწყო დიალოგი. მან ხელი შეუწყო დებატების გამართვას მუსლიმებს, ინდუისტებს, ჯაინისტებს, კათოლიკეებსა და ათეისტებს შორისაც კი. მან ააშენა იბადათ ხანა (საკულტო სახლი), ადგილი, სადაც იმართებოდა მსგავსი საუბრები და დისკუსიები. აქბარის პოლიტიკა უფრო შორსაც წავიდა: მან შექმნა რელიგიური თანასწორობის პირობები ინდოეთში, გააუქმა მლოცველთათვის ბეგარა წმინდა ადგილებში სალოცავად ჯაინიზმის მიმდევართათვის, ასევე გააუქმა ჯიზია, რომელიც ეკისრებოდათ არამუსლიმ მორწმუნეებს (ინდუისტ ბრაჰმანებს და ბუდისტებს). აქბარის წინაპრებმა აკრძალეს ინდუისტთა და სხვა რელიგიური ჯგუფების თავისუფალი ღვთისმსახურება, მაგრამ აქბარმა შეცვალა პოლიტიკური კურსი. იგი ყოველთვის ემხრობოდა იმ პოლიტიკურ კურსს, რომელიც არ კრძალავდა ქვეყანაში რწმენის მრავალფეროვნებას. მაგალითად, მან დაიცვა ინდუისტთა სალოცავები და კარგი ურთიერთობა დაამყარა რომაულ კათოლიკურ ეკლესიასთან. მან მთავრობაში მოიყვანა ადამიანები, რომლებიც არ იყვნენ მუსლიმები.

მაშინ, როდესაც მრავალცოლიანობას დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა, აქბარმა ცოლად ინდუისტი ქალი შეირთო, რომლისგანაც შეეძინა მომავალი იმპერატორი მუგალ ჯაჰანგირი. აქბარი სხვა ინდოელ პრინცესებზეც დაქორწინდა, მაგრამ ეს, უპირველეს ყოვლისა, პოლიტიკური მიზეზებით იყო განპირობებული, თუმცა ამას გავლენა არ მოუხდენია რელიგიური შემწყნარებლობის საკითხზე. აქბარი ქრისტიან ქალზეც კი დაქორწინდა, ბოლოს კი მისი შვილიშვილებიდან 3 კათოლიკედ მოინათლა. მეტიც, მისმა პოლიტიკურმა ქორწინებამ და ინდოელ რაჯპუტთან ურთიერთობის დამყარებამ მშვიდობა მოუტანა იმ მიწას, რომელიც მუდმივი შფოთვის საგანი იყო აქბარის წინაპართა მმართველობისას. აქბარმა იმდენად კარგად შეისწავლა სხვა რელიგიური მოძღვრებები, რომ მათი ტრადიციები ერთ რწმენაში

გააერთიანა და უწოდა მას დინ-ი-ილაპი (საღვთო რწმენა). იგი შექმნილი იყო იმ დროს ინდოეთში არსებული სხვადასხვა რელიგიური ტრადიციის, მრწამსისა და სიმბოლიკის საფუძველზე. ეს რელიგია წარუმატებელი აღმოჩნდა: მხოლოდ 18 ადამიანი გახდა მისი ოფიციალური მიმდევარი. ეს ექსპერიმენტი აქბარის გარდაცვალების შემდეგ დასრულდა. მაინც, აქბარისთვის მნიშვნელოვანი იყო, ესწავლა სხვისი მოძღვრება, რელიგიური მრავალფეროვნებისთვის ხელშეწყობამ კი მის ქვეყანას მოუტანა მშვიდობა, სტაბილურობა და სიძლიერე.

ზოგმა აქბარი ღვთის გამოებაში დაადანაშაულა, მისმა ნახევარძმამ კი, რომელიც ისლამურ კანონს იცავდა, მუსლიმებს აჯანყებისაკენ მოუწოდა. აქბარმა დაძლია მისი შემოტევა და შეინარჩუნა ყველა რელიგიისადმი შემწყნარებლური პოლიტიკა.

მისი ცხოვრებით შთაგონებულმა პოეტმა ლორდ ალფრედ ტენისონმა აქბარის ხედვებს პოემა უძღვნა, რომელსაც “აქბარის ოცნება” უწოდა.

კითხვები გააზრებისათვის:

- *ტენისონის პოემა ხელმისაწვდომია ინტერნეტით. თუ მოისურვებთ მის გაცნობას, პკითხეთ საკუთარ თავს: რატომ არის ხშირად რელიგიური შთაგონება პოეზიასთან დაკავშირებული? დაგიწერიათ ოდესმე ლექსი, რომელიც გამოხატავს თქვენს შეხედულებებს რელიგიაზე?*
- *აქბარი ცდილობდა, შეექმნა ისეთი რელიგია, რომელიც იქნებოდა დედამიწაზე არსებული რელიგიების სინთეზი. რა კრიტიკულ ელემენტს ხედავ შენს სულიერებაში, რომელსაც შეიძლება რაიმე საერთო პქონდეს სხვა სარწმუნოებებთან?*
- *რა ნაბიჯები უნდა გადავდგათ იმისთვის, რომ რელიგიური შემწყნარებლობა და თავისუფლება პოლიტიკურ რეალობად ვაქციოთ იმ ადამიანებისთვის, რომლებიც ამ მხრივ შეზღუდულები არიან?*



თავი მეექვსე

როჯერ უილიამსი (1603-1684)

1636 წელს როჯერ უილიამსმა დააარსა დემოკრატიული კოლონია - როდ აილენდი. კოლონიას უმრავლესობის წარმომადგენლები მართავდნენ, მაგრამ არსებობდა პირობა, რომლის გათვალისწინებითაც კოლონიაში მცხოვრები ყველა ადამიანის რელიგიური მრწამსი უნდა ყოფილიყო დაცული. კვაკერებმა, ბაპტისტებმა და ებრაელებმა თავი როდ აილენდს შეაფარეს, მასაჩუსეტსა და ინგლისში დევნის შემდეგ. როდ აილენდში ამერიკელ ინდიელთა ტომებს ჰქონდათ უფლება, მიჰყოლოდნენ თავიანთ რელიგიურ წეს-ჩვეულებებს. ამერიკელებისთვის პროვიდენსში უილიამსმა ააგო პირველი ბაპტიტური ეკლესია, თუმცა მან მალევე უარყო ბაპტიზმი და გახდა “რწმენის მაძიებელი”.

ეს ვიზიონერი, ახალი ამერიკელი ლიდერი, რომელიც დაიბადა ინგლისში 1603 წელს, გახდა ანგლიკანური ეკლესიის მღვდელი. 1631 წელს იგი ბოსტონში გაემგზავრა. იგი ფიქრობდა, რომ ეკლესია სახელმწი-

ფოსგან გამიჯნული უნდა ყოფილიყო. სწორედ ამ იდეების გამო მალე წააწვდა დაბრკოლებებს ადგილობრივი რელიგიური ლიდერებისაგან. იგი დაობდა სულის თავისუფლებაზე და ქადაგებდა ყველასთვის სრულ რელიგიურ თავისუფლებას. პლაიმოუზში უილიამსი შეუერთდა პილიგრიმთა ჯგუფს, რომელთანაც მხოლოდ 2 წელი დაჰყო, რადგან როჯერის შეხედულებები მათთვის ძალიან შორეული იყო. 1635 წელს როჯერი მისი შეხედულებების გამო სიკვდილის მუქარით გამოაძევეს მასაჩუსეტსის კოლონიიდან. მხოლოდ საზოგადოების დიდ ნაწილში მოპოვებულმა პატივისცემამ გადაარჩინა იგი ჩამოსრჩობას.

უილიამსი სამხრეთში გადაიხვეწა, იქ იგი დაუმეგობრდა ნარაგანსეტის ტომის ბელადებს. ნარაგანსეტის ტომმა როჯერი მიწით დააჯილდოვა, რადგან იგი ამტკიცებდა, რომ ამ მიწის კანონიერი მფლობელი არა ინგლისის მეფე, არამედ ადგილობრივი მოსახლეობა იყო. აქ მან დააარსა როდ აილენდი, ქალაქი პროვიდენსი. მან შეისწავლა ადგილობრივი ენა, დაწერა ალგონქვინური ენების ლექსიკონი და მოუწოდებდა ევროპელებს, რომ კონფლიქტის ნაცვლად ადგილობრივ ტომებთან მშვიდობიანი ურთიერთობა დაემყარებინათ.

როჯერის მიერ დაარსებული პროვინციის კარი ყველა რელიგიური აღმსარებლობის ადამიანისათვის ღია იყო. 1639 წელს მისი დახმარებით ამერიკაში აიგო ერთ-ერთი პირველი ბაპტისტური ეკლესია, რომელიც გამიჯნული იყო სახელმწიფოსგან. მალე როდ აილენდი სტუმართმოყვარე და სასურველი ადგილი გახდა, სადაც აიგო ამერიკაში რიგით მეორე ებრაული სინაგოგა.

მისი წინასწარმეტყველური ხმა ძალიან შორს იყო იმდროინდელი საზოგადოებისაგან. იგი გამოდიოდა ინდიელების ძალადობრივი მოქცევის წინააღმდეგ და ამას გაუპატიურებას ადარებდა. ევროპელებსა და ადგილობრივ ხალხს შორის წარმოქმნილ კონფლიქტებში უილიამსი მუდამ მშვიდობის დამყარებას ცდილობდა. მეფე ფილიპის ომისას უილიამსი შიშველი ხელებით გაემართა იმ მეომრებთან შესახვედრად, რომ-

ლებიც პროვიდენსის გადაწვას აპირებდნენ. მათ არ ისმინეს უილიამსის თხოვნა, არ გადაეწვათ ქალაქი, მაგრამ სასიკვდილოდ არ გაიმეტეს, დაინდეს მამაცი და კეთილი როჯერი. დღეს ჩვენ ვხვდებით უილიამსის მიერ ჩამოყალიბებულ საზოგადოებებს, რომლებიც ამერიკული პლურალიზმის ნიმუშს წარმოადგენენ. მისი მოღვაწეობისას უილიამსის მტრებიც კი როდ აიღენდს “ახალი ინგლისის მიღსადენად” მოიხსენიებდნენ.

როჯერ უილიამსი გარდაიცვალა 1683 წელს, თუმცა მან მოასწრო მმართველობითი ორგანოს ჩამოყალიბება ამ კონტინენტზე, რათა კონსტიტუციური გზით დაეცვა რელიგიური თავისუფლების კანონი, რომელიც მოგვიანებით შევიდა შეერთებული შტატების კონსტიტუციურ კანონთა კრებულში. როჯერი ამბობდა: “სახელმწიფო ჩარევისგან რელიგიის დაცვა იქნება ყველა რელიგიური თუ არარელიგიური ტრადიციის თავისუფლება”.

კითხვები გააზრებისათვის:

- *იცოდეთ რაიმე უილიამსზე? საიდან გაიგეთ მასზე? ახალ ისტორიულ წიგნებში ბევრია მასზე მოთხრობილი. რატომ გგონიათ, რომ მისი ცხოვრება დიდ ინტერესს გამოიწვევს საზოგადოებაში?*
- *დაასახელეთ ადამიანი, რომელიც იცავს რელიგიური უმცირესობების უფლებებს, რა შედეგები მოაქვს მათ მცდელობას?*
- *რას ეტყოდით ახლარჩეულ თანამდებობის პირებს იმ პრინციპებზე, რომლებიც მათ უნდა გაითვალისწინონ რელიგიური თავისუფლების გამოხატვასთან მიმართებაში? ეს რთული თემაა. რა უნდა იყოს დაშვებული? უნდა შეიცვალოს თუ არა რაიმე იმ კანონებში, რომლებიც ეხება რელიგიურ თავისუფლებას და რატომ?*
- *უკავშირდება თუ არა ჩვენი რელიგიური თავისუფლება სხვებთან გაზიარებულ რელიგიურ თავისუფლებას? რატომ?*



თავი მეშვიდე

მოზეს (მოსე) მენდელსონი (1729-1786)

მოზეს მენდელსონი მე-18 ს-ის გერმანულ-ებრაელი ფილოსოფოსი გახლდათ. იგი იმდენად დიდი მოაზროვნე იყო, რომ მესამე მოსეს (ბიბლიური მოსესა და მოსე მაიმონიდის შემდგომ) სახელითაც იცნობდნენ. ენდელსონმა პირველი შრომები მეტაფიზიკისა და მათემატიკის სფეროში შექმნა, რითაც მოიხიბლნენ იმდროინდელი ცნობილი სწავლულები. მას გერმანულ სოკრატესაც ეძახდნენ.

აკადემიური კარიერის დასაწყისში მან დიდი ყურადღება დაუთმო ფილოსოფიას. მისი ინტელექტუალური გატაცების გადამწყვეტი მომენტი მაშინ დადგა, როდესაც მისმა ქრისტიანმა თაყვანისმცემელმა იოჰან ლავატერმა იგი დებატებში გამოიწვია, რათა თავის

რჯულზე მოექცია ებრაელი ფილოსოფოსი. რელიგიებს შორის დანახულმა განსხვავებამ მენდელსონი უფრო ღრმად ჩაახედა იუდაიზმში. მან გერმანულად თარგმნა პენტატეხი და ექსოდოსს (მასობრივ გაქცევას) კომენტარიც დაურთო. მენდელსონმა კიდევ უფრო განავითარა თავისი აკადემიური მოღვაწეობა, მას სურდა, ევროპაში მცხოვრები ებრაელები ყოფილიყვნენ თავისუფალნი ინტელექტუალური აზროვნებითა და იურიდიული თვალსაზრისით.

თავის შემდგომ შრომებში მენდელსონი შეეხო რელიგიურ თავისუფლებასა და სახელმწიფოს შორის ურთიერთდამოკიდებულების საკითხებს. წიგნში “იერუსალიმი” მენდელსონი წერს, რომ სახელმწიფოს არა აქვს უფლება, ჩაერიოს თავისი მოქალაქეების რელიგიურ მრწამსში და რომ იმანუილ კანტის მიერ ნაპოვნი რეფორმების გზა მართებულია.

მრავალფეროვან საზოგადოებას მან მიაწოდა პრაგმატული პრინციპი იმისა, რომ ჭეშმარიტება შეიძლება იყოს მრავალგვარი. იგი ამტკიცებდა, რომ კაცობრიობის მრავალფეროვნებაში შეიძლება იყოს განსხვავებული რელიგიები და თითოეულ მათგანს პატივი უნდა ვცეთ. მენდელსონისთვის ჭეშმარიტი რელიგია გამოიცდებოდა იმით, თუ რამდენად იმოქმედებდა ის ადამიანურ ქმედებაზე.

თვით მენდელსონი ბუნებით იმდენად დიდსულოვანი და მართალი იყო, რომ ერთმა ქრისტიანმა ფილოსოფოსმა და მწერალმა, გოზპოლდ ეფრაიმიმა, 1779 წელს შექმნა პიესა “ნათან ბრძენი”, რომლის მთავარი პერსონაჟი ნათანი შთაგონებულია მოზეს მენდელსონის პიროვნებით. პიესაში გადმოცემული იყო რელიგიური შემოწყნარებლობის თემა.

მენდელსონი ებრძოდა ექსკომუნიკაციას, როგორც რელიგიურ მუქარას საკუთარ სინდისთან მოლაპარაკე ადამიანთათვის. მოზეს მენდელსონი თავისი შრომებით ცდილობდა ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის ურთიერთობის გაღრმავებას, შემწყ-

ნარებლობის და ჩვენი საერთო ადამიანური სივრცის მიმართ პასუხისმგებლობის დანერგვას.

კითხვები გააზრებისათვის:

- შეგვიძლია თუ არა ჩაგებათ რელიგიურ დიალოგში ისე, რომ ორივე მხარე ღრმად ჩაწვდეთ ჩვენს რწმენას?
- რა მოხდებოდა, რომ ჩვენი სარწმუნოება განისჯებოდეს მხოლოდ ჩვენი კარგი საქციელით?
- მენდელსონის ცხოვრებამ წარმოშვა ახალი პიესა. გაიხსენეთ პიესა, ფილმი ან სატელევიზიო გადაცემა, რომელმაც დაგვანახვა ასეთი სულიერი ღირებულებების მქონე პიროვნება.



თავი მერვე
მოზეს მონტეფიორე
(1784-1885)

სერ მოზეს მონტეფიორე ბრიტანეთის ყველაზე ცნობილი ებრაელი იყო მე-19 საუკუნეში. მან მთელი ერთი საუკუნე იცოცხლა და იმოღვაწევა თავისი ფიზიკური ძლიერების წყალობით. მან მოღვაწეობა ბიზნესით დაიწყო. თავის ძმასთან ერთად ბროკერულ ფირმაში მუშაობდა. 1837 წელს ლონდონის შერიფად აირჩიეს. შემდეგ წელს კი დედოფალმა ვიქტორიამ მას რაინდის წოდება მიანიჭა.

40 წლის ასაკში პენსიაზე გასულმა ბიზნესს თავი მიანება და მთელი თავისი დარჩენილი სიცოცხლე ფილანთროფიას მიუძღვნა.

1827 წელს მონტეფიორე პირველად ეწვია წმინდა მიწას. სწორედ ეს იქცა მის ცხოვრებაში გარდამტეხ ეპიზოდად. იგი წესების მკაცრად მიმდევარ ებრაელად იქცა. ჩაერთო იმ ებრაელთა დაცვის საქ-

მეში, რომლებიც მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში დისკრიმინაციასა და დევნას განიცდიდნენ. მან იმოგზაურა და ფართოდ გაასუქა თავისი მოგზაურობანი თურქეთში, სირიაში, იტალიაში, რუსეთში, მაროკოსა და რუმინეთში. მოგზაურობის დროს მან ნახა ებრაელთა თემები, რომლებიც უკიდურესი სასოწარკვეთის, სიღარიბის, დევნისა და ჩაგვრის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ თემების მონახულებით მან მსოფლიოს ყურადღება ადამიანების მოვალეობას მიაპყრო. ებრაელთა დაცვის საქმეში მან დაიმეგობრა მსოფლიო ლიდერები, მათ შორის ეკვიპტის სულთანი მუჰამედ ალი ფაშა. სწორედ ამ მეგობრობის წყალობით მან შეძლო დამასკოში დაპატიმრებულ იმ ებრაელთა ციხიდან დახსნა, რომლებიც ქრისტიანთა სისხლის სმაში იყვნენ დადანაშაულებულნი. ეს იყო ძველი ქრისტიანული ცრურწმენა ებრაელების შესახებ, თითქოს ეს უკანასკნელნი თავიანთი რელიგიური რიტუალების განხორციელებისას ქრისტიანთა სისხლს სვამდნენ.

მოზეს მონტეფიორე მხოლოდ ერთმორწმუნე ებრაელებს არ იცავდა. მან დიდი ფინანსური დახმარება გაუწია სირიაში ლტოლვილ ქრისტიანებს, რომლებიც დრუზების მიერ იდევნებოდნენ. მაროკოში იგი იცავდა რამდენიმე ებრაელს, რომლებიც მკვლელობაში იყვნენ ეჭვიტანილნი. მან ასევე დაიცვა ის მუსლიმები, რომლებიც უსამართლოდ დადანაშაუდეს ებრაელების მკვლელობაში. მან მიმართა სულთანს თხოვნით, რომ ყველა რელიგიური უმცირესობის უფლებები დაცული ყოფილიყო და მათ თანასწორად მოპყრობოდნენ.

მონტეფიორე, როგორც ფილანთროპი, მე-19 საუკუნის ბრიტანეთში მრავალი რეფორმის კამპანიის აქტიური წამომწყები იყო. ხშირად ის სხვა რელიგიის წარმომადგენლებთან ერთად მუშაობდა, მაგალითად, ევანგელური პროტესტანტური ეკლესიის წარმომადგენლებთან ერთად. მან დიდი დახმარება გაუწია ფინანსური კომპენსაციების მობილიზებას პლანტატო-

რებისათვის, რაც ხელს შეუწყობდა ბრიტანეთის იმპერიაში მონობის გაუქმებას. მისი ფილანთროპული საქმიანობა საერთაშორისო მასშტაბს ატარებდა. იუსუდავად იმისა, რომ ის ებრაელებს ეხმარებოდა წმინდა მიწაზე და იერუსალიმის ირგვლივ, მის დახმარებას განუზრუნვლად იღებდა ებრაელი, მუსლიმი თუ ქრისტიანი.

მისი 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით ითქვა: როდესაც სასოწარკვეთა და ტირილი აღწევს შენს ყურს, მაშინ მიეგებები მას და წუთითაც არ ფიქრობ, ვინ ტირის, სულერთია, რომელი სექტის ან აღმსარებლობის წარმომადგენელია, დახმარება ყველას ერთნაირად სჭირდება.

კითხვები გააზრებისათვის

- *სად გადის ჩვენი გულუხვობის საზღვრები – მხოლოდ ჩვენი თემის ფარგლებში ვართ გულუხვები, თუ საჭიროა ვიყოთ გულუხვი მათ მიმართ, ვინც უბრალოდ საჭიროებს დახმარებას?*
- *მეგობართან განიხილეთ ის უფლებები, რომლებიც გაწუხებთ და მერე იკითხეთ: თქვენ იმ ადამიანის უფლებების დამცველი ხართ, რომელიც თქვენ ან თქვენს თემს გუხვობთ ყველაზე მეტად, თუ ადამიანის უფლებების დამცველი ხართ საყოველთაოდ?*
- *დაფიქრდით ახალი ამბებიდან მოხმენილ შემთხვევაზე, როდესაც საქმე ეხება უმცირესობის წუხილს. თქვენ, როგორც ინდივიდს, რითი შეგიძლიათ დაეხმაროთ მას? მონტევიორე მსოფლიოში მოგზაურობდა სასოწარკვეთილი ადამიანების დასახმარებლად. ჩვენ ამ ყველაფრის გაკეთება არ ძალგვიძს, მაგრამ დაფიქრდით და პკითხეთ მეგობარს, რისი გაკეთება შეგიძლიათ, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს, რათა შეუმსუბუქოთ სხვას ტკივილი და ხელი შეუწყოთ უსამართლობის აღმოფხვრას?*



თავი მეცხრე
სარა და ანჯელინა გრიმკეები
(1792-1873 და 1805-1879)

სარა და ანჯელინა გრიმკეები სამხრეთ კაროლინას პლანტაციებში დაიბადნენ. ისინი დები იყვნენ. ეს მშვენიერი სამხრეთელი ქალბატონები არა მარტო მონობის გაუქმებისათვის, არამედ ქალების უფლებებისა და აღმსარებლობებს შორის ტოლფერანტობისათვისაც იბრძოდნენ.

სარა ადრეული ასაკიდანვე მიიჩნევდა, რომ მონობა დასაგმობი ინსტიტუტია, რომელიც ანადგურებს არა მარტო მონას, არამედ მონის მფლობელსაც.

ის თვლიდა, რომ მონობა თავის წილში ვერ იტყუებდა მონობას და საჭირო იყო მონების განათლება და გათავისუფლება. მან იმოგზაურა ფილადელფიაში, სადაც შეხვდა კვაკერებს, მათ სარა საბოლოოდ განაწყევს მონობის წინააღმდეგ. ჩარლსტონში დაბრუ-

ნების შემდეგ მან მონობის წინააღმდეგ აქტიური გამოსვლები დაიწყო.

მისი დაჟინებული აბოლიციონისტური გამოვლენები მიუღებელი იყო ეპისკოპალური ეკლესიისათვის, რომელსაც თავად განეკუთვნებოდა. ის შეუერთდა მეგობართა საზოგადოებას (კვაკერები), მაგრამ აღმოაჩინა, რომ აბოლიციონიზმის რადიკალური იდეა მათ რიგებშიც მთლიანად მისაღები არ იყო, განსაკუთრებით გამოიკვეთა წინააღმდეგობა ქალთა საკითხში. ეს ის პერიოდია, როდესაც სხვა რელიგიის მიმართ ლოიალობა იწვევდა საკუთარი რელიგიური თემიდან გარიყვას, თუმცა მან გადაწყვიტა, რომ ყველას მოკავშირე გახდებოდა, ვინც მონობის იდეას ეწინააღმდეგებოდა. რელიგიური ტოლერანტობა აბოლიციონიზმისათვის ბრძოლის ნაწილი გახდა. სამხრეთის სოციალურ კონტექსტში აღსანიშნავია არა სხვადასხვა რელიგიის არსებობა, არამედ ქრისტიანული დენომინაციების მრავალფეროვნება.

ანჯელინამ ჯერ კიდევ ბავშვობაში დაგმო მონობა. ის ეწინააღმდეგებოდა კანონს, რომელიც მონებს წერა-კითხვის ცოდნას უკრძალავდა. მან საკუთარ მონას კითხვა შეასწავლა. როდესაც ამის შესახებ გაიგეს, ის მკაცრად დასაჯეს. გრიმკები ეპისკოპალური ეკლესიის მრევლს წარმოადგენდნენ. 13 წლის ასაკში ანჯელინამ უარი განაცხადა კონფირმაციაზე და პრესბიტერიანულ ეკლესიას შეუერთდა. იგი განსაკუთრებულ ინტერესს იჩენდა აღმსარებლობებს შორის დიალოგსა და ერთობლივ საქმიანობასთან დაკავშირებით. როდესაც მისმა მოძღვარმა სცადა მისი შემობრუნება ეპისკოპალური ეკლესიისაკენ, მან უპასუხა: "მე არ შემიძლია, გაცნობიერებულად მივეკუთვნებოდე იმ ეკლესიას, რომელიც ყველაზე მაღლა საკუთარ თავს აყენებს და სხვა დენომინაციის ღვთისმსახურებს საკუთარ ამბიონთან არ უშვებს. მე შევქმენი მლოცველ ქალთა ერთობა, სადაც ბაპტისტი,

მეთოდისტი, კონგრეგაციონალისტი და პრესბიტერა-
ნელი ქალები ერთად ლოცულობენ.”


როდესაც შედარებით ლიბერალურმა ეკლესიამ (პრეს-
ბიტერიანულმა) არ მიიღო მისი აბოლიციონისტური
იდეები, მან დატოვა სამხრეთი და თავის დასთან,
სარასთან გადავიდა ფილადელფიაში. გრიმკები
მონობის გაუქმების მოძრაობის კაშკაშა ვარსკვლავებად
იქცნენ და მათ საჯარო გამოსვლებზე დიდი მოთხოვნა
გაჩნდა. მათი აქტივობა “მეგობართა საზოგადოებიდან”
გამოსვლის მიზეზი გახდა, მაგრამ ისინი მონობის
გასაუქმებლად იბრძოდნენ ყველასთან ერთად, ვინც კი
მათ იდეებს იზიარებდა.

ღები გრიმკები იყვნენ ერთ-ერთი პირველები, რომლებ-
მაც ქალთა დაქვემდებარებული მდგომარეობა მონობის
ტოლფას მოვლენად შერაცხეს. 1838 წელს ბოსტონში,
მასაჩუსეტსში ანჯელინა გრიმკე პირველი ქალი იყო,
რომელმაც მიმართა ამერიკის საკანონმდებლო ორგა-
ნოს. მათ მოკვლით ემუქრებოდნენ, მიუხედავად ყველა-
ფრისა, ისინი იყვნენ რელიგიათა შორის ტოლე-
რანტობის, ქალის უფლებებისა და მონობისაგან გა-
თავისუფლების მოძრაობის პიონერები.

კითხვები გააზრებისათვის

- აბოლიციონისტები, განსაკუთრებით სამხრეთის შტატე-
ბიდან, დიდი საფრთხის წინაშე იდგნენ. მათ მოლაღატებლად
აცხადებდნენ. მაგრამ ისინი ნათლად ხედავდნენ, რომ მონობა
იყო უსამართლობა. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი იმისა,
რაც დღეს საზოგადოდ დაშვებულია, მაგრამ იმავედროულად
აღიარებულია, როგორც უსაშინლესი მორალური ბოროტება?
- თუ თქვენ გადაწყვეტთ ხელი მოჰკიდოთ სოციალური
პრობლემის მოგვარებას თქვენ ირგვლივ, ვის დაუ-
კავშირდებით სხვადასხვა რელიგიური ჯგუფიდან თქვენი
მცდელობის განსახორციელებლად?
- დებმა, რომლებიც ერთ მორალურ ბოროტებაზე
ფიქრობდნენ, სხვა ბოროტებაც აღმოაჩინეს, მაგალითად,
სექსიზმი. შეგიძლიათ მოიყვანოთ მაგალითი იმ მორალური

პრობლემისა, რომელიც თუ არ გაკონტროლდა, შესაძლოა უფრო სერიოზულ პრობლემად გადაიქცეს? მოიყვანეთ იმ სოციალური აკადემიკოსების მაგალითები, რომლებიც ერთმანეთს კვებავს.



თავი მეათე
რაბინდრანათ თაგორი
(1861-1941)

რაბინდრანათ თაგორი ინდოეთის ლიტერატურული კორიფეა. ის დაიბადა კალკუტაში ბენგალელი ბრაჰმანის ოჯახში. მან დააარსა აშრამი დასავლეთ ბენგალში, რაც ასევე მოიცავდა ექსპერიმენტულ სკოლას. მას სწამდა, რომ ღმერთი – ეს არის პიროვნული სიწმინდე და სხეების დახმარება. თაგორი ცნობილია თავისი პოეზიით, რომელზეც დიდი გავლენა მოახდინა ჰინდუს უპანიშადის მისტიციზმმა, მაგრამ იმავდროულად ეს პოეზია მისაღებია დასავლეთის მეითხველისათვის. მას 1913 წელს ნობელის პრემია მიენიჭა, ის იყო პირველი აზიელი ნობელიანტი ლიტერატურის დარგში.

თაგორი ხელოვნების სხვა სფეროებშიც გამოირჩეოდა. იგი პროზაულ ნაწარმოებებსაც ქმნიდა: ნოველებს, პატარა მოთხრობებსა და პიესებს. მასვე ეკუთვნის ნაშ-

რომები ინდოეთის ისტორიაზე, ლინგვისტიკაზე, მოგზაურობასა და მეცნიერებაზე. იგი ავტორია 2000-ზე მეტი სიმღერისა (მათ შორის სასულიერო ხასიათისა). ავტორია ასევე ინდოეთისა და ბანგლადეშის ეროვნული ჰიმნებისა. 60 წლის ასაკში მან ხატვა დაიწყო. მისი ნახატები გამოიფინა პარიზსა და ლონდონში.

თავორი წინააღმდეგობებით აღსავსე პიროვნება იყო. ის მხარს უჭერდა ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობას, იყო განდის მეგობარი, თუმცა ბევრ საკითხში არ ეთანხმებოდა მას. განსაკუთრებით მტრულად იყო განწყობილი ნაციონალიზმის საკითხთან დაკავშირებით. ის ებრძოდა ფაშიზმს, იაპონურ და ამერიკულ ნაციონალიზმს და ასევე ნაციონალიზმს ინდოეთის დამოუკიდებლობისათვის მოძრაობაში.

თავორი ინდოეთის არანორმალური კასტური აზროვნების მოწინააღმდეგე იყო. ის ამხელდა სოციალური სისტემის ბოროტებას, რომელიც მილიონობით ადამიანს სიღარიბეს განუსაზღვრავდა და „გარიყულთა“ ჯგუფს მიაკუთვნებდა. თავორმა ფემინისტური აქცენტებიც შეიტანა თავის ნაწარმოებებში. ის ამბობდა, რომ აუცილებელია ქალების გათავისუფლება ბევრი ცოლქმრული წეს-ჩვეულებისაგან. ის ეწინააღმდეგებოდა ტრადიციას, რომლის მიხედვითაც ქმრის სიკვდილის შემდეგ ქალები თვითშეწირვის წესს ემორჩილებოდნენ.

თავორის ნაწარმოებებმა სხვადასხვა რელიგიური მიმდინარეობების გავლენა განიცადა. მუსლიმი მისტიკოსი პოეტი ჰაფეზი მისი შთაგონების წყარო იყო. მან გამოიყენა ბუდისტური მოთხრობა ანანდას შესახებ. ანანდა გაუტამა ბუდას ერთ-ერთი მოსწავლე იყო, რომელმაც „გარიყულთა“ კასტის გოგონას წყალი სთხოვა. ეს ინდური კულტურის მაგალითად მოჰყავს. მოგზაურობის დროს თავორი საუბრობდა ადამიანებთან ჰუმანიზმის შესახებ. იგი სიტყვით გამოვიდა ლონდონში კვაკერთა ყოველწლიურ შეკრებაზე, გახდა ჩარლზ

ენდრიუს, ქრისტიანი მისიონერის მეგობარი, ის განდის პროტეჟე იყო. თავარი ძალიან განიცდიდა იმ დაპირისპირებას, რომელიც არსებობდა ინდოეთში მუსლიმებსა და ინდუისტებს შორის. ამ საკითხებს ეხება მისი შემოქმედება, ის წერდა რელიგიური დამღის შესახებ, რომელსაც მიყვავართ ბრმა ფანატიზმამდე, ძალადობამდე, განსაკუთრებით მაშინ, თუ ეს ყველაფერი გამსჭვალულია ნაციონალიზმით.

კითხვები გააზრებისათვის

- *დაფიქრდით სხვა მწერალზე ან შემოქმედზე, რომელიც კულტურულ მრავალფეროვნებაზე ქმნის. ასეთები კი მრავალნი არიან შექსპირის დროიდან დღემდე. თქვენ ვინ გზიბლავთ? რატომ მოგწონთ მათი ნაწარმოებები ან ნახატები, რომლებიც სხვადასხვა კულტურას ეხება და მათ გამოხატავს?*
- *დღეს ბევრი სატელევიზიო პროგრამა თუ ფილმი კულტურულ კავშირებს ეძღვნება. არის ისეთი, რომელიც თქვენ განსაკუთრებით მოგწონთ? ესაუბრეთ მეგობარს და გაუზიარეთ მას თქვენი აზრები.*
- *ეთანხმებით თავორს, რომელიც მიიხნევედა, რომ ნაციონალიზმი ჩვენი ძირითადი რელიგიური შეხედულებებისა და ღირებულებებისათვის შესაძლოა საფრთხეს წარმოადგენდეს? რატომ დგება ეს პრობლემა?*



თავი მეთერთმეტე

ჰენრიეტა ზოლდი

(1860-1945)

ჰენრიეტა ზოლდი დაიბადა 1860 წელს. ალტი-მორელი რაბინის ოჯახში რვა ბავშვი იზრდებოდა. მათ შორის იყო ჰენრიეტა. ის ბავშვობიდანვე იუდაიზმს სწავლობდა, მას ნება დართეს, ებრაულ თეოლოგიურ სასწავლებელში ესწავლა, რომელიც სწორედ იმ პერიოდში გახდა ხელმისაწვდომი ქალებისათვის. ის ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ებრაელ ქალთა უფლებებს იცავდა.

ზოლდმა დააარსა ქალთა ორგანიზაცია **ჰადასა**, ეს იყო აშშ-ში ერთ-ერთი უდიდესი ორგანიზაცია. ჰადასას ძირითად საქმიანობას წარმოადგენდა გერმანიიდან და შემდეგ მთელი ევროპიდან დევნილი ებრაელი ახალ-

გაზრდების დახმარება. 22 000 ებრაელი ბავშვი და ახალგაზრდა დაიფარეს ნაცისტური აგრესიისაგან, ზოლდის ფონდის ძირითადი საქმიანობა სწორედ ადამიანის უფლებებისათვის აღვოკატირება და აქტივიზმი იყო.

ჰადასას დაარსებიდან ზოლდი დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. სწორედ ეს გახდა ჰადასას ძირითადი მიზანი. მოგვიანებით ფონდი პალესტინაში ჯანდაცვის პროგრამების განხორციელებას შეუდგა.

I მსოფლიო ომის დროს და შემდეგ ამერიკელმა ებრაელებმა ჩამოაყალიბეს ამერიკელი სიონისტების სამედიცინო განყოფილება, რომელიც პალესტინაში მყოფ ებრაელებს ეხმარებოდა. უდიდესმა პრობლემებმა და ორგანიზაციულმა ქაოსმა 1920 წელს ზოლდი პალესტინაში ჩაიყვანა, რათა თავად გასძლიოდა ორგანიზაციას. მან დააარსა ჰადასას სამედიცინო ორგანიზაცია, რომელიც ქალებისა და ბავშვების მოვლასა და მათზე მზრუნველობას ითვალისწინებდა. მან დაჟინებით მოითხოვა, რომ არაბებსა და მუსლიმებს ისევე დახმარებოდნენ, როგორც ებრაელებს იმ საუკეთესო სამედიცინო ტექნოლოგიებით, რაც იმ პერიოდში არსებობდა.

ორგანიზაცია მართლაც ყველა რელიგიისა და ეთნიკური წარმომავლობის ადამიანს ეხმარებოდა და თანამშრომლობდა მათთან. იერუსალიმის ჰადასას საავადმყოფო სწორედ ზოლდის მიერ დაარსებული ორგანიზაციის შედეგად შეიქმნა. ის პირველი სამედიცინო დაწესებულებაა მთელ ისრაელში და ახლო აღმოსავლეთში.

არადისკრიმინაციული ჯანდაცვა ზოლდის მთავარი მიზანი იყო, მან ეს შეძლო, თუმცა ძალიან დიდი ძალისხმევა დასჭირდა, მით უმეტეს, რომ ეს ყველაფერი ხორციელდებოდა რეგიონში ძალადობრივი

დაპირისპირებების ფონზე ებრაელებსა და არაბებს შორის.

1948 წელს, ვიდრე ისრაელის სახელმწიფო ჩამოყალიბდებოდა, არაბების მიერ ჰადასას საავადმყოფოში 77 ექიმი და ექთანი იქნა მოკლული. მიუხედავად ამისა, ჰადასა აგრძელებდა არადისკრიმინაციული ჯანდაცვის პოლიტიკას. სწორედ ამ საავადმყოფოში ხდება დაპირისპირების მსხვერპლთა მკურნალობა. ჰენრიეტა ზოლდის სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა მისი საქმე. 2005 წელს ჰადასას საავადმყოფო ნობელის პრემიაზე იქნა წარდგენილი.

მიუხედავად მძიმე პერიოდისა, ჰადასას ჯანდაცვის სისტემის თანამშრომლური და არადისკრიმინაციული პოლიტიკის შედეგად შეიქმნა ხიდები და კომუნიკაცია საზოგადოებებს შორის.

კითხვები გააზრებისათვის

- *იცოდით, რომ რელიგიური თემები ისტორიულად ნოვატორები იყვნენ საავადმყოფოების დაარსების საქმეში? თქვენს რეგიონში რომელი რელიგიური ჯგუფები უძღვებიან ამ საქმეს?*
- *ოდესმე გინახავთ საავადმყოფოს სასულიერო პირი (კაპელანი)? მოიწვიეთ საავადმყოფოს სამლოცველოს მღვდელი სადისკუსიოდ, სთხოვეთ, გაიზიაროთ სხვადასხვა რელიგიურ თემს შორის თანამშრომლობის შესახებ.*
- *დღეს მსოფლიოში ყველა რელიგია ცდილობს ჯანდაცვის სისტემის გაუმჯობესებას; ყველას ექნება მისი სერვისის მიღების საშუალება; როგორ ფიქრობთ, ამ მიმართულებით რა ხდება თქვენს რეგიონში, აქეთ ადამიანებს პრობლემები სამედიცინო მომსახურების სფეროში? მოხალისეების ჩართვა პროგრამებში არის თუ არა საუკეთესო გზა საკუთარი თავის პოვნისა სხვა რელიგიის ადამიანების გვერდით და მათ შესახებ უფრო მეტის შეტყობისა?*



თავი მეოთხეტი
მოჰანდას მაჰათმა განდი
(1869-1948)

მოჰანდას მაჰათმა განდომ საფუძველი ჩაუყარა ინდოეთში ბრიტანეთის კოლონიური ბატონობისაგან განმათავისუფლებელ მოძრაობას. მისი მიდგომა არაძალადობისადმი, რომელსაც ეწოდება „სიტიაგრაჰა“, სიტყვასიტყვით ნიშნავს „სიმართლეს ხელში“, ანუ სიმართლის ძალას. თავდაპირველად განდომ არაძალადობის ფილოსოფია შექმნა და მისი პრაქტიკაში გამოყენება დაიწყო სამხრეთ აფრიკაში, სადაც 20 წელი ცხოვრობდა. განდი იურისტი იყო, სამხრეთ აფრიკაში რასისტული თეთრკანიანი მთავრობა აბსოლუტურ დისკრიმინაციას უწევდა ინდიელებსაც. განდი ხელმძღვანელობდა მოძრაობას, რომელიც ამ დისკრიმინაციის წინააღმდეგ გამოდიოდა. 1914 წელს მან იმასაც მიაღწია, რომ გამოიცა კანონი, რომელიც ინდოელ იმიგრანტებს

გარკვეულ უფლებებს უწესებდა.

ინდოეთში დაბრუნების შემდეგ შეარქვეს საპატიო სახელი მაჰათმა, ის სათავეში ჩაუდგა ბრიტანეთისაგან განმათავისუფლებელ მოძრაობას. მან შეიმუშავა კამპანია, რომელიც ითვალისწინებდა არათანამშრომლობას ბრიტანეთთან. ცნობილია მისი ”მარილის აჯანყება“, რომელმაც მთელი ინდოეთი მოიცვა და წარმოადგენდა მარილზე ბრიტანეთის მონოპოლიის წინააღმდეგ ბრძოლას. ხანგრძლივი, მრავალმხრივი ბრძოლის შედეგად 1947 წელს ინდოეთი დამოუკიდებელი გახდა.

განდი ასევე იბრძოდა ინდოეთის საზოგადოებაში არსებული უსამართლობისა და უთანასწორობის წინააღმდეგ, განსაკუთრებით „გარიყუთა“ სტატუტის ასამაღლებლად. მიუხედავად იმისა, რომ ზედა ფენას, ზედა კასტას წარმოადგენდა, ის მოუწოდებდა ინდოეთში სოციალური და ეკონომიკური უსამართლობის აღმოფხვრისაკენ. მისი შეხედულებები ამ მიმართულებით იმდენად მყარი იყო, რომ გარკვეული შეზღუდვები მართლაც გაუქმდა.

განდი ინდუისტი იყო სულით ხორცამდე, მან მთელი შთაგონება იესოს მოძღვრებიდან და რუსი ქრისტიანი პაციფისტის, ლევ ტოლსტოის ნაწარმოებებიდან მიიღო. ბევრი ქრისტიანი ცხოვრობდა აშრამში და შეუერთდა მის მოძრაობას. განდი ხშირად ახდენდა ციტირებას სახარებიდან და მიმართავდა თავის ქრისტიან მეგობრებს: იყო კარგი ჰინდუ, ნიშნავს იყო ასევე კარგი ქრისტიანი, აუცილებელი არ არის, გახდე ქრისტიანი, ამის გარეშეც მწამს იესოს მოძღვრების მშვენიერება და ვცდილობ, მის მაგალითს მივდიო. იგი სამ წიგნს დაატარებდა თან: ბჰაგავაგიტას, ბიბლიასა და ყურანს.

განდის დამსახურებაა ინდოეთში ორი უდიდესი რელიგიური ჯგუფის: ინდუიზმისა და ისლამის მიმდევრების

დაახლოება. ის მუშაობდა აბდულ გაფარ ხანთან ერთად. ის იყო განდის მუსლიმი მეგობარი და დამოუკიდებლობისათვის არაძალადობრივი მოძრაობის აქტივისტი. თითოეული მათგანის პრინციპი – რწმენა და არაძალადობა მათ ხელში ქმედითი გახდა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

როდესაც ინდოეთში ძალადობრივი აჯანყებები დაიწყო ინდუისტებსა და მუსლიმებს შორის, განდიმ მშვიდობისაკენ მოუწოდა მათ. მისი შეტყობინება გასაგები რომ ყოფილიყო, მან თავის ინდუიზმის მიმდევარ თემში გრძელვადიანი მარხვა დაიწყო და ამით მოითხოვდა ძალადობის შეჩერებას. ძალადობრივი შეტაკებები დასრულდა.

1948 წელს განდი მოკლეს ინდუისტმა ექსტრემისტებმა.

კითხვები გააზრებისათვის

- *ვაგირისკავთ ოდესმე, დახმარებოდით ხალხს, რომლებიც მიეკუთვნებიან მარგინალური უმცირესობის ჯგუფს? რამ გადავადგმევინათ ეს ნაბიჯი?*
- *წავიკითხავთ ის სამი წიგნი, რასაც მუდმივად დაატარებდა თან განდი? ეს წიგნები ხომ ადვილად შევიძლიათ შეიძინოთ წიგნის მაღაზიაში. აიღეთ და წაიკითხეთ თითოეული მათგანი მეგობართან ერთად და ისაუბრეთ იმაზე, თუ რა იყო ახალი წიგნში თქვენთვის, რითი განსხვავდებიან ისინი ერთმანეთისაგან?*
- *არის თუ არა მარხვა თქვენი რელიგიური ტრადიციის ნაწილი? ეს ტრადიცია დამახასიათებელია ბევრი რელიგიისათვის. თუ არასოდეს გიმარხულიათ თუნდაც ერთი სახეობის საკვების ამოღებით თქვენი რაციონიდან, დაფიქრდით იმაზე, თუ როგორ მარხულობდა განდი*



თავი მეცამეტე
აბდულ გაფარ ხანი
(1890-1988)

აბდულ გაფარ ხანი პუშტუნი იყო, იგი ინდოეთის ბრიტანული კოლონიალიზმის პერიოდში დაიბადა. დღევანდელი პაკისტანის ტერიტორიაზე ჩრდილოდასავლეთ პროვინციაში მცხოვრები პუშტუნები თავდაუზოგავად და საკუთარი სისხლის ფასად იბრძოდნენ ბრიტანელების წინააღმდეგ. ბრიტანელები არანაკლები ძალადობით პასუხობდნენ.

გაფარ ხანი შეუერთდა განმათავისუფლებელ ბრძოლას და დადგა ინდუისტი მაჰათმა განდის გვერდით. მან ჩამოაყალიბა ისლამური სწავლება არაძალადობის შესახებ, რომელიც ეფუძნებოდა მუსლიმურ პრინციპებს: ამალა (თავის მსხვერპლად შეწირვა), იაკინინი (რწმენა) და მუჰაბატი (სიყვარული). ის, როგორც ლიდერი, მასწავლებელი და ორგანიზატორი, სათავეში ჩაუდგა

არაძალადობრივ არმიას კუდაი კიდმატგარს (ღვთის მსახურები) და ასე აღუდგა ბრიტანეთის უღელს. 100 ათასზე მეტი პუშტუნი შეუერთდა მას, ეს იყო წითელ-პერანგიანთა არმია, მათ პირობა და ფიცი ჰქონდათ დადებული, რომ უარს იტყოდნენ ძალადობაზე და სისხლის აღებისას არ ჩაიდენდნენ ძალადობას. გაფარ ხანი ბრძოლის ამგვარ სახეობაზე, ანუ ჯიჰადზე, მიუთითებდა, როდესაც მხოლოდ მტერს უპყრია მახვილი.

გაფარ ხანის არმიის მოქმედება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პროტესტის ფორმა გახდა ბრიტანელების წინააღმდეგ. ქალაქ პასჰავარში ბრიტანელმა ჯარისკაცებმა დაწვეს კუდაი კიდმატგარი, დაჭრეს და დახოცეს ასობით ადამიანი, ეს იყო შეუიარაღებელი პროტესტანტების უღელა. იმდენად ძლიერი იყო შეუიარაღებელი ადამიანების შემართება, რომ ბრიტანელები მათი სიმამაცით აღფრთოვანებულები დარჩნენ და აღარ ასრულებდნენ მათი დახოცვის ბრძანებას. მოგვიანებით ამბობდნენ, რომ ბრიტანელებს შეუიარაღებელი პუშტუნების უფრო ეშინიათ, ვიდრე შეუიარაღებულებისო. მართლაც, მათ ჩრდილო-დასავლეთი პროვინცია არაძალადობრივი აჯანყებით თითქმის უმართავი გახადეს.

განდი და გაფარ ხანი მხარდამხარ იბრძოდნენ და შრომობდნენ. მათი ხედვა კი იყო ერთიანი, დამოუკიდებელი ინდოეთი, სადაც მუსლიმები და ინდუისტები ერთად თანაცხოვრობენ. მათ ისწავლეს ერთმანეთისაგან, გავლენა მოახდინეს ერთმანეთის რწმენასა და ერთმანეთზე. ეს იყო ბედის ირონია: ორივე იტანჯებოდა იმის გამო, რომ თავიანთი რელიგიის მიმდევრები ადანაშაულებდნენ იმაში, რომ მრავალრელიგიური ინდოელი ერის შექმნაზე ოცნებობდნენ. განდი ხომ ინდუიზმის მიმდევარმა მოკლა იმიტომ, რომ ის მუსლიმებთან მშვიდობისკენ მოუწოდებდა ხალხს. გაფარ ხანი კი პაკისტანის მთავრობამ ციხეში ჩასვა, რადგან პრო-ინდურობაში დაადანაშაულა.

ინდოეთი დაშლის შემდეგ ინდოეთად და პაკისტანად დაიყო, გაფარ ხანი შეეცადა, ავღანეთსა და პაკისტანში პუშტუნების დემოკრატიისათვის ებრძოლა. იყენებდა არაძალადობრივ მეთოდებსა და ქმედებებს. თავისი იდეებისა და შეხედულებების გამო მან 30 წელზე მეტი ციხეში გაატარა.

გაფარ ხანი 1988 წელს გარდაიცვალა 98 წლის ასაკში შინაპატიმრობაში ყოფნისას. მან თავისი ცხოვრებით აჩვენა, რომ არაძალადობა და ისლამი ერთად შესაძლებელია. ის დასახელდა ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტად. მან ერთხელ თქვა: “ჩემი რელიგია სიმართლე, სიყვარული და ღვთისა და კაცობრიობის სამსახურია. ყველა რელიგიის მთავარი გზავნილი ხალხისადმი სიყვარული და ძმობაა. ის, ვინც ინდიფერენტულია თავისი ახლობლების, ადამიანების კეთილდღეობის მიმართ, მისი გული სიყვარულისგან ცარიელია, ასეთმა ადამიანებმა არ იციან რელიგიის მნიშვნელობა.“

კითხვები გააზრებისათვის

- *ოდესმე მომხდარა თქვენს თემში, რომელიმე თქვენგანი გაგირიყავთ იმის გამო, რომ რომელიმე უმცირესობასთან შეეცადა ურთიერთობას?*
- *წარმოიდგინეთ გაფარ ხანი შინაპატიმრობაში ბევრი გაელენიანი მშვიდობისათვის მებრძოლი იმავე დღეში ჩავარდნილა ხშირად. რისი გაკეთება შევიძლიათ თქვენს წრეში იმისათვის, რომ რელიგიური და კულტურული ტოლერანტობისაკენ მოუწოდოთ ადამიანებს?*
- *სინდისის პატიმარი - ეს არის ფრაზა, რომელიც ხშირად გამოიყენება ასეთ შემთხვევაში. შევიძლიათ მოძებნოთ გზა, რათა ამგვარ პატიმრებს მხარი დაუჭიროთ მშვიდობიანად, განსაკუთრებით მათ, ვინც სრულიად განსხვავებული კულტურის წარმომადგენელია?*



თავი მეთოთხმეტე
მურიელ ლესტერი
(1885-1968)

მურიელ ლესტერი დაიბადა ინგლისში, მდიდარ ბაპტისტთა ოჯახში, მე-19 საუკუნის დასასრულს. მან ადრეული ასაკიდან გამოამუღავნა რწმენის თვალსაზრისით შეუურიგებელი რადიკალიზმი, განსაკუთრებით, სოციალური სამართლიანობის კონცეფციების კუთხით. ლონდონის გარეუბნებში მატარებლით მგზავრობის დროს იხილა სიღარიბე, როგორც ზნეობრივი გამოწვევა. მან ნებაყოფლობით სიღარიბეში არჩია ცხოვრება. გადაბარგდა ბოუში - ლონდონის ღარიბთა უბანში, სადაც ღარიბ ოჯახებს ეხმარებოდა, ის სოციალური მუშაკი გახდა, შეიძინა ძველი ეკლესიის შენობა და გადააქცია ის **კინგსლის ჰოლად**. ეს იყო სოციალური სამსახურის ცენტრი. ლესტერმა თემში მოახერხა ხალხის მობილიზება, რათა გაერკვიათ ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხები და მათი მოგვარების გზები.

მას შეექძლო ადამიანების გაძლიერება, განსაკუთრებით მათი, ვინც ფიქრობდა, რომ ძალა არ ჰქონდა.

პირველი მსოფლიო ომის დროს ლესტერი პაციფისტი გახდა და შეუერთდა ახლადშექმნილ მოძრაობას -

შერიგების საერთაშორისო თანამეგობრობას. ამის შემდგომ მან სიღარიბესთან ბრძოლის მიზნით შექმნა ფონდი - **“გადავარჩინოთ ბავშვები” (Save the Children)**. შერიგების საერთაშორისო თანამეგობრობის კავშირებით მან შეძლო, თავორის სიძე ინგლისში, კინგსლი ჰოლში მოეწვია ლექციის წასაკითხად, ლესტერი კი მიიწვიეს ინდოეთში.

ინდოეთში ყოფნის დროს ლესტერი დაუმეგობრდა განდის. განდიმ დაარწმუნა იმაში, რომ უნდა ილაპარაკო სიმართლე შიშისა და გაზვიადების გარეშე და დაინახო ყველა, ვისი საქმიანობაც ახლოსაა შენს საქმიანობასა და მიზანთან. “შენ ღვთის საქმეს აკეთებ, ამიტომ არ შეგეშინდეს ადამიანთა დაცინვის.“ როდესაც 1931 წელს განდი ინგლისში ჩავიდა, ის კინგსლი ჰოლში 3 თვე ცხოვრობდა. ქრისტიანმა და ინდუიზმის მიმდევარმა, ლესტერმა და განდიმ ქრისტეს მოძღვრება გამოიყენეს ბრიტანეთის კოლონიურ რეჟიმთან საბრძოლველად.

1933 წელს ლესტერმა კინგსლი ჰოლის ხელმძღვანელობა გადასცა თავის დას, თავად კი გახდა შერიგების საერთაშორისო თანამეგობრობის მდივანი სხვა ქვეყნებში. მან მლოცველთა სკოლები გახსნა მთელ მსოფლიოში მუსლიმების, ებრაელებისა და ინდუიზმის მიმდევრებისათვის. როდესაც ის აწყდებოდა უსამართლობასა და ძალადობას, ახერხებდა ხალხის მობილიზებას ყოველივე ამის წინააღმდეგ საბრძოლველად.

მურიელ ლესტერმა შერიგების, მათ შორის რელიგიური შერიგების იდეა ადამიანური ცხოვრების ყველა სფეროში ჩადო. მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, “ღვთის ხედვა არის სიყვარული და მშვენიერება, მეგობრობა, რასაც მოაქვს სიძლიერე და ენერჯია თვით ყველაზე სუსტისათვის”.

კითხვები გააზრებითვის

- ღმერთის ხედვა არის სიყვარული და მშვენიერება. რას ნიშნავს ეს სიტყვები თქვენთვის? როგორ უკავშირდება ეს სიტყვები მშვიდობასა და სამართლიანობას?
- როგორ ფიქრობთ, რატომ ამბობდა განდი, რომ გაზვიადება ისევე, როგორც შიში, დიდი საფრთხეა ადამიანისათვის, რომელიც ხალხს ელაპარაკება?
- როგორ გამოხატავთ სტუმართმოყვარეობას სახლში, სკოლაში, ეკლესიაში, სამსახურში იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სხვა სარწმუნოებასა და კულტურას წარმოადგენენ?



თავი მეთხუთმეტე
ეტი ჰილესუმი
(1914-1943)

ეტი ჰილესუმი ახალგაზრდა ებრაელი ქალი იყო. იგი ამსტერდამში ცხოვრობდა და ჰოლოკოსტის მსხვერპლი გახდა. ჰილესუმი დაიღუპა აუსშვიცში 1943 წლის 30 ნოემბერს 29 წლის ასაკში, მაგრამ ის სავსე იყო სიცოცხლისა და სიყვარულის წყურვილით, რამაც დააძლევინა სიძულვილი და შიში.

თავისი სიცოცხლის უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში ის წერდა დღიურს, რომელიც მოიძიეს და გამოსცეს მისი სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ. მისმა სულიერებამ დიდად იმოქმედა უამრავ ადამიანზე. დღიურში ნათქვამია, რომ მისტიკური კავშირი ღმერთთან მას უძლიერებდა იმედს და მატებდა ძალას.

ეტი ჰილესუმი მბეჭდავად მუშაობდა ამსტერდამის ებრაულ საბჭოში. ამ პრივილეგიის გამო ის გარკვეულ პერიოდში დეპორტირებას გადაურჩა, მაგრამ ეტიმ გამოთქვა სურვილი, სხვა ებრაელებთან ერთად ბანაკში წასულიყო. ის საკონცენტრაციო ბანაკის მოაზროვნე გული გახდა. ეტი მიიჩნევდა, რომ მიტევება და სიყ-

ვარული ადამიანის უმთავრესი მოვალეობაა, რაც მას ძაღლას აძლევს, გაუძლოს და აიტანოს ყველა ტკივილი და სიმწარე. ის არ განადიდებდა ტანჯვას, მაგრამ სურდა, ეფიქრა ტანჯვაზე, როგორც გამოცდილებაზე და ასე ეპოვა ღმერთი. საკონცენტრაციო ბანაკში, სადაც სიკვდილი ყველგან იყო, მან განჭვრიტა თავისი ცხოვრების გზა და გადაწყვიტა, რომ ეს იყო ახალი ცხოვრების დასაწყისი.

ებრაული რწმენა და წმინდა წიგნები, ასევე მრავალი მწერლის ნაწარმოებები (რილკე, ავგუსტინი და დოსტოევსკი) მას დაეხმარა სულიერი განვითარების საკუთარი გზის მოძებნაში. როდესაც ის ბევრს ლაპარაკობდა მტრის სიყვარულზე, მას ახსენებდნენ, რომ ეს ქრიტიანული მოძღვრებაა, ის პასუხობდა: – დიახ, ქრისტიანობა, რატომაც არა?

ეტი ჰილესუმს მონაწილეობა არ მიუღია ორგანიზებულ რელიგიურ რიტუალებსა და ცერემონიებში, მაგრამ ღრმად მორწმუნე ადამიანი იყო. მან ადამიანის სულში, როგორც საკუთარ თავში, ისე სხვა ადამიანებში, ღრმად ჩაკირული რწმენა იპოვა.

კითხვები გააზრებისათვის

- როგორ შეგიძლიათ გახდეთ “მოაზროვნე სული“ შემთხვევით შემხვედრთათვის?
- როგორ ვინარჩუნებთ ჩვენს სულიერ წონასწორობას, როდესაც ძლიერი მწუხარების ან ტანჯვის მდგომარეობაში ვიმყოფებით? როდესაც რთულდება საქმე, ებრაელებით სხვებზე გვინდა მათ ზიანი მივაყენოთ?
- ოდესმე დაგიწერიათ დღიური? ეცადეთ, თქვენი იდეები და აზრები მოკლედ ჩაიწეროთ ხოლმე და შემდეგ ნახეთ, რას წერთ, რაზე ამახვილებთ ყურადღებას?



თავი მეთექვსმეტე ალბანელი მუსლიმები ჰოლოკოსტის ჟამს

მრავალი წლის მანძილზე კომუნიზმის მიმე რკინის ფარდის წყალობით დანარჩენი მსოფლიოს თვალსა-წიერის მიღმა იმალებოდა ალბანეთი. 1991 წელს, როცა ეს ფარდა აიხადა, მსოფლიოსათვის ცნობილი გახდა ისტორიები ალბანელი მუსლიმების შესახებ, რომლებიც ჰოლოკოსტის დროს ნაცისტების მიერ დაპყრობილი ევროპიდან გამოქცეულ ებრაელებს იფარებდნენ.

როგორც კი ნაცისტური გერმანიის ჯარებმა ალბანეთი დაიკავეს, მათ ალბანელებისაგან მოითხოვეს ებრაელთა დასმენა. ამან ალბანელებში, დაწყებული მაღალი რანგის ჩინოვნიკიდან ჩვეულებრივ გლეხამდე, გამოიწვია მასობრივი მოძრაობა ებრაელთა შესაფარებლად. ამ მოძრაობაში ჩაბმულთა უმეტესობა მუსლიმები იყვნენ. სტუმართმოყვარეობა ალბანელთა ერთ-ერთი უძველესი ფასეულობაა, ამიტომაც საკუთარი სიცოცხლის რისკის

ფასად აძლევენ ებრაელებს თავშესაფარს. არაე-
ბრაელი ალბანელები პოლიციის განყოფილებიდან
იპარავდნენ პირადობის ბარათებს თავიანთი თანამოქმე
ებრაელებისათვის. სერბეთიდან, ავსტრიიდან და სა-
ბერძნეთიდან ებრაელები ალბანეთს აფარებდნენ თავს.

რაოდენ გასაოცრადაც უნდა უღერდეს, არც ერთი ალ-
ბანელი ებრაელი არ მოხვედრილა საკონცენტრაციო
ბანაკში.


დოქტორმა ანა კოჰენმა ნიუ-იორკში ჰოლოკოსტის
სსონისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ისაუბრა თავის
ოჯახზე, რომელიც მაღალმთიან სოფლებს აფარებდა
თავს და ეძლეოდა ნაცისტურ გერმანიას. მთელმა
ოჯახმა მუსლიმური სახელები დაირქვა. "სოფელში ყვე-
ლამ იცოდა, რომ ებრაელები ვიყავით, მაგრამ არც
ერთმა არ გაგვცა", - იხსენებდა იგი. მრავალ მსგავს
ისტორიას ჰქონდა ადგილი მთელ ალბანეთში. კრუჯელ
გლეხს, სულო მესაჯის, რომელმაც 10 ებრაელი
გადამალა თავისი სახლის სხვენში, ჰკითხეს, თუ რა
მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუკი ნაცისტები მის
სახლს გადაწვავდნენ დევნილი ებრაელებიანად. მაშინ
მან განაცხადა: „ჩემი ვაჟი სხვენში ავა ებრაელებთან
ერთად და მათ ბედს გაიზიარებს“. მეორე მსოფლიო
ომის დამთავრებისას ალბანეთში გაცილებით მეტი
ებრაელი ცხოვრობდა, ვიდრე ომის დაწყებამდე. ალ-
ბანეთი მთელ ევროპაში ერთადერთი ქვეყანა იყო, სა-
დაც ასეთი რამ მოხდა.

რწმენამ, ისევე როგორც კულტურამ, ითამაშა უმ-
ნიშვნელოვანესი როლი ამ "სამკედრო-სასიცოცხლო"
სტუმართმოყვარეობაში. შიქირი მირტო დაეხმარა იოსებ
იაკოელს და მის დას ერიკეტას ნაცისტი გერმან-
ელებისაგან თავის დაძვრენაში მაშინ, როცა ისინი კარ-
დაკარ დადიოდნენ და ეძებდნენ მათ. მან თქვა: "ისლამი
გვასწავლის, რომ უნდა დავეხმაროთ მას, ვისაც სა-
ფრთხე ემუქრება".

მისმა მეგობარმა ბეწი ქოგჯამ თქვა: “ჩვენ ყველას ერთი ღმერთი გვყავს და მან მოგვიწოდა ერთმანეთის დასახმარებლად. რაც ჩვენმა მუჰამედმა გვასწავლა, იგივე თქვა იესომაც და თქვენმა მოსემაც”. ოლო-კოსტის მუზეუმში ამერიკის შეერთებულ შტატებში 1995 წელს ებრაელთა ალბანელ დამცავებს ”მსხნელთა კედელი“ უწოდეს. ალბანელი მუსლიმების სახელები ”მართალი ერთა შორის“ სახელითაა ამოტვიფრული იერუსალიმში, ვად ვაშემის ჰოლოკოსტის მემორიალზე.

კითხვები გააზრებისათვის

- *ხომ ივრძენით ამ ისტორიების წაკითხვისას საოცარი შთაგონება? წარმოიდგინეთ, მომაკვდინებელი, ძლევა-მოსილი, შეიარაღებული ძალაუფლების მძევნვარების დროს არც ერთი ებრაელი არ იქნა წაყვანილი ალბანეთიდან. დღეს შეგიძლიათ გამბედაობა მოიკრიბოთ იმისათვის, რომ სხვა ადამიანს დაეხმაროთ?*
- *იოსების ისტორიაში, როგორ ფიქრობთ, რატომ აპირებდა მისი ვაჟი თავის სახლში შეფარებული ადამიანების გვერდით სიკვდილს? ოდესმე თუ გამოიცდიათ სტუმარმასპინძლობა, რომელიც ყველა სხვა გრძნობას დაჩრდილავდა?*
- *თქვენს თემში უმცირესობათა რომელი ჯგუფები საჭიროებენ დაცვას?*



თავი მეჩვიდმეტე

მარტინ ბუბერი 1878-1965

მარტინ ბუბერი ებრაელი ფილოსოფოსი და თეოლოგი იყო, რომელმაც დიდი გავლენა იქონია როგორც იუდაურ, ისე ქრისტიანულ აზროვნებაზე. მან თავისი ცხოვრებით განახორციელა დიალოგისა და ურთიერთგაგების იდეა როგორც სხვადასხვა რწმენის ადამიანებს, ისე დაპირისპირებული ინტერესების მქონე მხარეებს შორის. იგი გრძნობდა, რომ რწმენას შეუძლია პოზიტიური როლი ითამაშოს სამყაროს ჰუმანიზაციის საქმეში.

ბუბერი 1878 წელს ვენაში, ავსტრიაში დაიბადა. სტუდენტობისას ის დაშორდა თავის რელიგიურ ფესვებს, თუმცა ევროპაში ანტისემიტიზმის მომძლავრებამ მას უბიძგა, ადრეულ სიონისტურ მოძრაობას შეერთებოდა. რელიგიასთან დაახლოების პროცესში იგი ახლოს გაეცნო ხასიდიზმს, იუდაიზმის განახლების მოძრაობას. მიუხედავად იმისა, რომ ბუბერი ხასიდი არასოდეს გამხდარა, იგი იზიარებდა მათ მოწოდებას

ყოველდღიური სიწმიდისაკენ. იგი ხალხისაგან მოითხოვდა იმ აზრის გაზიარებას, რომ ეს წუთისოფელი ღვთისთვისაა და ჩვენ უნდა ვიღვაწოთ ამ ქვეყნიერების გარდასახვისათვის.

ფრანკფურტის უნივერსიტეტში იუდაიზმის ისტორიის პროფესორმა ბუბერმა გამოსცა თავისი კლასიკური ნაშრომი - "მე და თოუ" ადამიანური არსებობის ურთიერთობრივ ბუნებაზე. იგი ამტკიცებდა, რომ ჩვენი ურთიერთობების ხარისხი მაჩვენებელია ჩვენი ადამიანურობის ხარისხისა.

როგორც კი ხელისუფლებაში ნაციონალიზმი მოვიდნენ, ბუბერი დაუყოვნებლივ გაათავისუფლეს აკადემიური თანამდებობიდან, რის შემდეგაც მან დაიწყო კამპანია ებრაელთა უფლებების დასაცავად ფაშიზმის გაძლიერების ფონზე. 1938 წელს იგი იძულებული გახდა, გაქცეულიყო გერმანიიდან იერუსალიმში, სადაც იგი ებრაული უნივერსიტეტის პროფესორი გახდა.

ბუბერი სიონისტად დარჩა, თუმცა მიაჩნდა, რომ ნაციონალისტური გამოხატულებები არასწორი მიმართულებით იქნა გამოვლენილი. ის მოუწოდებდა "ებრაული ჰუმანიზმისაკენ", რის შედეგადაც ებრაელებსა და პალესტინელ არაბებს შესაძლებლობა ექნებოდათ, ეთანამშრომლათ მიწის საკითხების გადაწყვეტაში. 1948 წლის ომის დაწყებამ საშინლად გაუცრუა იმედი, მაგრამ მაინც ერთგული დარჩა თავისი მოწოდებისა ადამიანური ურთიერთობის შენების თაობაზე.

ბუბერმა დიდი გავლენა იქონია ქრისტიანულ აზროვნებაზე იუდაისტური მისტიციზმისა და სულიერების პოპულარიზაციის ფონზე. იგი ხაზს უსვამდა იესოს იუდეველობის ფენომენს და აღიარებდა მას იუდაიზმის იდეალურ გამოვლინებად. იგი ხედავდა ამ ორი სარწმუნოების შეუთავსებელ მხარეებსაც, თუმცა მიაჩნდა, რომ ამას არ შეეძლო ორ რელიგიას შორის დიალოგისათვის ხელის შეშლა.

ბუბერი წერდა: როცა ჩვენ – ქრისტიანები და იუდეველები, უფრო მეტს ვიფიქრებთ თავად ღმერთზე, ვიდრე ამ ღმერთის ჩვენეულ ხატებაზე, მაშინ ჩვენ ყვე-

ლანი გავერთიანდებით იმ განწყობით, რომ ჩვენი მამის სახლი ისე არ არის აგებული, როგორც ჩვენ წარმოგვიდგენია.“ მარტინ ბუბერი გარდაიცვალა იერუსალიმში 1965 წელს.

კითხვები გააზრებისათვის

- როგორ ვზომავთ ჩვენი ადამიანობის ხარისხს? ბუბერის მსგავსად, ჩვენც ადამიანებთან ურთიერთობის საზომით ვზომავთ ჩვენს ადამიანურობას თუ სხვა გზები გავგანხილავთ?
- რას ფიქრობთ ბუბერის მოსაზრებაზე, რომ ხანდახან ღმერთამდე მისასვლელ გზაზე გველობება ჩვენივე წარმოდგენა ღმერთის შესახებ? რა არის ღმერთის ”ხატების“ გაგებაში ყველაზე რთული?
- შეგიძლიათ თუ არა, სხვა რწმენის ადამიანთან, რომლის რწმენა ერთი შეხედვით, თქვენს რწმენასთან შეუთავსებელია, გააბა ურთიერთობა, იქონიო დიალოგი?



თავი მეთვრამეტე

ანდრე ტროცკე

(1901-1971)

ანდრე ტროცკე იყო საფრანგეთის ერთი პატარა სოფლის, ლა შამბონის პროტესტანტული ეკლესიის მღვდელი. კათოლიკურ საფრანგეთში ჰუგენოტთა ოჯახში დაბადებულმა ანდრემ კარგად იცოდა, რას ნიშნავდა რელიგიური უმცირესობის ყოფა. პირველი მსოფლიო ომის დროს სანგრების საშინელებას გაქცეული მისი ოჯახი დევნილად იქცა. ალბათ, საკუთარმა ცხოვრებისეულმა გამოცდილებამ აღუძრა თანაგრძნობა დაუცველი და უსახლკარო ადამიანების მიმართ.

1934 წელს, როცა ლა შამბონის ეკლესიაში დაიწყო მსახურება, ის ქადაგებდა ღვთისა და მოყვასის სიყვარულს.

რულზე იესოს ”ცხრა ნეტარების“ მიხედვით. რასაც ქადაგებდა, იმავე პრინციპებითაც ცხოვრობდნენ ტროკმე და მისი მეუღლე მაგდა. 1940 წელს საფრანგეთი ნაცისტების ხელში გადავიდა. ღა შამბონი ფორმალურად დამოუკიდებელ ვიშის რეგიონში მდებარეობდა, მაგრამ როცა სოფელში ფაშისტების გავლენა გაძლიერდა, ანდრემ დაიწყო ქადაგება შიშისა და მტრობის მომძლავრებელი სულისკვეთების წინააღმდეგ. ამ სოფლის ფაშიზმის წინააღმდეგ განწყობის შესახებ ახლომახლო ხმა გავრცელდა, ამიტომ ნაცისტებს გამოქცეულმა დევნილებმა ღა შამბონს შეაფარეს თავი.

1942 წელს ნაცისტებმა ბრძანება გასცეს ყველა ებრაელის დეპორტაციის შესახებ. დეპორტაციის წინააღმდეგ მოძრაობა დაიწყო ეკლესიის უხუცესთა და წინამძღოლთა შორის. მიუხედავად ვიშის პოლიციის სისასტიკისა და მოგვიანებით გესტაპოს ჩხრეკის საფრთხისა, სოფლის მოსახლეობა ებრაელ დევნილებს სახლებში მალავდა. ტროკმე მალევე დააპატიმრეს და მოგვიანებით თავად იქცა დევნილად, რადგან ნაცისტებს ემალებოდა, მიუხედავად ამისა, წინააღმდეგობა გრძელდებოდა.

ღა შამბონის მოსახლეობამ დაახლოებით 2500 ებრაელის შეფარება მოახერხა მაშინ, როცა ჰოლოკოსტს მილიონობით ებრაელი შეეწირა. მთელ საფრანგეთში ღა შამბონი ებრაელთათვის ყველაზე დაცული ადგილი იყო. როგორც თავისი სამწყსოს მქადაგებელმა და სულიერმა ლიდერმა, ანდრე ტროკმემ ასწავლა თავის ხალხს ის სიყვარული, რომელიც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდების ფასად უღმერთობისა და სიძულვილის მსხვერპლთა სიცოცხლის გადარჩენას გააბედვინებდა.

ანდრე ტროკმე 1971 წელს გარდაიცვალა. სიკვდილიდან ერთი წლის შემდეგ ისრაელმა მიანიჭა სამართლიანობის მედალი. იად ვაშემის ბაღში მის, როგორც

”ერებს შორის ყველაზე სამართლიანი ადამიანის“ პატივსაცემად ხე დაირგა.

კითხვები გააზრებისათვის

- ტროკემ და მისმა მიმდევრებმა ფაშიზმში შიშისა და უღმერთობის მომძლავრებელი ნაკადი და ჰოლოკოსტის აწრდილი დაინახეს. დღეს თუ ხელავე რაიმე დამანგრეველი ტალღის მომძლავრებას შენს საზოგადოებაში?
- ოდესმე თუ შეგიფარებია ვინმე, მაგალითად, ნათესავი, რომელმაც სამსახური დაკარგა ან დაინვალიდდა? შეგიძლია საკუთარ სახლში შეიფარო სხვა კულტურისა და სარწმუნოების ადამიანი?
- შეგიძლია, როგორც ოდესღაც ტროკემ გააკეთა, ესაუბრო მეგობრებს, მეზობლებსა და შენ ირგვლივ მყოფთ, რათა მათში გააღვიძო თანავრძნობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც საზოგადოების უმრავლესობისაგან ძალიან განსხვავდებიან? შენი რწმენის რომელი ფასეულობები დაგეხმარება ასეთი ხელგაშლილი სტუმართმოყვარეობის დამკვიდრებაში?



თავი მეცხრამეტე

ჰოვარდ თურმანი

(1900-1981)

ჰოვარდ თურმანი იყო ავტორი, ფილოსოფოსი, თეოლოგი, პასტორი, განმანათლებელი და სამოქალაქო უფლებებისათვის მებრძოლი ლიდერი. თავად მონის შვილიშვილმა დაამთავრა მორეჰაუზის კოლეჯი 1923 წელს. როგორც საუკეთესო სტუდენტს, წილად ხვდა ბედნიერება, კოლეჯის გამოსაშვებ სადამოხე სიტყვა ეთქვა. კოლეჯის დამთავრების შემდეგ იგი ხელდასხმული იქნა ბაპტისტური ეკლესიის ხუცესად, თუმცაღა კვაკერი მისტიკოსის, რუფუს ჯონსის ნაშრომების გაცნობამ იგი გაცილებით დიდ სულიერებას აზიარა. თურმანმა ჰოვარდის უნივერსიტეტის კაპელაში დაიწყო ღვთისმსახურება.

თურმანი და მისი მეუღლე სტუდენტების ”მეგობრული პილიგრიმოზის“ დროს ინდოეთში თავად მაჰათმა გან-

დის შესვლენ, რამაც თურმანის ღვთისმსახურებას ახალი შთავონება შემატა. ჯერ კიდევ მაშინ, როცა შავკანიანებს თეთრკანიანთა ეკლესიაში შესვლის უფლება არ ჰქონდათ, მან სხვადასხვა რასათა გამაერთიანებელი ეკლესიის იდეა წამოაყენა. როცა თურმანმა ჰკითხა, იესო ქრისტეს ყველაზე დიდი მტერი რა იყო ინდოეთში, "ქრისტიანობა" – უპასუხა განდიმ. თურმანმა გადაწყვიტა, ქრისტიანული ტრადიციების ერთგული დარჩენილიყო, მაგრამ თავისი მოღვაწეობა მიუძღვნა რასობრივი და რელიგიური დაყოფის დამანგრეველი ზეგავლენის წინააღმდეგ ბრძოლას.

1944 წელს თურმანი შეუერთდა მეგობრების პატარა ინტერრასობრივ წრეს, რომელიც თავდაპირველად შედგებოდა კვაკერებისა და ეპისკოპალური ეკლესიის წარმომადგენლებისაგან. მათი ძალისხმევით სან-ფრანცისკოში დაარსდა პატარა ეკლესია, რომელსაც უწოდეს "კაცთა შორის სათნოების ეკლესია". ის ამერიკის შეერთებულ შტატებში პირველი ინტერრასობრივი და ინტერდენომინაციური ეკლესია იყო. თურმანი არჩეული იქნა დამაარსებელ თანახუცესად დოქტორ ალფრედ ფრისკთან ერთად. ისინი ქადაგებდნენ ჭეშმარიტებას, რომელიც ყველა მორწმუნისათვის იყო მისაღები და აზიარებდნენ მსოფლიო კულტურებისა და რელიგიების სულიერებას. ამ ეკლესიას უერთდებოდნენ როგორც ებრაელები, ბუდისტები, ინდუისტები, ისე სხვა რელიგიური ჯგუფებიდან გარიყული ადამიანები. თურმანის მთავარი თემა იყო: "ჩვენ ერთნი ვართ ყველა დონეზე."

ინტერრელიგიური იდეების ქადაგებისას თურმანმა თქვა: "ადამიანი აშენებს თავის პატარა თავშესაფარს, აშენებს პატარა გალავანს, აკეთებს პატარა საკურთხეველს და ეთაყვანება თავის პატარა ღმერთს, თავისი შეზღუდული შესაძლებლობებით ცდილობს, თავისი პატარა სამყარო დაიცვას, მაგრამ არ შეუძლია. რასაც ჩვენ ვქადაგებთ და რასაც სხვადასხვა რე-


ლივის ადამიანები მთელი დედამიწის ზურგზე ქადაგებენ, ძალზე მარტივია – რელიგიური თანამეგობრობა შესაძლებელია. ეს ურთიერთობა თავისი ბუნებით შემოქმედებით მიდგომას საჭიროებს და შეუძლია შთაგონება ერთობის განცდის გასაძლიერებლად. ეს განცდა ისევ და ისევ შეძლებს, წინ აღუდგეს იმ მიდგომებსა და ცხოვრების წესს, რომელიც ანგრევს და აცალკევებს საზოგადოებას. მე მჯერა, რომ უფლის ოცნება საყოველთაო წყობის თაობაზე ისეთია, სადაც არაა ქალისა და მამაკაცის, თეთრისა და შავის, წარმართისა თუ ებრაელის, პროტესტანტისა თუ კათოლიკის, ინდუისტისა თუ ბუდისტის, მუსლიმის გარჩევა, ადამიანის სულია ყველაზე მნიშვნელოვანი.“

1954 წელს თურმანი გახდა პირველი შავკანიანი ღვთისმსახური ბოსტონის უნივერსიტეტის კაპელაში. იგი აქტიურად მოღვაწეობდა სამოქალაქო სამართლიანობის მოძრაობაში, რამაც, თავის მხრივ, დიდი გავლენა იქონია ახალგაზრდა მარტინ ლუთერ კინგ ჯუნიორზე. 1981 წელს პოვარდ თურმანი გარდაიცვალა, მისი ნაშრომები კი დღესაც გვესაუბრებიან სამართლიანობაზე, სულიერებასა და ახალი თაობის თვალთახედვაზე.

კითხვები გააზრებისათვის

- *განდის სიტყვები ნამდვილად ძალიან შთამბეჭდავია და შეიძლება მიუხედავად ნებისმიერ მსოფლიო რელიგიას ნებისმიერ დროს და ნებისმიერ კულტურაში. ჩვენი რწმენის რა ელემენტები გამოიყენება ხოლმე საზოგადოების დასაყოფად?*
- *თავს რამდენად კომფორტულად იგრძნობდით ინტერდენომინაციურ კელესიაში? თქვენთვის რომ მისაღები იყოს, როგორ უნდა იქნეს კელესია აწყობილი?*
- *რას ფიქრობთ თურმანის გამონათქვამზე, რომ ყველა ადამიანი თავის “პატარა ღმერთს“ ემსახურება? თუკი ეთანხმებით*

თურმანის ამ სიტყვებს, მაშინ, იქნებ, გვითხრათ, რა ახდენს გავლენას იმაზე, რომ ადამიანის აღქმა ღმერთისა ასე პატარავდება? რამდენად “დიდად“ შევიძლიათ წარმოიდგინოთ ღმერთი?



თავი მეოცე

ლანცა დელ ვასტო

(1901-1981)

ლანცა დელ ვასტო იტალიის წარჩინებულ ოჯახში დაიბადა 1901 წელს. ფილოსოფიის შესწავლის შემდეგ მან ინდოეთში იმოგზაურა 1936 წელს და ძალიან ბევრ ინდუისტ წმინდა ადამიანს დაემოწაფა. იგი მაჰათმა განდის შეხვედა და მის აშრამში ცხოვრობდა. იქ საკმაო ხანს დარჩა იმისათვის, რომ მისი არაძალადობრივი ფილოსოფია და პრაქტიკა კარგად შეესწავლა. განდიმ მას სახელიც კი მიანიჭა – „შანტიდას“, რაც „მშვიდობის მსახურს“ ნიშნავს.

შანტიდასი დაბრუნდა ევროპაში რელიგიათაშორისი შერიგებითა და ნებისმიერი ფორმის ძალადობის წინააღმდეგ განწყობით შთაგონებული. მან და მისმა მეუღლე ჩანტერელემ 1948 წელს საფრანგეთში დააარსეს კიდობნის თემი. ეს იყო თემი, სადაც ხალხი ერთად ღოცულობდა და ცდილობდა, არაძალადობა ყოველდღიური ცხოვრების წესად ექციათ. ამ თემიდან

წამოვიდა საპროტესტო ტალღა ძალადობისა და ექსპლუატაციის წინააღმდეგ. ისინი საკონცენტრაციო ბანაკების საწინააღმდეგო კამპანიაში იყვნენ ჩართულნი. ებრძოდნენ წამებას ალჟირის ომის დროს. ისინი ასევე იცავდნენ მათ, ვინც სინდისის გამო სამხედრო სამსახურზე უარს ამბობდა.

დედლ ვასტო იყო გულწრფელი კათოლიკე და თავის ეკლესიას გამუდმებით ახსენებდა იმას, რომ საღვთო წერილი არის მშვიდობის გზაწინილი. იგი ორმოცი დღის მანძილზე შიმშილობდა რომში, რათა რომის პაპს გამოეცა დოკუმენტი გამაღებელი შეიარაღების წინააღმდეგ. მისი დვაწლის აღსანიშნავად მას გადაეცა პაპ იოანე ოცდამესამეს დოკუმენტი, „Pacem in Terris” სასიგნალო ეგზემპლარი. 1981 წელს მშვიდობის ეს მსახური გარდაიცვალა.

კიღობნის საზოგადოება ყველა რელიგიისა და რწმენის ადამიანისათვის ღია იყო. დედლ ვასტო ერთგული დარჩა თავისი კათოლიკური ფესვებისა, მაგრამ ამაღდროულად შეძლო, ესწავლა სხვა რელიგიის ადამიანებისაგან და შეეთვისებინა ის, რაც საერთო იყო ამ რელიგიებისათვის. მან სინდისის თავისუფლებისა და ადამიანის უფლებებისათვის იბრძოლა. მისი ოცნება იყო ისეთი მსოფლიო, სადაც არაძალადობა გაიმარჯვებდა ადამიანურ ურთიერთობებში.

სიკვდილამდე იგი მთელ მსოფლიოში ცნობილი იყო, როგორც მშვიდობის, ძლიერებისა და სიხარულის ადამიანი.

კითხვები გააზრებისათვის

- *ჩვენ კიდევ ერთი გმირის ცხოვრებას გავეცანით, რომელმაც მიზნის მისაღწევად გამოიყენა შიმშილობა, როგორც ძლიერი სულიერი დისციპლინა, რითაც მოახერხა მსოფლიოს შეცვლა. მთელ მსოფლიოში მილიონობით ადამიანი მარხუ-*

ღობს. ოდესმე თუ გიცდიათ მარხვა? თუკი ვიმარხულიათ, თქვენი ყურადღება შენს სულიერ მდგომარეობაზე იყო ფოკუსირებული? ოდესმე თუ გიცდიათ, მარხვის მეშვეობით ზეგავლენა მოგეხდინათ გარე სამყაროზე?

- თუკი გადაწყვეტთ, შეისწავლოთ და აღმოაჩინოთ სხვა სარწმუნოებები, ისევე, როგორც დედს გასტომ გააკეთა, სად წახვიდოდით პირველ რიგში? ყველაზე მეტად რომელი სარწმუნოება გაინტერესებთ?

- თუკი სხვა სარწმუნოების ადამიანს უმასპინძლებთ, თქვენი სარწმუნოების რომელ ასპექტებს გაუზიარებდით პირველ რიგში?



ოცდამეერთე თავი

დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი უმცროსი 1929-1968

დოქტორი მარტინ ლუთერ კინგი ჯუნიორი ბაპტი-
ტური ეკლესიის ხუცესი იყო, რომელმაც თავისი სიცო-
ცხლე შესწირა ამერიკელთა სიცოცხლის შეცვლას.
მისმა ძლიერმა პოეტურმა მოწოდებამ თითოეულ ჩვენ-
განში გაადვილა სადღაც ღრმად მიმაღული სამართლი-
ანობის გრძნობა. მისი გავლენა იმდენად მნი-
შვნელოვანი იყო, რომ დღეს ამერიკის შეერთებულ
შტატებში დაწესებულია სახელმწიფო დღესასწაული
დოქტორ მარტინ ლუთერ კინგის ხოვნის პატივსაცემად.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა ხუცესი თავისი მჭევრმეტყ-
ველებისა და ჭკვიანურად დაგეგმილი 1955 წლის მონტ-
გომერის ავტობუსის ბოიკოტის წყალობით მალევე მო-

ექცა ამერიკის უმაღლესი რანგის სამოქალაქო უფლებების დამცველთა რიგებში. კინგმა შეიმუშავა არაძალადობრივი პირდაპირ მიმართული ქმედებების ფილოსოფია, რომლის წყალობითაც შევიწროებულმა ადამიანებმა, განსაკუთრებით კი შავკანიანებმა, რომლებიც 1950-იან წლებში იტანჯებოდნენ კანონით დადგენილი სეგრეგაციის სისტემის გამო აშშ-ს სამხრეთში, მოახერხეს, გამოეწვიათ ის ადამიანები და სისტემები, რომლებიც ავიწროებდნენ მათ. დღეს ამერიკელები თავიანთ შვილებს ზრდიან კინგის პრინციპების, მისი მიმდევრების სიმამაცისა და გამბედაობის მაგალითზე. ის, რაც ასე საამაყოა დღეს, ძალიან ძვირად დაუჯდათ კინგსა და მის მიმდევრებს. მას ხშირად აპატიმრებდნენ, 39 წლისა კი მკვლელის ტყვიამ გამოასაღმა სიცოცხლეს.

კინგის მოღვაწეობის ერთ-ერთ მთავარ მოვლენად ითვლება მის მიერ ორგანიზებული სამხრეთელ ქრისტიან ლიდერთა კონფერენცია, რომელიც დაეხმარა სელმადან მემფისამდე ადგილობრივი ბრძოლის კოორდინირებასა და კონგრესზე სამოქალაქო უფლებების დაკანონებაში. როგორც კონფერენციის პრეზიდენტი, კინგი ხალხის გამოსაფხიზლებლად სიტყვით გამოდიოდა და აწყობდა მსვლელობებს.

კინგი გაბედულად საუბრობდა “სამთავიან დევზე, რომელსაც რასიზმის, მატერიალიზმისა და მილიტარიზმის თავები ჰქონდა“. ამ წინასწარმეტყველური სიტყვების გავლენა საზოგადოებამ 1964 წლის ნობელის მშვიდობის პრემიით დაუფასა. იმ დროისათვის კინგი ყველაზე ახალგაზრდა იყო, ვისაც მსოფლიო მნიშვნელობის ეს ჯილდო მიენიჭა.

კინგის არაძალადობის ფილოსოფია იესოს სწავლებით, კერძოდ კი ცხრა ნეტარებით იყო ნასაზრდოები. მეორე მხრივ, კინგმა გამოიყენა მკაცრმა განდის მეთოდით, რისი წყალობითაც მან მოახერხა იესოს სწავლების პრაქტიკაში დანერგვა სეგრეგირებულ სამხ-

რეთში. ”იესომ მოგვცა სული და მოტივაცია, ხოლო განდიმ – მეთოდოლოგიაო“, – ამბობდა კინგი. 1969 წელს ინდოეთში მოგზაურობამ და განდისა და მის ოჯახთან შეხვედრამ უფრო გააღრმავა მისი შეხედულებები არაძალადობრივ მეთოდებზე.

შავკანიანთა სამოქალაქო უფლებებისათვის ბრძოლაში ძალიან ბევრი ებრაელი ლიდერი შეუერთდა კინგს და მის მიმდევრებს. კინგთან მხარდამხარ ბრძოლის გამო ძალიან ბევრი ებრაელი გახდა არაადამიანური მოპყრობის მსხვერპლი. ამ ადამიანებმა მოახერხეს, ერთად ელოცათ და ეღვაწათ ცვლილებებისათვის.

კინგი იქცა წინასწარმეტყველურ ხმად ანტი-სემიტიზმის აღმოსაფხვრელად როგორც სეგრეგაციონალისტების, ისე მისი თანამებრძოლი შავკანიანების წინააღმდეგ. კინგი ამბობდა: ”ჩემი წმიდა ვალია, გავაკეთო ყველაფერი იმისათვის, რომ არ შეიღახოს იუდეველთა სამართლიანი სახელი, რადგანაც სხვისი სახელის ტალახში ამოსვრა ნებისმიერ შემთხვევაში ჩვენთვის მიუღებელია.“ იგი იმ ებრაელთა გათავისუფლებისთვისაც იბრძოდა, რომელნიც სასტიკი მოპყრობისა და დისკრიმინაციის მსხვერპლნი იყვნენ საბჭოთა კავშირში.

თავის ნაშრომებში: ”საითკენ მივექანებით“ და ”ქაოსი თუ თემი“ კინგი წერდა: “როცა სიყვარულზე ვლაპარაკობ, მე ვლაპარაკობ იმ უზენაეს ძალაზე, რომელსაც ყველა რელიგია ხედავს, როგორც სიცოცხლის გამაერთიანებელ მთავარ პრინციპს. სიყვარული არის გასაღები, რომელსაც შეუძლია გახსნას სრულიად ახალი სამყაროს კარი. ეს ინდუისტურ-მუსლიმურ-ქრისტიანულ-ებრაულ-ბუდისტური რწმენა ამ მიღმური სამყაროსი მშვენივრად არის თავმოყრილი წმინდა იოანეს პირველ ეპისტოლეში: “გვიყვარდეს ერთმანეთი, რადგანაც სიყვარული ღვთიურია და ვისაც უყვარს,

ისიც ღვთიურია და შეიცნობს ღმერთს.“

კინგი ოცნებობდა ისეთ საზოგადოებაზე, სადაც ყველასათვისაა კარი ღია და ყველას ღირსება დაცულია. კინგისათვის რელიგია კი არ ყოფს საზოგადოებას, არამედ საზოგადოების უფრო ღრმა სიყვარულისა და ერთობის წყაროა და გამოხატულია საყოველთაო სამართლიანობით.

კითხვები გააზრებისათვის

- *თითოეულმა ჩვენგანმა სულ ცოტა ერთი-ორი ფრაზა მაინც ვიცით მარტინ ლუთერ კინგის ნათქვამი და დაწერილი. მისი წინასწარმეტყველური პოეზია ამერიკული ცხოვრების განუყოფელ ნაწილად იქცა. თქვენ რომელი ფრაზა გახსენდებათ? გაუზიარეთ მეგობრებს და ჰკითხეთ მათ, რომელი ფრაზები იციან.*

- *და მაინც, რამდენად კარგად გვეხმის ამ ნაციონალური გმირის გამონათქვამი. დღესაც შეგვიძლია რისკიანი ოცნებებით ვიოცნებოთ კინგივით?*

- *ჩვენი პირადი რწმენა ჩვენივე პირადი ცხოვრების საზღვრებშია ჩაკეტილი თუ გვეხმარება, დაგუკავშირდეთ სხვა ადამიანებს და მივეახლოთ იმ უმთავრეს ცხოვრებისეულ პრიციპებს, რომელსაც კინგი ქადაგებდა – სიყვარულსა და სამართალს.*

- *თუ ვსმენიათ ისეთი პროგრამების შესახებ, რომლებიც სხვადასხვა რწმენის ადამიანებს ეხმარება ერთად საყოველთაო სამართლიანობისათვის ბრძოლაში? ამ წიგნის ბოლო თავებში თქვენ შეგიძლიათ წაიკითხოთ ასეთი ჯგუფების შესახებ. 2008 წლიდან არსებობს ვებგვერდი, რომელზეც შეგიძლიათ გაეცნოთ ინფორმაციებს მსგავსი ჯგუფებისა და მათი საქმიანობის შესახებ: www.InterFaithHeroes.info.*



თავი ოცდამეორე

ფრიც ეიხენბერგი (1901 - 1990)

ფრიც ეიხენბერგი დაიბადა 1901 წელს გერმანიაში არარელიგიურ ებრაულ ოჯახში. სწავლობდა ხელოვნებას და დაეუფლა გრაფირების ოსტატობას. მოგვიანებით მან ეს ხელოვნება გამოიყენა საკუთარი მორალური და სოციალური პოზიციების გამოსახატად, მათ შორის ნაცისტური მოძრაობის აღზევებისადმი დასაპირისპირებლად, რაც ანტიჰიტლერული კარიკატურების ხატვით გამოიხატებოდა.

როდესაც ხელისუფლებაში ნაცისტები მოვიდნენ, ეიხენბერგმა ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი. ცოლის ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ რელიგიაში პასუხების ძიებამ იგი კვაკერებამდე მიიყვანა. ეიხენბერგი მოხიბლა კვაკერების უბრალოებამ და მყუდროებამ ისევე, როგორც მათმა ხედვამ "მშვიდობიან სასუფეველზე" და როგორც ჯორჯ ფოქსმა ბრძანა, "თითოეულ ჩვენგანში ცხოვრობს ღვთის რაღაც ნაწილი."

1949 წელს ეიხენბერგი შეხვდა კათოლიკე პაციფისტ დოროთი დეის და მისი წყალობით ჩაება კათოლიკე მუშათა მოძრაობაში. აქ თავი მოიყარეს სხვადასხვა რწმენის ღარიბ-ღატაკმა ადამიანებმა, რომლებიც ერთად იბრძოდნენ სოციალური სამართლიანობისათვის.


საბოლოოდ მისმა თანამშრომლობამ კათოლიკე მუშებთან რეგულარული ხასიათი მიიღო და ეიხენბერგმა დაიწყო მოძრაობის გაზეთთან თანამშრომლობაც. მისი უძლიერესი ნახატები წარმოსახავდნენ იესოს ღარიბ-ღატაკი ადამიანების ტანჯვის კონტექსტში. მისი ნამუშევრებიდან გამოირჩევა ”იესო უფასო სასადილოს რიგში“, სადაც ჩამოძონძილი იესო საჭმლის მოლოდინში სხვა მშვიერ ადამიანებთან ერთად დგას რიგში.

როგორც ხელოვანი და მორწმუნე ადამიანი, იგი ხედავდა, რომ იესოსთან მიახლოების საწინდარი მოყვასის გასაჭირის გაზიარება იყო. მისი წმინდანების გამოსახულებები განსაკუთრებით დიდი პოპულარობით სარგებლობდა მის კოლეგებს შორის. ეიხენბერგი გამოსატყავდა არა მხოლოდ იმ წმინდანებს, რომლებსაც ეკლესია აღიარებდა (მაგალითად, წმინდა ფრანცისკო ასიზელი), არამედ იმ ადამიანებსაც, რომლებიც თავისებურად ცდილობდნენ, მიახლოებოდნენ უფალს. ასეთ წმინდანთა ისტორიები წარმოჩენილი ჰქონდა სხვადასხვა რასისა თუ რელიგიის მიმდევართა ცხოვრებიდან. არაქრისტიანი განდი საპატო ადგილს იკავებდა მის მიერ გამოსახულ წმინდანთა რიგებში.

ფრიც ეიხენბერგი გარდაიცვალა 1990 წელს და დატოვა ძალიან მდიდარი კოლექცია ხელოვნების ნიმუშებისა, რომელთაგან ზოგი ამერიკის შეერთებულ შტატებში, სმიტსონიანის მუზეუმში ინახება.

კითხვები გააზრებისათვის

- ოდესმე თუ ვსმენიათ ასეთი გამოთქმა „მშვიდობიანი სასუფეველი“? ამ ფრაზას შეიძლება შევხვდეთ ძალიან ბევრ სფეროში, როგორც ფილმებში, ისე სულიერებასა და ნაციფხ ხელოვნებაში. თქვენთვის რის გამო შეიძლება ეიხენბერგისეული ეს ხედვა იყოს მიმზიდველი?
- თქვენი აზრით, რომელი მხატვრები გვიღებენ საზოგადოების უფრო ფართო ფენებისაკენ კარს? რომელი მხატვრული ნაწარმოები გეხმარებათ რწმენისა და ადამიანური ურთიერთობების შესახებ თვალსაწიერის გაფართოებაში?
- მიუხედავად იმისა, ადამიანი რელიგიურია თუ არა, წმინდანთა გამოსახულებები ყველასათვის მისაღებია. წმინდანების გამოსახულებებს შეიძლება შევხვდეთ სატელევიზიო სერი-ალებში, დისკებზე, მისალოც პარათებზე. რამდენადაა ეს გამოსახულებები თქვენი შთაგონების წყარო? ეიხენბერგის მსგავსად, ოდესმე თუ აღმოგიჩენიათ წმინდანი თქვენი საკუთარი რელიგიის მიღმა?



**თავი ოცდამეხამე
აბრაამ იეშუა ჰეშელი
(1907-1972)**

აბრაამ იეშუა ჰეშელი დაიბადა 1907 წელს ვარშავაში, პოლონეთში, როგორც დედის, ისე მამის მხრიდან გამონიჭილი რაბინების შთამომავალთა ოჯახში. იგი გერმანიაში სწავლობდა თავისი დროის ერთ-ერთ უდიდეს რაბინთან და მოგვიანებით თავადაც რაბინი გახდა. როდესაც ხელისუფლებაში ნაცისტები მოვიდნენ, ჰეშელი ჯერ ინგლისში და მოგვიანებით ამერიკის შეერთებულ შტატებში გადასახლდა. ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს იუდაისტურ თეოლოგიურ სემინარიაში (კონსერვატიული იუდაიზმის სემინარია) პროფესორი გახდა.

ჰეშელი ცდილობდა, დაეხლანსებინა ებრაული რჯული, როგორც ტრადიციული ებრაული ყოველდღიურობის ნაწილი და დაენერგა რჯულის უფრო სიღრმისეული სიყვარული. მან შეძლო ადათებსა და რჯულს

შორის ოქროს შუაღელის მოძებნა, რაც ძალიან დელიკატური საქმე იყო.

იგი განსაკუთრებით სწავლობდა წინასწარმეტყველებს და მათი სწავლება მიუსადაგა ამერიკის შეერთებულ შტატებში სოციალური სამართლის საკითხებს. იმ დროისათვის აკადემიურ წრეებში ებრაელი თეოლოგების უმრავლესობა საკუთარი საკლასო ოთახებიდან შორს გასვლას ვერ ბედავდა. თითებზე ჩამოსათვლელია ის აკადემიკოსები რაოდენობა, რომლებიც სამოქალაქო და სოციალური სამართლიანობისათვის ბრძოლის მომძღვრებულ ტალღაში გადაეშენენ.

ჰეშელმა მამაცურად გაიარა თავისი გზა. იგი ასწავლიდა, რომ წინასწარმეტყველური ტრადიცია მისგან ითხოვდა როგორც ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო სამართლის მოძრაობაში, ისე საბჭოთა კავშირში ებრაელთა გათავისუფლებისათვის ბრძოლაში ჩაბმას.

სოციალურ საკითხებში მისი აქტიურობის წყალობით ჰეშელი დაუახლოვდა ბევრ ქრისტიან ლიდერს, მათ შორის დოქტორ მარტინ ლუთერ კინგს. იგი კინგის გვერდით მიაბიჯებდა საპროტესტო მსვლელობებში სელმასა და ალაბამაში და ამბობდა: "როცა სელმაში მივაბიჯებ, ჩემი ფეხები ღოცულობენო". რელიგიურ სულისკვეთებასა და თავდადებას ის მოიაზრებდა ჯანსაღი და სწორი ადამიანური ცხოვრების ფუნდამენტად. იგი ამბობდა, რომ ვერც ერთი რელიგია ვერ შეძლებს, სრულად მოიცვას ჭეშმარიტება. ასე რომ, ყველა რელიგიური თემი მჭიდროდ უნდა იყოს ერთმანეთთან დაკავშირებული კაცობრიობის საკეთილდღეოდ.

თუმცა თავად ჰეშელი ბოლომდე დარჩა ღრმად მორწმუნე იუდეველად, მეტიც, იგი იყო თითქმის ორთოდოქსი იუდეველი თავისი რელიგიური ცხოვრებით, მან წამოსწია ეს პროვოკაციული და შთამაგონებელი სწავ-

ლებები.

მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე იგი ზრუნავდა სხვადასხვა რწმენის ადამიანების ურთიერთობის საკითხებზე. ჰეშელი არჩეული იქნა ამერიკის იუდეველობის წარმომადგენლად რომის კათოლიკური ეკლესიის წინამძღოლებთან კონსტრუქციული დიალოგისას ვატიკანის მეორე კრებაზე 1960 წელს. ამ დიალოგის შედეგად კათოლიკურ მიდგომებსა და ლიტურგიაში აშკარად შეიმჩნევა გადახრა იუდაიზმისაკენ. ინტერდენომინაციური ურთიერთობებისადმი მისი გულდია დამოკიდებულებისა და მოწადინების გამო ჰეშელი გახდა პირველი ებრაელი, რომელიც მიწვეული იქნა ამერიკის შეერთებული შტატების ყველაზე დიდ პროტესტანტულ თეოლოგიურ სემინარიაში.

ჰეშელი იყო ერთ-ერთი დამაარსებელი ორგანიზაციისა “ერი და ბერი ვიეტნამის შესახებ“. იგი გახდა ამ ინტერრელიგიური ორგანიზაციის თანათავმჯდომარე, რომელიც იბრძოდა ომის დასრულებისათვის, რადგან კარგად ხედავდა, რაც ხდებოდა ამერიკის სულში. იგი ამბობდა: “ვიღაც დამნაშავეა, მაგრამ ჩვენ ყველანი პასუხისმგებელი ვართ“. როგორც მორწმუნე ადამიანს, ყოველთვის სააშკარაოზე გამოჰქონდა თავისი დროის უმნიშვნელოვანესი პრობლემები.

კითხვები გააზრებისათვის

- *ამერიკაში რელიგიური ლიდერებიდან ყველაზე ხშირად ჰეშელის სიტყვების ციტირება ხდება, რადგანაც მას გააჩნდა ნიჭი ისეთი იდეების გამოტანისა სააშკარაოზე, რომლებზეც სხვებს ენათიერებოდათ საუბარი. რას გულისხმობდა იგი, როცა ამბობდა, ფეხები ღოცულობენო? ოდესმე თუ განვიცდით რაიმე მსგავსი?*
- *ეთანხმებით მის ნათქვამს: |ვიღაც დამნაშავეა, მაგრამ ჩვენ ყველანი პასუხისმგებელი ვართ“ ჩვენ გარშემო მომძლავრებულ ბოროტებაზე? რომელ საკითხებს სამოთხელიდით?*
- *სხვადასხვა სარწმუნოებისა და კულტურის ადამიანები*

*თანაბრად საუბრობენ ომებისა და სიღატაკის საკითხებზე.
შეგიძლიათ გაიხსენოთ თქვენ გარშემო განსხვავებული
სარწმუნოების ადამიანი, ვისი საქციელიც თქვენთვის შთა-
გონების წყაროა?*



თავი ოცდამეოთხე
ჟაკ მარიტენი
(1882-1973)

ჟაკ მარიტენი მე-20 საუკუნის ყველაზე თვალსაჩინო კათოლიკე ფილოსოფოსია. ის პროტესტანტების ოჯახში დაიბადა, მაგრამ სტუდენტობისას აგნისტიკოსი გახდა. მოგვიანებით მან ცოლად შეირთო რაისა უმენსოვი, ებრაელი ემიგრანტი რუსეთიდან და მათ სულიერ ძიებებს ერთად მიჰყვეს ხელი. ფილოსოფოს ანრი ბერგსონის და მწერალ ლეონ ბლოის გავლენით გადაინაცვლეს კათოლიციზმში და მხურვალედ ჩაერთვნენ ეკლესიის ცხოვრებასა და მუშაობაში.

საბოლოოდ მარიტენი ჩამოყალიბდა ფილოსოფოსად. თავის ნაზრევში იგი ცდილობდა, თანამედროვე ჟღერადობა მიეცა თომა აკვინელის სქოლასტიციზმისთვის. იგი ერთიანობაში განიხილავდა რწმენას, აზრსა და კულტურას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობდა პირადი უფლებებისა და საზოგადოებისთვის სარგებლობის ურთიერთმიმართებას. თავდაპირველად იგი

ჩართული იყო მემარჯვენე კათოლიკურ მოძრაობაში, რომელიც საბოლოოდ დაგმო ვატიკანმა. ამ მოვლენებმა ბიძგი მისცა მისი ღრმა თვითშემეცნების პერიოდს. მარიტენი დემოკრატიისა და “ინტეგრალური ჰუმანიზმის” ენერგიული დამცველი გახდა. ამ კონცეფციაში მან ადამიანის მიმართ მოწიწების ქრისტიანული ღირებულებები დაუკავშირა იმდროინდელ სოციალურ და პოლიტიკურ კონტექსტს.

მარიტენისათვის ძირითად პრობლემად იქცა ქრისტიანული ანტისემიტიზმი ნაციზმის აყვავებისა და II მსოფლიო ომის დროს. პოლიტიკურ ასპექტებზე მეტად მარიტენი ამ პრობლემაში ხედავდა თეოლოგიურ კრიზისს. იგი შეძრწუნებული აკვირდებოდა, თუ რა მონდომებით მონაწილეობდნენ ფრანგი ქრისტიანები ფრანგი ებრაელების ნაცისტურ საკონცენტრაციო ბანაკებში გაგზავნაში. როდესაც გერმანიამ საფრანგეთი დაიპყრო, მარიტენი რაისასთან ერთად შეერთებულ შტატებში იმყოფებოდა, სადაც ის ლექციებს კითხულობდა. დევნილობაში მყოფი, მარიტენი გაცხარებული წერდა ანტისემიტიზმზე და არა მხოლოდ მის გერმანულ-ნაცისტურ გამოხატულებაზე, არამედ იმ ფორმებზეც, რომლითაც ამას კათოლიციზმი გამოხატავდა მთელ მსოფლიოში.

მარიტენი წერდა: “დაუშვებელია ანტისემიტიზმთან შეგუება; მასში, როგორც ჩანასახში, ნაციზმის ყველა სულიერი ცოდვაა თავმოყრილი. ანტისემიტიზმი ქრისტიანული სინდისის მორალური “მესუთე კოლონა”.

იგი ხედავდა შეწუხებულ ანტისემიტ ქრისტიანებს, რომლებიც თავს ესხმოდნენ ებრაელებს იმ მოტივით, რომ მათ აწამეს ქრისტე და არ ცნეს ჯვარი, როგორც მშვიდობის სიმბოლო. მარიტენი თანაუგრძნობდა ებრაელებს იმ თეოლოგიური საკითხების განხილვაში, რომლებიც პოლოკოსტის შემდეგ წარმოიშვა და რომლებიც ისრაელის სახელმწიფოს შექმნას ეხებოდა. მაგრამ იგი

ასევე ხედავდა საკუთარ მისიას ქრისტიანობასთან დაკავშირებით. მარიტენი სისტემატურად მოუწოდებდა ქრისტიანებს, “განეწმინდათ აზრები და ენა ისეთი ანტისემიტური ტენდენციებისგან, რომლებიც წარსული შეცდომებიდან მოდის და რომელთაც არაფერი აქვთ საერთო ქრისტიანობის არსთან და მოეშორებიანთ, როგორც პარაზიტები”.

ის წერდა: ”ჩვენ ერთადერთი გზა გვაქვს: მეგობრობის, პატივისცემისა და ურთიერთგაგების გზა ქრისტიანებსა და ებრაელებს შორის”.

პაპმა პავლე VI-მ სხვა მოღვაწეებთან ერთად პატივი მიაგო მარიტენს ვატიკანის მეორე საბჭოს დახურვისას სპეციალური მიმართვით, რომელშიც მათ უწოდა “წინამძღოლები ფიქრსა და მეცნიერებაში”. კერძოდ, პაპმა თქვა: “ჩვენ შენი მეგობრები ვართ დასვენებასა და კვლევაში, ჩვენ ვიზიარებთ შენს დაქანცულობას, ჩვენ ვართ შენი თაყვანისმცემლები, როცა წარმატებებს აღწევ და შენი მანუგეშებლები, თუ არ გაგიმართლებს”.

კითხვები გააზრებისათვის

- მარიტენი ძლიერი სულიერი ვნებით წერდა. შეგიძლიათ ქვენც იმავე ვნებით დაგმთ ანტისემიტიზმი თუ სხვა რელიგიური საფუძვლის მქონე სიძულვილი?
- საჭიროა ასეთი სულიერი თავგანწირვა ჩვენს საზოგადოებაში, მაგალითად, უმცირესობათა დაცვის დროს, რომლებიც რელიგიური ფანატიზმის მსხვერპლნი არიან?
- როდესაც პაპმა პავლე VI-მ თქვა: “ჩვენ შენი დამხმარენი ვართ, როცა დაიღლები”, როგორ გგონიათ, რას გულისხმობდა ამ სიტყვებში? ზოგჯერ, როცა რაიმე ხდება, ჩვენც ფრონტის წინა ხაზზე გვიხმობენ, მაგრამ რას უნდა ნიშნავდეს სხვისი დაქანცულობის გაზიარება?

თავი ოცდამეხუთე

ჰ. ა. მუკტი ალი 1923-2004

დოქტორი ჰ. ა. მუკტი ალი რელიგიის საქმეთა მინისტრი იყო ინდონეზიაში 1971-1878 წლებში. მან ისლამი შეისწავლა ინდოეთსა და კანადაში და სერიოზული ცოდნა ჰქონდა მისი როგორც აღმოსავლური, ისე დასავლური პერსპექტივებისა. მან შეიმუშავა რელიგიური მიდგომა ინდონეზიაში, ძირითადად კი მუსლიმურ თემში აკადემიური კვლევების ისლამის შესწავლაში გამოყენებისა. იგი იყო ღვთისმოსიში მუსლიმი, რომელიც წინააღმდეგობებს ხედავდა რელიგიურ ღვთისმოსიშეებასა და სერიოზულ კვლევას შორის.

მუკტი ალის სწამდა, რომ რწმენა ყალიბდება სოციალური გარემოს წიაღში. არსებობდა ურთიერთმიმართების დინამიკა დოგმასა და პრაქტიკას, იდეებსა და საზოგადოებას შორის. სწორედ ამ დინამიკის შედეგია ცოცხალი რელიგია. ინდონეზიაში ისლამი შერწყმული იყო ადგილობრივ კულტურასთან. მუკტი ალის უყვარდა თქმა: “მე ინდონეზიელი მუსლიმი ვარ“. ამით საკუთარი იდენტობის ორ ასპექტს აერთიანებდა.

ყველა ინდონეზიელი მუსლიმი როდი იყო. რელიგიის საქმეთა მინისტრობისას მუკტი ალიმ სათავე დაუდო ხელისუფლების ინიციატივით დაწყებულ ინტერრელიგიურ დიალოგს, რომლის დროსაც ძალიან ბევრი შეხვედრა მის საკუთარ სახლში იმართებოდა. ის აგრეთვე მონაწილეობდა მსოფლიო მასშტაბის ქრისტიანთა და მუსლიმთა დიალოგში. მისი მოთხოვნა იყო, რომ უცხო ქვეყნებიდან მოსული დახმარება და რელიგიური პროპაგანდა არ არეულიყო ერთმანეთში; ჰუმანიტარული ორგანიზაციებისაგან მოითხოვდა, რომ დახმარება ერთნაირად მიეცათ როგორც ქრისტიანების,

ისე არაქრისტიანებისათვის, მით უფრო ისეთ ქვეყნებში, როგორც ინდონეზიაა, სადაც არაქრისტიანების რაოდენობა გაცილებით მეტია. ბევრი ქრისტიანი აქტივისტისათვის მისი პოზიცია მიუღებელი იყო და მას ოპონენტად თვლიდნენ. მიუხედავად ამისა, მუქტი ალის არ შეუქცევია ზურგი რელიგიური დიალოგისათვის, რადგანაც მიაჩნდა, რომ ეს იყო აუცილებელი ინდონეზიაში რელიგიურ ნიადაგზე განაღებულ კონფლიქტის დასარეგულირებლად.

მუქტი ალის მიაჩნდა, რომ განვითარებაზე ზრუნვა უმთავრესი იყო. განვითარების საბოლოო მიზნად მას ესახებოდა ადამიანის “სრული განვითარება“ და თვლიდა, რომ ყველა ადამიანს უნდა მისცემოდა ეს შესაძლებლობა. ეს გულისხმობს ცხოვრების როგორც სულიერ, ისე მატერიალურ ასპექტებს. განვითარების პროცესში მუქტი ალი სოციალურ სამართლიანობას ეკონომიკურ კეთილდღეობაზე წინ აყენებდა. ის ყველა რელიგიაში ხედავდა სამართლიანობისაკენ მოწოდების ასპექტებს.

მუქტი ალი თვლიდა, რომ ყველა ადამიანი თავისუფალი უნდა იყოს რელიგიური უფლებებისა და მოვალეობების ცხოვრებაში გასატარებლად – ჰარმონიული თანაცხოვრებისათვის, როცა ერთი საზოგადოების წევრები განსხვავებული რწმენის მიმდევრები არიან.

იგი წერდა: ”რელიგიური ცხოვრების ჰარმონია მხოლოდ იმ შემთხვევაში მიიღწევა, თუკი თითოეული რელიგიური ჯგუფი ერთმანეთს გულს გაუხსნის, ამისათვის თავიდანვე უნდა შევთანხმდეთ, რომ ზოგ რამეში ვერ მოვრიგდებით.“

მუქტისათვის ჰარმონიის მიღწევა უმთავრესი ზრუნვის საგანი იყო. ის მოუწოდებდა განსხვავებული სარწმუნოების შესწავლას შიდა პერსპექტივიდან. ამისათვის მუ-

კტი ალი აწყობდა რელიგიური ლიდერების შეხვედრებსა და ახალგაზრდულ ბანაკებს, სადაც მათ ერთმანეთის შესწავლა ურთიერთობით შეეძლოთ. ამ ყველაფერში მონაწილეობდნენ როგორც მუსლიმები, ისე კათოლიკე და პროტესტანტი ქრისტიანები, ინდუსიტები და ბუდისტები, კონფუციანელები და ჯავანის აბორიგენი მისტიკოსები. მონაწილეები აყალიბებდნენ ურთიერთობებს და საერთო საჭიროებებზე საუბრობდნენ.

მიუხედავად იმისა, რომ ამ პროგრამებმა მისი ოცნებები სრულად ვერ განახორციელა, მუკტიმ თავისი საქმით ინტერრელიგიურ დიალოგს საფუძველი ჩაუყარა. ამ საფუძველზე მომავალ ლიდერებს შეეძლებათ დააშენონ ის, რაზეც მუკტი ალი ოცნებობდა.

კითხვები გააზრებისათვის

- *ოდესმე თუ ყოფილხართ ისეთ ბანაკში, სადაც სხვადასხვა სარწმუნოების ადამიანები იღებდნენ მონაწილეობას? თუ ასეთი გამოცდილება გაქვთ, გვითხარით, რა გავლენა იქონია ამან თქვენზე? თუ არ ყოფილხართ, მაშინ როგორი ბანაკით დაინტერესდებოდით?*
- *მუკტი ალი საკუთარ თავს განსხვავებულად წარმოაჩენდა სხვების წინაშე. როგორ ვააცნობდით თქვენს სარწმუნოებას, რასას ან ეთნიკურობას სხვა ადამიანებს? საკუთარი თავის დახასიათებისას გამოყენებული სიტყვები რამდენად გამოხატავს თქვენი ცხოვრების პრიორიტეტებს?*
- *მუკტი ალი ინტერრელიგიური დიალოგისათვის იყენებდა საკუთარ სახლს, სადაც თავს იყრიდნენ განსხვავებული ტრადიციის ადამიანები. შეგიძლიათ მსგავს დიალოგს უმასპინძლოთ საკუთარ სახლში? როგორ მოემზადებოდით ასეთი შეხვედრისათვის? ვის მოიწვევდით?*



თავი ოცდამეექვსე

იმამ მუსა ალ-სადრი

(1928-1978)

იმამ მუსა ალ-სადრი წამყვანი შიიტი მოღვაწე იყო სამხრეთ ლიბანში მეოცე საუკუნის 60-70-იან წლებში. ის განსაკუთრებით ზრუნავდა სიღარიბის აღმოფხვრასა და განათლების შესაძლებლობის შექმნაზე ლიბანის სოციალურ და პოლიტიკურ სისტემაში ყველაზე უუფლებო კატეგორიისათვის. მან დააარსა მრავალი სოციალური სამსახური, საკვირაო სკოლები, საბავშვო ბაღები, ჯანდაცვისა და წერა-კითხვის გამავრცელებელი ცენტრები.

ალ-სადრი იყო წამყვანი პოლიტიკური ფიგურაც. მან ჩამოაყალიბა მოძრაობა მარონიტი ქრისტიანების პოლიტიკური დომინირების შესაწყვეტად და მთავრობის იმ გადაწყვეტილებების გასაპროტესტებლად, რომლებიც საერთოდ არ უწევდა ანგარიშს სოფლის დარიბ მოსახლეობას. როდესაც სამოქალაქო ომი დაიწყო, მან

დააარსა ამაღლის მოძრაობა, როგორც ჩაგრულთა მოძრაობის სამხედრო ფრთა.

მიუხედავად მისი ღვაწლისა ამაღლის გასამხედროებულ მოძრაობის შექმნაში, იგი სამოქალაქო ომის პერიოდში ასევე აქტიურად იყო ჩართული მშვიდობის შენების საქმეში. მისი პირადი ინიციატივა იყო შიმშილობა მშვიდობისათვის და სახალხო დემონსტრაცია ორი ქრისტიანული სოფლის – კაპის და დარ აღ-აჰმარის ალყის მოსახსნელად. მან საფას მენეთი გადააქცია საზოგადოებრივი და რელიგიური ლიდერების შეხვედრის ცენტრად, სადაც მათ შეეძლოთ ხმა აემადლებინათ სამოქალაქო ომის წინააღმდეგ. საბოლოოდ მან დატოვა ამაღლი, რადგან სურდა, თავისი პროტესტი გამოეხატა მზარდი ძალადობის წინააღმდეგ.

მრავალი წლის განმავლობაში იმამ აღ-სადრი რელიგიური ერთობის მისაღწევად განსაკუთრებულ მგრძობელობასა და შეთანხმების უნარს იჩენდა, იმ დროს, როდესაც ქვეყანაში რელიგიათაშორისი დაძაბულობა კულმინაციას აღწევდა. მას სჯეროდა, რომ მშვიდობიანი თანამშრომლობა რელიგიებს შორის ყველაზე ძლიერი არგუმენტია შიიტი უმცირესობების ჩასართავად ლიბანის პოლიტიკურ ცხოვრებაში. იგი მრავალი ისლამურ-ქრისტიანული დიალოგის მონაწილე იყო და საბოლოოდ, კათოლიკე არქიეპისკოპოსთან ერთად დააარსა რელიგიათაშორისი სოციალური მოძრაობა ღატაკებისა და გარიყულების დასახმარებლად. აღ-სადრი სათავეში ჩაუდგა სამხრეთ ლიბანის ქრისტიანი და მუსლიმი სულიერი ლიდერების კომიტეტს, რათა მას ემუშავა ორივე ჯგუფის მიერ გაზიარებულ პოლიტიკურ და სოციალურ პრობლემებზე.

იმამ აღ-სადრი დიალოგით როდი შემოიფარგლა: მას არ აკმაყოფილებდა მხოლოდ თვალსაჩინო როლი. მან მრავალი გადამწყვეტი ხასიათის და რისკიანი ქმედებაც განახორციელა. მაგალითად, როდესაც ტირის მუსლიმი

მოსახლეობა ბოიკოტს უწყობდა სანაყინეს მხოლოდ მისი მეპატრონის რელიგიური კუთვნილების გამო, იმამ ალ-სადრიმ თავისი პარასკევის ღლოცვა ამ მაღაზიისკენ მსვლელობით დაამთავრა. ხალხი მას ბრმად გაჰყვა. როდესაც იმამი სანაყინეში შევიდა, მან ნაყინი შეუკვეთა და რელიგიური ბოიკოტიც დასრულდა.

1978 წლის აგვისტოში იმამ ალ-სადრი და მისი ორი თანმხლები პირი ლიბიაში გაუჩინარდნენ. ისინი გაემგზავრნენ ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებში, რათა მოეპოვებინათ დახმარება ლიბანში სამოქალაქო ომის დასამთავრებლად. ამის შემდეგ მათ შესახებ აღარავის სმენია.

კითხვები გააზრებისათვის

- *სანაყინისკენ მსვლელობა არჩევულებრივი მაგალითია ადგილობრივ დონეზე მარტივი, პირდაპირი და წარმატებული აქციისა. ჩვენთანაც ხომ არ ვიცნობთ საზოგადოებრივ ადგილებს, სადაც ჩაგვრასა და ორმაგი სტანდარტით მოპყრობას ვხვდებით? რას მოიმოქმედებთ ამ დროს?*
- *გაწუხებთ თუ არა, როდესაც თქვენს სალოცავ ადგილას (მაგ. ეკლესიაში) ომისა და მშვიდობის თემებზე საუბრობენ?*
- *იმამ ალ-სადრიმ იცოდა, რომ განათლება უპირველესია სხვადასხვა რელიგიური ჯგუფის კარმონიული თანაარსებობისათვის. თქვენს ქვეყანაში არსებობს რაიმე საგანმანათლებლო პროგრამა, რომელიც სხვა რელიგიური ტრადიციების შესახებ გააერცვლებდა ცოდნას?*



**თავი ოცდამეშვიდე
ქრისტიან დე შერჟე
(1937-1096)**

ქრისტიან დე შერჟე, კათოლიკე მღვდელი და ალჟირში ტრაპისტების მონასტრის წინამძღვარი იყო. ახალგაზრდობაში, 1958 წელს, იგი მსახურობდა საფრანგეთის არმიაში, რომელიც ალჟირის განმათავისუფლებელი ომის წინააღმდეგ იბრძოდა. ეს ომი განსაკუთრებული სისასტიკით გამოირჩეოდა. ერთ-ერთი სამხედრო ოპერაციის დროს მისი სიცოცხლე იხსნა მოჰამადმა, მისმა მუსლიმმა მეგობარმა და პოლიციის ოფიცერმა. იგი თავისი სხეულით გადაეფარა შერჟეს. იმ მომენტში ორივე გადარჩა, თუმცა მეორე დღეს მოჰამადი მოკლეს. ამ თვითშეწირვის აქტმა მორწმუნე მუსლიმის მხრიდან გამოიწვია ის, რომ დე შერჟემ სეკულარული ცხოვრების წესი შეცვალა და მორწმუნე ქრისტიანი გახდა. მრავალმა ფრანგმა მისიონერმა და რელიგიურმა მოღვაწემ დატოვა ქვეყანა ალჟირის დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ 1962 წელს. მხოლოდ ტრაპისტების ქრისტიანული მისია დარჩა ქვეყნის გაჯანსაღებაში მონაწილეობის მისაღებად.

დე შერჟე რომში მღვდლობისთვის ემზადებოდა და

როდესაც სწავლა დაასრულა, გაამწესეს ატლასის ღვთისმშობლის მონასტერში ალჟირში. სამონასტრო განაწესის შესრულებასა და ლოცვასთან ერთად ბერებმა ქრისტიანებს და მუსლიმებს ერთობლივი ლოცვისთვის დაუთმეს მონასტრის სივრცე. მონასტრის შიდა შენობა მეჩეთს დაეთმო და ზარების რეკვა და მუსლიმთა სალოცავად მოხმობა ერთმანეთში ირეოდა. დე შერჟეს სწამდა, რომ ჩვენს ღმერთს სხვა ადამიანის თვალებში ვხედავთ და დასძინა, რომ მან ქრისტე თავისი მუსლიმი მეგობრებისა და მეზობლების სახეებში ამოიცნო.


1993 წელს ალჟირი აჯანყებამ მოიცვა. მიუხედავად იმისა, რომ მეზობლად მცხოვრები მოსახლეობა ტრაპისტ ბერებს სანდო ადამიანებად აღიქვამდა, ზოგიერთი ექსტრემისტისთვის ისინი “უცხოელ ურჯულოებად” რჩებოდნენ. აჯანყებულებმა ყველა უცხოელს ულტიმატუმი წაუყენეს, რომ დაეტოვებინათ ქვეყანა, მაგრამ ტრაპისტები დარჩნენ და უარი თქვეს სამხედრო დაცვაზე. მამა დე შარჟე წერდა: “ჩვენთვის ეს არის რწმენის მოგზაურობა მომავალში და ღვთის საჩუქრის გაზიარება ჩვენს მეზობლებთან, რომლებიც ყოველთვის ახლო კავშირში იყვნენ ჩვენთან”. მან შინ წერილი გაგზავნა, რომ მზად ყოფილიყვნენ მისი სიკვდილისთვისაც.

1996 წელს აჯანყებულებმა დაიკავეს მონასტერი და შეიპყრეს დე შარჟე და მისი ბერები. ერთი კვირის შემდეგ მათ თავები მოჰკვეთეს. მოგვიანებით დე შერჟეს ოჯახმა გახსნა და ფართო საზოგადოებას გააცნო მისი წერილი, სადაც იგი ლოცულობს და პატიებას ითხოვს თავისი მკვლელებისათვის იმ იმედით, რომ მათი ქცევა არ გახდება ალჟირელი ისლამისტების მიმართ უარყოფითი სტერეოტიპის შექმნის საფუძველი. მან დაამთავრა იმედით, რომ იმ სამყაროში შეურიგდა მის მიერ პატიებულ მკვლელებს: “იქნება ნება ღვთისა და ჩვენ ისევ შევხვდებით ერთმანეთს ბედნიერი, კეთილი

ქურდები სამოთხეში, ყველა ჩვენგანის მამის, ღვთის წინაშე. ამინ! ალაჰი იყოს ჩვენი მფარველი”.

კითხვები გააზრებისთვის

- გეცნობათ “კეთილი ქურდების” სხენება წერილში? შეგიძლიათ გაისხნოთ სხვა მაგალითი რელიგიური ტრადიციებიდან, სადაც აღამიანები თავდავიწყებით პატიობდნენ სხვებს?
- რომელიმე სხვა ჯგუფის წევრს ხომ არ გაუკვირებიათ განსაკუთრებული სიკეთით? ხომ არ გაგზუნიათ სურვილი, ასეთი სიკეთე თქვენც ჩავედინათ?
- გარკვეული სიგნალები (ზარების რეკვა, მოლას ხმა) ჩვენთვის ღოცვის დროსთან ასოცირდება. რა არის ის, რაც ღოცვისკენ მოგიწოდებთ?



**თავი ოცდამეგრვე
სატგურუ სივაია სუბრამუნიასვამი
(1927-2001)**

სატგურუ სივაია სუბრამუნიასვამი, რომელსაც სიყვარულით მოიხსენიებდნენ, როგორც გურუდევას, იყო XX საუკუნის უკანასკნელი 5 დეკადის განმავლობაში ინდუიზმის ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო მასწავლებელი. მან ჰავაიზე დააარსა ინდუისტური კომუნა – მისი ძირითადი ბაზა, როდესაც იგი **ინდუიზმის** საივიტურ ტრადიციას ავრცელებდა მსოფლიოში მოგზაურობის დროს. მისი სწავლება ეხებოდა შინაგან სულიერ გზას, იოგას პრაქტიკისა და პიროვნული ტრანსფორმაციის გავლით.

გურუდევა განსაკუთრებით ზრუნავდა იმაზე, რომ თავისი მოძღვრება მიეწვდინა ინდუისტური დიასპორებისთვის, ამიტომ მოგზაურობის დროს ეხმარებოდა იმიგრანტებს ახალი ტაძრების დაარსებაში. იგი 30-ზე მეტი წიგნის ავტორია და დამფუძნებელი ძალზე

გავლენიანი ჟურნალის – “ინდუიზმი დღეს”. ჟურნალი ახლებური მიდგომა რელიგიათაშორის ურთიერთობაში, რადგან მისი შინაარსიც და ფორმაც ინდუიზმის პრინციპებსა და ტრადიციებს მეტად მარტივი და მისაწვდომი ფორმით წარმოადგენს, რითაც არაინდუისტ მკითხველსაც იზიდავს. თავისი სწავლებით და მედიამოღვაწეობით გურუდევამ XX საუკუნის დასასრულს დიდი როლი ითამაშა ინდუიზმის განვითარებაში.

თუმცა გურუდევა ინდუიზმის განვითარებას ემსახურებოდა, მისი მოღვაწეობა ასევე მნიშვნელოვანია გლობალური რელიგიათაშორისი ურთიერთობების საქმეშიც. ის იყო ინდუიზმის წარმომადგენელი სულიერი და საპარლამენტო ლიდერების გლობალურ ფორუმში ადამიანთა გადასარჩენად. გურუდევა შეუერთდა სხვა რელიგიურ, მეცნიერებისა და პოლიტიკურ ლიდერებს, რათა ერთობლივად ემუშავათ კაცობრიობის მომავალზე, როგორც ისინი ამას უწოდებდნენ. ეს ერთ-ერთი გზა იყო მისი მსოფლმხედველობის განხორციელებისა, რომლის თანახმად ადამიანებმა ყოველდღიურად ჰარმონიასა და ერთმანეთის სიყვარულში უნდა იცხოვრონ. იგი იმდენად მნიშვნელოვანი მოღვაწე იყო, რომ 1993 წელს არჩეული იქნა მსოფლიო რელიგიათა ასწლიანი პარლამენტის სამიდან ერთ-ერთ პრეზიდენტად.

გურუდევა სხვა რელიგიების წარმომადგენლებსაც მოუწოდებდა, მიეღოთ მონაწილეობა ახალი ინდუისტური ტაძრების დაარსების კამპანიაში. მან აღასკაზე ინდუისტური ტაძრის დაარსების აღსანიშნავ ცერემონიაზე ადგილობრივი მოსახლეობაც მიიწვია.

პოლიტიკოსები აფასებდნენ მის ღვაწლს მშვიდობის შენების საქმეში მსოფლიო მასშტაბით. 2000 წელს იგი დაჯილდოვდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მშვიდობის პრემიით.

გურუდევა 2001 წელს გარდაიცვალა და თავის ბერებს და მიმდევრებს მემკვიდრეობის სახით დიდი

საქმე დაუტოვა გასაგრძელებლად.

კითხვები გააზრებისთვის

- გურუდევა კარგად გაფორმებული და კარგად დაწერილი ჟურნალის საშუალებით სხვადასხვა დენომინაციის ადამიანებს აერთიანებდა შემეცნების სახალისო გამოცდილებით. რომელი ჟურნალია, რომელიც თქვენ მოგწონთ და რომელიც სხვადასხვა რელიგიის ადამიანებისათვის ერთნაირად მისაღებია?
- შეგიძლიათ გაიხსენოთ მაგალითი, როდესაც მედია ცდილობს, გამოიწილოს ადამიანები რელიგიური კუთვნილების მიხედვით? თუ ეს პრობლემა გაწუხებთ, მიიხსენეთ თუ არა შესაძლებლად, შეატყობინოთ ამის შესახებ გამომცემელს?
- რომელი რელიგიის მიმდევართა ტაძრები არსებობს თქვენს რაიონში? ხომ არ ვიფიქრიათ, რომ შესულიყავით სხვა რელიგიის ტაძარში და გაგეგოთ, როგორ ლოცულობენ თქვენი მეზობლები?



თავი ოცდამეცხრე

სუმარტანა (გარდ. 2002)

სუმარტანა იყო ინდონეზიაში ქრისტიანი პროტესტანტების ლიდერი, რომელმაც პირველმა მიიღო მონაწილეობა კონფესიათაშორის დიალოგში განვითარების პრობლემებთან დაკავშირებით. იგი კრიტიკულად იყო განწყობილი ვიწრო გაგებით რელიგიის გამოყენების მიმართ.

მას მიაჩნდა, რომ სოციალური სამართლიანობის დასაცავად რელიგიური ლიდერები უნდა იყვნენ თავისუფალნი თავიანთი აზრის გამოხატვისას.

ამ ძირითადად მაჰმადიან ქვეყანაში სუმარტანა ჩაერთო დიალოგში ქრისტიან და მაჰმადიან ინტელექტუალებთან, რათა აღმოეჩინათ ის გზები, რომელიც გაუძ-

ლიერებს ადამიანებს სილატაკის დაძლევის რწმენას, სილატაკე ხომ ასე თრგუნავს ადამიანებს ამ ქვეყანაში.

1991 წელს სუმარტანამ დააარსა კონფესიათაშორისი დიალოგის ინსტიტუტი, პირველი კონფესიათაშორისი ორგანიზაცია ინდონეზიაში. ამ ორგანიზაციას მხარს უჭერდნენ როგორც ქრისტიანი, ისე მაჰმადიანი ინტელექტუალი აქტივისტები. როგორც ორგანიზაციის დირექტორი, სუმარტანა ეძებდა უფრო მეტ გამოხატვას, ვიდრე უბრალოდ რელიგიურ ჰარმონიას. მისი საბოლოო მიზანი აერთიანებდა რელიგიურ ჯგუფებს და ესმარებოდა ინდონეზიას უფრო ღია დემოკრატიული საზოგადოების შექმნაში.

მას სურდა, რომ ეს ინსტიტუტი პლურალიზმის მაგალითად ქცეულიყო. მან დაწერა: “ეს პლურალისტული ბუნება გადაიქცევა, თავის მხრივ, ყველაზე ჰუმანურ გზად ჩვენი სოციალური პრობლემების მშვიდობიანი გზით გადაჭრის საქმეში.”

ეს გახლდათ უდიდესი გამოწვევა და ზოგჯერ კრიტიკას იმსახურებდა, მაგრამ სუმარტანა თავად კრიტიკულად იყო განწყობილი საკუთარი ქრისტიანული სარწმუნოების ტრადიციების მიმართ. იგი თვლიდა, რომ ქრისტიანობა თავად უნდა გათავისუფლდეს არატოლერანტული განწყობისგან ისლამის მიმართ, თუ ქრისტიანებს თავად სურთ, იყვნენ დემოკრატიული ძალა ამ მაჰმადიანურ ქვეყანაში. ამავე მოსახრებით, სუმარტანა ხაზგასმით აღნიშნავდა, რომ მაჰმადიანობა განსაკუთრებით არ ემსახურება დემოკრატიის მშენებლობას.

მას მოსწონდა ჰანს კუნგის გამოთქმა: “არ არსებობს მშვიდობა საზოგადოებაში მშვიდობიანი კონფესიათაშორისი დამოკიდებულების გარეშე.”

რელიგიების მიმართ ტოლერანტობისა და დემოკრატიის მხარდასაჭერად ორგანიზაცია მართავდა სემინარებს, აწყობდა ტრენინგებს კონფლიქტის გადაჭრის

საკითხებზე, აქვეყნებდა სტატიებს, ატარებდა კვლევებს და სხვადასხვა რწმენის ადამიანებს ეპატიუებოდა, ერთად ელოცათ მშვიდობისთვის.

ოთხმოცდაათიანი წლების დასასრულს მთელ ინდონეზიაში გავრცელდა ძალადობის შემთხვევები სხვადასხვა კონფესიის მქონე ჯგუფებს შორის, იწვოდა ეკლესიები, ხოცავდნენ ადამიანებს. კრიტიკულად განწყობილმა ხმებმა ბრძანეს, რომ კონფესიათაშორისი დიალოგი არაეფექტურია.

ყოველ შემთხვევაში, სუმარტანას და მისი ორგანიზაციის სხვა წევრებს კარგად ესმოდათ, რომ პლურალიზმი და დემოკრატიული პროცესი საკმაოდ გრძელი და რთული იყო. მაგრამ კონფესიებს შორის ძალადობამ არ უნდა შეაფერხოს და ერთუზიაში დააკარგინოს ადამიანებს შორის ურთიერთობას ხიდების მშენებლობაში. კონფესიათაშორისი დიალოგის გზით დაფუძნებულმა ურთიერთობებმა და სხვადასხვა სარწმუნოებრივმა ჯგუფებმა დახმარება აღმოუჩინეს იმ დიალოგის დაწყებას, რომელმაც შეძლო, ხელი შეეშალა ძალადობის შემდგომი განვითარებისთვის.

სუმარტანა გარდაიცვალა 2002წელს, მისი ცხოვრება, როგორც ერთ-ერთი ეროვნული კონფესიათაშორისი პიონერისა, მკაფიო მაგალითად იქცა ინდონეზიელებისთვის.

კითხვები გააზრებისათვის

- *დაფიქრდით პანს კუნგის გამონათქვამზე, რომელიც სუმარტანამ გაიმეორა ინდონეზიაში. რა არის მისი რეალური მნიშვნელობა? როგორ ფიქრობთ, მართალი იყო კუნგი?*
- *როგორ მიიხვეთ, კონფესიათაშორისი ურთიერთობები უნდა იყოს ფოკუსირებული სოციალურ მართლმსაჯულობაზე? თქვენი აზრით, რა არის ის პრობლემები რაზეც შე-*

საძლოა ერთად იმუშაონ სხვადასხვა რელიგიურმა ჯგუფებმა?

- *როდესაც კითხულობთ ახალ ისტორიებს რელიგიურ ძალადობაზე, როგორ მოქმედებს თქვენს ქცევაზე. თქვენს დამოკიდებულებაზე, განერიდებით თუ შეეცდებით, რაზე იღონოთ მის შესახებ?*



თავი ოცდამეათე

ჰარბჰაჯან სინგჰ ხალსა იოგიჯი

(1929-2004)

ჰარბჰაჯან სინგჰ პური დაიბადა 1929 წელს ინდოეთის იმ ნაწილში, რომელიც ამჟამად პაკისტანის ტერიტორიაზეა. ჯერ კიდევ მოზარდი იყო, როცა მოწოდებული იქნა, ყოფილიყო გმირი, წინამძღოლი თავისი ხალხისა.

1947 წელს პაკისტანის ინდოეთიდან გამოყოფის კონფლიქტის დროს სინგჰ პური სულ რაღაც 18 წლისა იყო, მაგრამ მოახერხა თავისი სოფლიდან 7000 კაცის გამოყვანა, რომლებმაც 325 მილი ფეხით გაიარეს, რათა უსაფრთხო თავშესაფარი ეპოვათ ნიუ დელიში.

მოგვიანებით მან ეკონომიკა შეისწავლა და სახელმ-

იფო სამსახური დაიწყო. აკადემიური და პროფესიული კარიერის დროს იგი ასწავლიდა იოგას. 1968 წელს მან დატოვა ინდოეთი, გაემგზავრა ჯერ კანადაში და შემდეგ დასახლდა ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლის მოქალაქეობაც 1976 წელს მიიღო. ამის შემდეგ ოფიციალურად შეიცვალა სახელი და ჰარბჰაჯან სინგჰ იოგიჯს დაერქვა უფრო მოკლე სახელი – იოგი ბჰაგანი.

საუკუნეების მანძილზე კუნდალს იოგას სისტემის მიმდევრები, როგორც წესი, საიდუმლოდ ინახავდნენ იოგას პრაქტიკის ფაქტს. იოგი ბჰაგანმა დაარღვია ეს ტრადიცია, რადგან მიაჩნდა, რომ ფართო საზოგადოებას უნდა ჰქონოდა საშუალება, ესარგებლა კუნდალს იოგას სიკეთით. ამ სისტემას მან უწოდა 3HO

3HO ფონდის თაოსნობით 35 ქვეყანაში 300-მდე ცენტრი შეიქმნა. იოგას ფილოსოფიისა და ვარჯიშების შესწავლის გარდა 3HO ფონდმა წინ წამოსწია ქალთა, ადამიანის უფლებებისა და განათლების საკითხები, როგორც ტრადიციული მედიცინის ალტერნატიული გზა. სწორედ მისი ინიციატივით დაიწყო წამალზე დამოკიდებულთათვის სარეაბილიტაციო პროგრამები, რომელსაც წარმატებით იყენებენ ამერიკის შეერთებულ შტატებში.

იოგი ბჰაგანმა თავისი ეკონომიკური განათლება და სამეწარმეო უნარი გამოიყენა ჯანსაღი კვების ბიზნესის ასაღორძინებლად. იმ პროდუქტებს შორის, რომლის წარმოებასაც იგი უწყობდა ხელს, იყო სასაუზმო ბურღული, სახელად “მშვიდობის ბურღული”. ეს ინოვაცია გამოიყენა იმისათვის, რომ სოციალური პასუხისმგებლობის განცდა აემადლებინა ბიზნესსივრცეში და ხელი შეეწყო ორგანული საკვების წარმოებისთვის.


იოგი ბჰაგანი იყო მსოფლიო მშვიდობისა და

რელიგიური ერთობის დიდი ქომაგი. იგი შეხვდა რელიგიურ ლიდერებს: დალაი ლამას, რომის პაპს პავლე VI, რომის პაპს იოანე პავლე II და კენტერბერის ორ არქიეპისკოპოსს. როგორც წესი, მონაწილეობდა ისეთ მნიშვნელოვან ინტერრელიგიურ ღონისძიებებში, როგორიცაა მსოფლიო რელიგიათა პარლამენტის და მსოფლიო რელიგიათა თანამეგობრობის საქმიანობა. ამ უკანასკნელში იგი მოღვაწეობდა, როგორც თანაპრეზიდენტი. მისი ორგანიზებული იყო “გზათა შესაყარი” სან-ფრანცისკოში და იყო თანადამფუძნებელი ადამიანთა ერთობის კონფერენციის. მშვიდობის საბატომ შებორნში, მასაჩუსეტსი, მიანიჭა მას “სინდისის სიმამაცის ჯილდო” მისი ღვაწლისათვის ინტერრელიგიური ურთიერთობებისა და მსოფლიო მშვიდობის საქმეში.

1985 წელს მან დაამკვიდრა მშვიდობისათვის ღოცვის საერთაშორისო დღე. ყოველწლიურმა მუსიკალურმა დღესასწაულმა და ინტერრელიგიურმა ღოცვამ ძალიან ბევრი ქვეყანა და საერთაშორისო ლიდერი შთააგონა. იოგი ბჰაგანის ცნობილი გამონათქვამია: “თუ არ შეგიძლია ღმერთი დაინახო ყველაფერში, მაშინ საერთოდ ვერ ხედავ ღმერთს.”

კითხვები გააზრებისთვის:

- *გსურთ მონაწილეობდეთ ისეთ ღონისძიებაში, როგორსაც იოგი ბჰაგანი მოუწოდებდა – სადაც სხვადასხვა რწმენის ადამიანები ერთად ღოცულობენ? ამ წიგნის ბოლოს შეგიძლიათ ნახოთ ინფორმაცია მსგავსი შეხვედრების შესახებ.*
- *როგორ შეიძლება, კვების რაციონზე ზრუნვამ თქმთა შორის კავშირების დაყარებას შეუწყოს ხელი?*
- *რამდენად ეთანხმებით იოგი ბჰაგანს: “თუ არ შეგიძლია ღმერთი დაინახო ყველაფერში, მაშინ საერთოდ ვერ ხედავ ღმერთს.” შეგიძლიათ მსგავსი გამონათქვამები გაიხსენოთ? ისაუბრეთ მეგობართან ამ იდეის შესახებ.*



თავი ოცდამეთერთმეტე

კარდინალი აარონ ჟან-მარი ლუსტიგერი

(1926-2007)

აარონ ლუსტიგერი დაიბადა პარიზში 1926 წელს ებრაელი მშობლების ოჯახში, რომლებიც პოლონეთიდან იყვნენ ემიგრირებულნი. როდესაც II მსოფლიო ომი დაიწყო, ოჯახი ორღეანში გაიქცა. ბიბლიის წაკითხვის შემდეგ მოზარდ ლუსტიგერს ძალიან იზიდავდა ეკლესია, ორღეანის კათედრალური ტაძარი. მშობლების ჩუმი უკმაყოფილების მიუხედავად, ლუსტიგერმა გადაწყვიტა, მიეღო კათოლიციზმი და თავისი ნათლობის სახელს ჟან-მარი მიუმატა.

ლუსტიგერის დედა გიზელა დაბრუნდა პარიზში, რათა მათი ოჯახური საქმე – მაღაზია არ დახურულიყო. იგი დააპატიმრეს სხვა პარიზელ ებრაელებთან ერთად ნაცისტების მიერ განხორციელებული მასო-

ბრივი დაპატიმრებების დროს 1942 წელს. გიზელა ლუსტიგერი გარდაიცვალა აუშვიცში 1943 წელს. ამასობაში უნ-მარი სემინარიაში სწავლობდა და იქვე იმალებოდა. მოგვიანებით იგი ჩავიდა თავის მამასა და დასთან, რო-მლებიც ომის დასრულებამდე სამხრეთ საფრანგეთში იმალებოდნენ.

ომის შემდეგ ლუსტიგერი გახდა მღვდელი, რამაც მამასთან სრული განხეთქილება გამოიწვია. 1954 წელს, კურთხევის შემდეგ, იგი მსახურობდა კაპელანად სორბონაში, ამის მერე იგი გახდა პარიზის უნივერსიტეტების გენერალური კაპელანი. 1969 წელს ლუსტიგერი მღვდელმსახურებას იწყებს და დიდ აღიარებასაც აღწევს, როგორც გულახდილი, იუმორისა და სხარტი ინტელექტის მქონე მოძღვარი. იგი არჩეული იქნა ორლეანის ეპისკოპოსად და პარიზის არქიეპისკოპოსად. 1983 წელს პაპმა იოანე პავლე II-მ კარდინალთა კოლეგიაში შესვლა შესთავაზა. ლუსტიგერი კონსერვატორად ითვლებოდა – თავს იგი “თანამედროვე ტრადიციონალისტს” უწოდებდა – კარდინალი ლუსტიგერი ახერხებდა კარგი ურთიერთობის შენარჩუნებას იმ ადამიანებთანაც კი, ვისაც პოლიტიკურად სრულებით არ ეთანხმებოდა.

ყველა მხრიდან ისმოდა კრიტიკა მისი წარმომავლობისა და მოწოდების შეუთანხმებლობის გამო. ზოგიერთი ებრაელი, მათ შორის მთავარი (აშკენაზი) რაბინი ისრაელში ბრალს სდებდნენ იმაში, რომ ქრისტიანობის მიღებით ლუსტიგერმა საკუთარ ხალხს უღალატა, თუმცა ფრანგი ებრაელები იცავდნენ მას. ამასობაში ფრანგი კათოლიკეები უკმაყოფილონი იყვნენ მისი არჩევით, რადგან “იგი არ იყო ნამდვილი ფრანგი”, მიუხედავად იმისა, რომ პარიზში დაიბადა.

ფრანგულ საზოგადოებაში ხშირად ადგილი ჰქონდა ანტისემიტისმისა და რასიზმის ძალადობრივ გამოხატულებებს და კარდინალი ლუსტიგერი ძლიერ ოპო-

ნირებას უწევდა ასეთ შეხედულებებს. იგი ილაშქრებდა ქსენოფობიით შეპყრობილი პოლიტიკოსების წინააღმდეგ და ამბობდა, რომ ყველა ადამიანი თანასწორია თავისი ღირსებით, რადგან ისინი ღვთის სახიერებად შეიქმნენ. ამგვარად იცავდა იგი, მაგალითად, იმიგრანტი მუშების უფლებებს.

ლუსტიგერი ორჯერ დაესწრო აუსშიცში დაღუპულთა ხსოვნის აღნიშვნის დღეს. პოლონეთში, ლოძში გამართულ მესაზე სიკვდილის ბანაკებში 200000 განადგურებული ებრაელის ხსოვნისთვის მან წარმოთქვა ასეთი სიტყვები: "ბოროტების ძალას ჩვენ შეგვიძლია ვუპასუხოთ მხოლოდ სიყვარულის გაორმაგებული ძალით". ანტისემიტის მომქალაქების პერიოდში ლუსტიგერმა მონაწილეობა მიიღო საფრანგეთში გამართულ დაღუპულ ებრაელთა ხსოვნის დღეებშიც. იგი შეუერთდა დაღუპულთა სახელების ჩამოთვლის ცერემონიალს და როდესაც მისი დედის სახელი გამოცხადდა, მან აცრემილებულმა თქვა: "ჩემი დედიკო". ასეთმა პირადულმა ფრაზამ საზოგადოებაში დამმუხტავი და გადამღები ეფექტი გამოიწვია.

2003 წელს, როდესაც მუსლიმური თავსაბურავის ტარებასთან დაკავშირებულმა აურზაურმა ზოგადად სტუდენტობაში რელიგიური სიმბოლიკის გამოყენების აკრძალვამდე მიიყვანა დისკუსია, ლუსტიგერი არწმუნებდა მთავრობას, რომ ამგვარი აკრძალვები დაარღვევს იმ მყიფე ბალანსს, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს ხელისუფლებასა და რელიგიას შორის.

კარდინალი ლუსტიგერი ამაცობდა იმით, რომ იყო ებრაელი. იგი თავისუფლად ფლობდა იდიშს და მივიდა სინაგოგაში, რათა წაეკითხა თავისი დედის სახელზე აღვლენილი ებრაელთა გლოვის ლოცვა – კადიში. იგი გრძნობდა, რომ მისი, როგორც ქრისტიანი მღვდლის როლი, ეფუძნებოდა ისრაელის, როგორც ნაციონალური შუქურის გაგებას. მან სტიმული მისცა საფრანგეთის

კათოლიკური ეკლესიის მონაწილას თავისი პასიური პოზიციის გამო, რომელიც მან დაიკავა ჰოლოკოსტის დროს და ასევე ვიშის რეჟიმთან კოლაბორაციონისტული ურთიერთობის დამყარების გამო. იგი მხარს უჭერდა ქრისტიანულ-ებრაული დიალოგის გაღრმავებასა და განვითარებას და ამ საქმისთვის დაჯილდოვდა ქრისტიანულ-ებრაული ურთიერთგაგების ცენტრის მიერ.

იგი გარდაიცვალა 2007 წელს და მისი პანაშვიდი, რომელიც ნოტრ-დამის კათედრალურ ტაძარში გაიმართა, დაიწყო მისი ბიძაშვილის მიერ ნამღერო კალიშით.

კითხვები გააზრებისთვის

- *ბევრ ადამიანს თუ დაეუფიქრდებით, მრავლობითი იდენტობა აქვს არის იდენტობები, რომლებიც გამომდინარეობს იმ როლებიდან, რომელსაც ჩვენს საზოგადოებაში ან ოჯახში ვასრულებთ. ზოგიერთ ადამიანს მულტიეროვნული იდენტობა აქვს არიან ისეთებიც, რომელთა იდენტობა ერთზე მეტი რწმენიდან იგება. რა იდენტობები გაქვთ თქვენ? ჰკითხეთ თქვენს მეგობრებს იგივე და გაუზიარეთ ერთმანეთს.*
- *თქვენი ცხოვრება რომ ისე რადიკალურად შეიცვალოს, როგორც კარდინალ ლუსტიგერისა, შეინარჩუნებდით კარგ ურთიერთობას ძველ წრესთან ისე, როგორც კარდინალი ცვილობდა?*
- *ვის კანდიდატურას შეიტანდით “რელიგიათაშორისი გმირების” შემდეგ გამოცემაში?*



თავი ოცდამეთორმეტე

გრიგოლ ფერაძე

(1899-1942)

წმ. გრიგოლ ფერაძე იყო ქართველი მართლმადიდებელი სასულიერო პირი, თეოლოგი და ფილოლოგი, რომელიც საეკლესიო და სამეცნიერო მოღვაწეობას ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში ეწეოდა. გრიგოლ ფერაძე დაუპირისპირდა საბჭოთა ტოტალიტარიზმსა და გერმანულ ნაციზმს, რასაც შეეწირა კიდევ: გახდა პოლოკოსტის (ებრაელთა გენოციდის) მსხვერპლი. საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამ გრიგოლ ფერაძე წმინდა მოწამედ გამოაცხადა და ხსენების დღედ 6 დეკემბერი, მისი მოწამებრივად აღ-

სრულების დღე, დააწესა. მას წმინდანად პოლონეთში არა მარტო მართლმადიდებლები, არამედ კათოლიკე თეოლოგებიც აღიარებენ და მიიჩნევენ, რომ იგი არის ერთ-ერთი ხიდი დასავლეთისა და აღმოსავლეთის ეკლესიებს შორის.

გრიგოლ ფერაძე მართლმადიდებელი მღვდლის ოჯახში დაიბადა და გაიზარდა; დაამთავრა თბილისის სასულიერო სემინარია და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, წმ. ამბროსი ხელაიას ლოცვა-კურთხევით საღვთისმეტყველო ცოდნის გასაღრმავებლად დასავლეთ ევროპაში გაემგზავრა. გერმანელი მწერლისა და პოლიტიკოსის, არტურ ლაისტის დახმარებით იგი გერმანიაში ჩავიდა, სადაც საუნივერსიტეტო განათლება მიიღო და თეოლოგიის დოქტორის ხარისხი მოიპოვა. რადგან საბჭოთა რეჟიმმა გრიგოლ ფერაძეს სამშობლოში დაბრუნების უფლება არ მისცა, იგი დარჩა ევროპაში; მოღვაწეობდა გერმანიაში, საფრანგეთში, ინგლისსა და პოლონეთში როგორც სამეცნიერო-პედაგოგიურ, ისე საეკლესიო სარბიელზე. 1931 წელს გრიგოლ ფერაძე აღიკვეცა ბერად, ეკურთხა მღვდლად. 1933 წელს იგი ვარშავის უნივერსიტეტის პროფესორად აირჩიეს და ჩააბარეს მართლმადიდებლური ღვთისმეტყველების კათედრა, რომელსაც დაპატიმრებამდე (1942 წლის მაისი) ხელმძღვანელობდა და პარიზის ქართული სამრევლოს წინამძღვრის მოვალეობასაც ასრულებდა.

გრიგოლ ფერაძის ხანმოკლე, მაგრამ ნაყოფიერ მოღვაწეობაში დიდი ადგილი უჭირავს რელიგიურ ნიადაგზე ხალხების დაპირისპირების აღმოფხვრაზე ზრუნვას, რომ სხვადასხვა სარწმუნოების წარმომადგენლები ერთსა და იმავე სოციალურ (სახოგადოებაში) მშვიდობიანად ცხოვრობდნენ და შრომობდნენ. ასეთმა პოზიციამ და მისწრაფებამ გრიგოლ ფერაძე სარწმუნოებათაშორის დიალოგის აუცილებლობის აღიარებამდე მიიყვანა. იგი აქტიურად ჩაერთო ეკუმენურ მოძრაობაში; მონაწილეობდა 1926-1927

წლებში ვენისა და ლოზანის მსოფლიო კონფერენციებში. ლოზანის კონფერენციაზე მან, როგორც საქართველოს ეკლესიის წარმომადგენელმა, სიტყვა წარმოთქვა და სიყვარულის საფუძველზე ქრისტიანული კონფესიების გაერთიანების იდეა განავითარა.

გრიგოლ ფერაძემ დაწერა და გამოაქვეყნა სტატიები აღნიშნული ფორუმების შესახებ, სადაც წერდა: "ერთხელაც იქნება და გაერთიანდებიან სარწმუნოებანი. დადგება დიდებული დღე ჩვენი უფლის მეორედ მოსვლის წინ... ეს სამეცნიერო კვლევის სფერო კი არ არის, არამედ ყოველი ცოცხალი ქრისტიანის მოვალეობაა, ჩვენი უფლის რომელ მრევლსაც არ უნდა ეკუთვნოდეს იგი. ვინც ქრისტეს სასუფეველს სერიოზულად უყურებს, ის დაინახავს, რომ ქრისტიანობის არსი მტრობაში, შურში, ეჭვსა და ავაზაკობაში როდია".

გრიგოლ ფერაძემ ხმა აიმაღლა როგორც საერო, ისე საეკლესიო ნაციონალიზმის წინააღმდეგ. მან გააკრიტიკა საკუთარ ქვეყანაში დამკვიდრებული ტენდენცია, რომლის თანახმად ქართველი ერი და საქართველოს ეკლესია ერთი და იგივეა, რასაც უარყოფითი შედეგი მოაქვს როგორც ეკლესიისათვის, ისე ერისათვის: "ჩვენ არა გვაქვს უფლება, როგორც ქრისტიანებს, სამშობლო გავიხადოთ და დავისვათ კერპად".

გრიგოლ ფერაძემ სიცოცხლე მოწამებრივად ადასრულა ოსვენციმის საკონცენტრაციო ბანაკში. იგი ნებაყოფლობით შევიდა გაზის კამერაში, რათა ერთი მრავალშვილიანი ებრაელი პატიმარი გადაეერჩინა. ამის გამო მისი სახელი ოქროს ასოებითაა ამოკვეთილი როგორც პოლონეთში, ისე ისრაელში.

კითხვები გააზრებისათვის

- წმინდა მღვდელმოწამე გრიგოლ ფერაძე სხვა რწმენის ადამიანთა გვერდით ცხოვრობდა და შრომობდა. შეგიძლიათ, თქვენც ასევე იცხოვროთ და ითანამშრომლოთ განსხვავებული რწმენის პიროვნებებთან?
- შეინიშნება თუ არა ჩვენს სახელმწიფოსა და საზოგადოებაში რელიგიურ და ეროვნულ ნიადაგზე ადამიანის უფლებათა შელახვა და შეგიძლიათ თუ არა, წმ. გრიგოლის მაგალითს მიბაძოთ?
- ეთანხმებით თუ არა გრიგოლ ფერაძეს საეკლესიო ნაციონალიზმის შეფასებაში; რამდენად აქტუალურია ეს პრობლემა დღეს და მოაქვს თუ არა მას უარყოფითი შედეგები როგორც ეკლესიისათვის, ისე სახელმწიფოსათვის?



თავი ოცდამეცამეტე

წმ. მარიამ სკობცოვა

(1891-1945)

“მე ყოველთვის ვიცოდი, – წერდა დედა მარიამი, – რომ ქრისტე ყველა გაუბედურებულ ადამიანსა და საკუთარ თავს შორის ტოლობის ნიშანს სვამდა, მაგრამ ახლა ამ აზრმა არა მხოლოდ გონება, არამედ მთელი ჩემი არსება გამსჭვალა”.

იგი ემიგრანტი იყო საბჭოთა რუსეთიდან და კარგად ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ქრისტიანებისთვის მშვიდი და “კომფორტული” ცხოვრების დრო წარსულს

ჩაბარდა, არც მარტო გრძნობებსა და მაღალ იდეალებზე საუბარი კმაროდა. ამ დასკვნამდე იგი მხოლოდ თეორიული გზით არ მისულა... მიტროპოლიტი ანტონ სუროჟელი, რომელიც ერისკაცობისას პარიზში მედიცინას სწავლობდა, ერთ შემთხვევას იგონებდა დედა მარიამის ცხოვრებიდან: “ერთხელ დედა მარიამი მივიდა რუსი ლტოლვილების დასახლებაში, სადაც ისინი საშინელ პირობებში მუშაობდნენ და ცხოვრობდნენ. იგი მათთვის ლექციების კურსის წაკითხვას აპირებდა დოსტოევსკის ქრისტიანულ მსოფლმხედველობაზე. მაგრამ მან მსმენელთა მხრიდან არცთუ მეგობრული განწყობა იგრძნო. ერთ-ერთმა მათგანმა კი მკვახედ მიახალა მას: “რაში გვჭირდება დოსტოევსკი? მაგას ჯობია, ამ უზარმაზარი იატაკის გასუფთავებაში მოგვეხმარო”. დედა მარიამმა თქვა: “კეთილი, არ გვინდა დოსტოევსკი”, მშვიდად აიღო წყლიანი ქვაბი და იატაკის ფხეკასა და წმენდას შეუდგა. ლტოლვილები გააკვირვებულნი მისჩერებოდნენ მას. მალე იმან, ვინც დედა მარიამს ცოტა ხნის წინ იატაკის მორეცხვისკენ მოუწოდა, ქურთუკი გაიხადა და მიაწოდა: “მოიხურეთ, დედაო, თორემ სულ დასკველით, გაცივდებით”. სამუშაოს დამთავრების შემდეგ იგი ვახშამზე მიიწვიეს და სთხოვეს, დოსტოევსკიზე მოეთხრო”.

თუმცა დედა მარიამი ემიგრანტ თანამემამულეთა შორის საყოველთაო მოწონებით არ სარგებლობდა. მაგალითად, დეკანოზი ალექსანდრე შმემანი აღნიშნავს: “ბევრი მართლმადიდებელი მას უნდობლობით და ეჭვით (დაცინვითაც კი) ეპყრობოდა. ყოფილი ემიგრანტები მიყვებოდნენ, რომ ბევრი მას შეშლილად თვლიდა. ადანაშაულებდნენ მონაზვნური სახის შებღალვაში, რადგან საეჭვო და საზოგადოებისგან გარიყულ ადამიანებთან ურთიერთობას არასოდეს ერიდებოდა. ერთხელ ერთმა გოგომ დედა მარიამს მისი მონაზვნური შესამოსელი სთხოვა. მან სიცილით გაიხადა სამოსი და მისცა. ორივე კმაყოფილი იყო... მაგრამ ამის შემყურეები ამბობდნენ: როგორ შეუძლია ამის გაკეთება!

ვარისეველები მის ამგვარ საქციელს ვერ ინელებდნენ”.

ყოველივე ის, რითიც ცხოვრობდა, სულდგმულობდა და რაზეც წერდა დედა მარიამი, საბოლოო ჯამში ერთ მთავარ საკითხს ეძღვნება: არჩევანის თემას. სასწორის ერთ მხარეს ქრისტეს ჯვარია, მეორე მხარეს კი – ამქვეყნიური კომფორტი, კეთილდღეობა, სულიერი და ფიზიკური უსაფრთხოება. მარიამ სკობცოვამ მძიმე და ცვეცხლოვანი ჯვარი აირჩია. მას მხოლოდ საერო ტანისამოსი არ შეუცვლია მონაზვნური შესამოსელით (ბევრი თანამედროვე ბერისა და მონაზვნის მსგავსად), არამედ რეალურ მორჩილებაში იყო, მაგალითად, ბაზარში მორჩენილი ბოსტნეულით, თევზითა და სხვა საკვებით სავსე მძიმე ტომარა ზურგით მოჰქონდა უმუშევართათვის.

მარიამმა საკუთარი მონაზვნობა ამ ტანჯული სამყაროს დედობად აღიქვა. ეს სიტყვები აბსტრაქტულად ჟღერს და, შესაძლოა, ირონიასაც იწვევს, მაგრამ საქმე მარტივადაა: სანამ შვილები მშვიერები არიან, დედას არ შეუძლია საკვებს გაეკაროს, სანამ შვილები შიშვლები არიან, დედა ვერ შეიმოსება თბილი ტანსაცმლით და როცა შვილები გაზის კამერაში იხოცებიან, დედას არ შეუძლია უგნებელი დარჩეს.

ამგვარი ცხოვრების წესით, ანუ მონაზვნობისთვის მკვეთრად გამოხატული სოციალური ხასიათის მინიჭებით, დედა მარიამმა მიზნად დაისახა, მოეწყო ისეთი სახლი (თავშესაფარი), რომელიც უსახლკაროთათვის იქნებოდა განკუთვნილი. შენობა მან იჯარით აიღო, თუმცა საამისოდ არ გააჩნდა არავითარი თანხა. იგი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ეს ღვთის საქმე იყო და მის ამგვარ შეურყეველ რწმენასაც არ განუცდია მარცხი. თავდაპირველად ეს სახლი ერთობ კეთილმოუწყობელი იყო, მასში არ იდგა არავითარი ავეჯი. მაგრამ დედა მარიამი მაშინვე გადავიდა ამ სახლში საცხოვრებლად, სადაც მას იატაკზე ეძინა. მალე

თავშესაფარი იმდენად გადაივსო, რომ მისთვისაც კი აღარ დარჩა იქ ადგილი.

როდესაც ნაცისტებმა ევროპაში ებრაელებს ყველა უფლება ჩამოართვეს, ამცირებდნენ და საკონცენტრაციო ბანაკში უშვებდნენ, დედა მარიაში მათ საკუთარ თავშესაფარში მალავდა. პარალელურად მან ურთიერთობა დაამყარა ფრანგულ წინააღმდეგობის მოძრაობასთან. იგი შოულობდა ყალბ დოკუმენტებს ებრაელებისთვის და მათ ნეიტრალურ ზონებში აგზავნიდა. ებრაელების დევნა სულ უფრო ძლიერდებოდა. 1942 წლის 15 ივლისის დამეს ებრაელთა მასობრივი დაპატიმრება დაიწყო. ბევრი ებრაელი ამ არაადამიანურ რეპრესიების დროს დაიღუპა ან ფსიქიკურად დაავადდა. დედა მარიაში შეძლო მათთან საკონცენტრაციო ბანაკში შეღწევა. იგი კვებავდა და ანუგეშებდა ბავშვებს.

მისი საქმიანობით დაინტერესდა გესტაპო. 1943 წლის 7 თებერვალს დედა მარიაში პარიზიდან ქალაქგარეთ მოქმედ ფერმაში გავიდა სხვადასხვა პროდუქტების წამოსადგებად. ზუსტად ამ დროს ფაშისტები მის დასაპატიმრებლად შეიჭრნენ თავშესაფარში. გულმოდგინე ჩხრეკის შემდეგ მონაზონი ვერ იპოვეს, ამიტომ მისი 20 წლის შვილი, იური, დააპატიმრეს, მოგვიანებით კი – მღვდელი დიმიტრი კლეპენინიც. ფაშისტებმა პირობა დადეს, რომ ყმაწვილს გამოუშვებდნენ, თუ დედა მარიაში თავისი ფეხით მივიდოდა მათთან. დედა მარიაში დაუყოვნებლივ გამოცხადდა, მაგრამ გესტაპოელებმა, ჩვეულებისამებრ, სიტყვა გატყვეს და დედა-შვილი ტყვედ დაიტოვეს. იური და მღვდელი დიმიტრი ერთად გააგზავნეს კომპენიეს საკონცენტრაციო ბანაკში.


დედა მარიაში რავენსბრუკის ბანაკში გაამწყესეს. აქ მან უფრო გააღრმავა თავისი ქრისტიანული ღვაწლი. იგი თავისი რწმენით, თანაგრძნობითა და სხარტი აზროვნებით უამრავ ადამიანს ეხმარებოდა მორალურად

და ფსიქოლოგიურად.

შემორჩენილია ერთ-ერთი პატიმრის, ს. ნოსოვიჩის საუბარი მარიამ სკობცოვასთან: “ერთხელ ვუთხარი, რომ არათუ არაფრის შეგრძნება აღარ შემიძლო, არამედ თავად აზრიც კი მეყინებოდა...”. დედა მარიამმა კი გადაჭრით მითხრა: “არა, არა! პირიქით, განუწყვეტლივ იფიქრეთ. ეჭვებთან ბრძოლის კვალდაკვალ იფიქრეთ უფრო ფართოდ და ღრმად; დაბლა ნუ დაუშვებთ თქვენს აზროვნებას, მიწიერ ჩარჩოებსა და პირობითობაზე მაღლა დადექით გონებით...”

მეორე მსოფლიო ომის ბოლო დღეებში ფაშისტების ტყვეების განადგურებას ჩქარობდნენ. ამ დროისთვის დედა მარიამს უკვე აღარ შეეძლო ადგომა და მიწაზე იწვა. 1945 წლის 31 მარტს იგი გაზის კამერაში წაათრიეს...

2004 წლის 18 იანვარს მსოფლიო საპატრიარქოს წმ. სინოდმა მონაზონი მარიამ სკობცოვა წმინდანად შერაცხა. მასთან ერთად მოხდა მისი შვილის იურის, მღვდელი დიმიტრი კლეპენინის და მათი თანამოსანგრე ილია ფონდამინსკის კანონიზაციაც. ოთხივე მათგანი საკონცენტრაციო ბანაკში დაიღუპა.



თავი ოცდამეთოთხმეტე

მერაბ მამარდაშვილი

(1930-1990)

ფილოსოფოს მერაბ მამარდაშვილს ინტელექტუალურ წრეებში ”ქართველ სოკრატედ“ მოიხსენიებდნენ. იგი გორში დაიბადა, უმაღლესი განათლება რუსეთში მიიღო. რამდენიმე წლის განმავლობაში ჩეხოსლოვაკიაშიც ეწეოდა აკადემიურ საქმიანობას. მუშაობდა ფილოსოფიის სამეცნიერო ჟურნალებსა და კვლევით ინსტიტუტებში. სულ მალე საბჭოთა ხელისუფლებამ ახალგაზრდა ფილოსოფოსის ნააზრევში ანტისაბჭოური ტენდენციები შენიშნა და მისთვის მერაბ მამარდაშვილი სახიფათო პერსონად იქცა.

ფილოსოფოსი მოსკოვში ყველა სამსახურიდან დაითხოვეს, ჩამოართვეს ლექციების კითხვის შესაძლებლობა და იმპერიის საზღვრების დატოვება აუკრძალეს. 1980 წელს ფილოსოფოსების მფარველის, ნიკო ჭავჭავაძის წყალობით იგი საქართველოში დაბრუნდა, იყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის განყოფილების გამგე და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი. “პერესტროიკის” შემდეგ ლექციების წაკითხვის შესაძლებლობა მიეცა გერმანიაში, საფრანგეთში, აშშ-ში და სხვა ქვეყნებში. განიცდიდა განმანათლებლობის ფილოსოფიური ტრადიციის, განსაკუთრებით, ემანუელ კანტის გავლენას. მუშაობდა აღქმის რაციონალისტურ თეორიაზე.

უნივერსიტეტში მის მიერ წაკითხული ფილოსოფიის კურსი საჯარო ლექციებად იქცა, თვითონ კი ახალგაზრდების საყვარელი ფილოსოფოსი გახდა. ლექციაზე შესულს არა მხოლოდ ფეხზე ადგომით, ტაშით ეგებებოდნენ. მსმენელებით გადატყედილი აუდიტორიის მაგიდაზე უამრავი დიქტოფონი იდო. ამ ჩანაწერებს ლექციის შემდეგ უსმენდნენ, შიფრავდნენ, აკონსპექტებდნენ. მისი ლექციები არ თავსდებოდა ტრადიციული საუნივერსიტეტო კურსის ჩარჩოებში, ეს იყო ფილოსოფიური იმპროვიზაცია ან ფილოსოფიურად იმპროვიზებული ძეგლი იმისა, თუ რა არის თავისუფალი აზროვნება და აზროვნებით მოპოვებული თავისუფლება.

მამარდაშვილი აცხადებდა, რომ იგი, როგორც ფილოსოფოსი, კოსმოპოლიტია, რადგან შეუძლებელია არსებობდეს ქართველი, ფრანგი ან რუსი ფილოსოფოსი. როგორც თავად ამბობდა, “ჭეშმარიტებაში ჩავარდნის” დროს ადამიანი არ განისაზღვრება ამა თუ იმ ნაციონალური ან რელიგიური იდენტობით, მაგრამ კითხვაზე, როგორ გადაურჩა ის ტოტალიტარიზმს, საბჭოთა რეპრესიულ მანქანას, მერაბ მამარდაშვილი უპასუხებდა, რომ ამაში მის ქართველობას, ნაციონალური ხასიათის ერთ თავისებურებას – მხიარულებას, ტრაგედიის

მსუბუქად გადატანის უნარს მიუძღვოდა წელიწადი.

80-იანი წლების მიწურულს, როდესაც საბჭოურმა “პერ-ესტროიკამ” ბიძგი მისცა საქართველოში ნაციონალიზ-მის გაძლიერებას, სახალხო ფრონტის ერთ-ერთ შეხ-ვედრაზე მამარდაშვილმა განაცხადა: “მე მზად ვარ, აქტიური მონაწილეობა მივიღო გამათავისუფლებელ მოძრაობაში, რადგან მესმის, რომ ვიდრე დამოუკიდე-ბლობას არ მივაღწევთ, ვერ დავინახავთ, ვერ გავიგებთ ჩვენს თავს, მაგრამ არ შეიძლება არსებობდეს ეროვ-ნული იდეალი, თუ მას კონკრეტული ადამიანის თავისუფლება არ უდევს საფუძვლად.”

მამარდაშვილი მოუწოდებდა ოპონენტებს, გაათავისუ-ფლებულიყვნენ ნაციონალური სტერეოტიპებისაგან, საბჭოური ინერციისაგან, ცრურწმენებისაგან. მაგრამ ნაციონალური ფსიქოზითა და სხვაგვარად მოაზროვ-ნეთა სიძულვილით შეპყრობილ პოლიტიკურ ჯგუფებს არ ესმოდათ მისი ნათქვამი. მამარდაშვილს ჯერ მეტის-მეტ სიფრთხილეში დასდეს ბრალი, შემდეგ – არაპა-ტრიოტობაში. ამ ბრალდებას მან ასე უპასუხა: “ბევრჯერ ვყოფილვარ მოწმე, ძლიერნი ამა სოფლისანი – სახელმწიფოს, ნაციისა და საზოგადოების სახელით – როგორ თრგუნავენ აზროვნებას. სომხების, ოსებისა და აფხაზების ღირსების დაცვა – შენი, ქართველის ღირსების დაცვაა. მე მათთან ვცხოვრობდი და ვცხოვ-რობ, არავის აქვს უფლება, ამით ჩემში ქართველობის გრადუსი გაზომოს.”

მამარდაშვილს სურდა, გონიერი საწყისი შეეგანა ეროვ-ნულ მოძრაობაში. ადამიანს, რომელიც ჯერ საბჭოთა იმპერიაში, შემდეგ კი ლონდონსა და ვენაში, რომსა და ნიუ-იორკში, ერის ღირსებას იცავდა, სამშობლოში ხმის ამოდების ნება არ მისცეს. 1989 წლის ზაფხულში, სახ-ალხო ფრონტის ყრილობაზე, ნაციონალისტ რადი-კალებს განსაკუთრებით არ მოეწონათ მამარდაშვილის შეფარული ბრალდება: ფრონტი კომუნისტური პარტიის

კი არა, “სხვა ძალების“ სათამაშო ხდებოდა. “სხვა ძალებში“ ულტრანაციონალისტები იგულისხმებოდნენ. ამავე ყრილობაზე წარმოთქვა მერაბ მამარდაშვილმა ფრაზა – ჭეშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას! დისიდენტი ფილოსოფოსი სტვენით გააცვიფრეს დარბაზიდან. მაგრამ იგი ჯიუტად იმეორებდა: “თავისუფლება – ესაა, როდესაც ერთის თავისუფლება არ ეღობება მეორის თავისუფლებას და ეს უკანასკნელი აქვს პირობად აღებული”.

“გამოდვიძებულ“ საქართველოში ჩათვალეს, რომ მათი ეროვნული თავისუფლება უფრო მნიშვნელოვანია სხვების უფლებებსა და თავისუფლებებზე. მამარდაშვილის ბოლო მცდელობა, ხმა მიეწვდინა უმრავლესობისთვის, განწირული იყო: “თუკი ჩემი ხალხი აირჩევს ზვიად გამსახურდიას (ულტრანაციონალისტების ლიდერს), მე წავალ ჩემი ხალხის წინააღმდეგ”. ამ გამოსვლის გამო ფილოსოფოსი “პატრიოტულმა“ უმრავლესობამ ერის მოღალატედ, “მტრად“, “სუკის აგენტად“ გამოაცხადა.

აღმოჩნდა, რომ სამყაროს იმ ნაწილში, რომლის გარეშეც თავი ვერ წარმოედგინა, მისთვის მიწიერი სადგური არ არსებობდა. საფრანგეთიდან თბილისში მომავალი 60 წლის მერაბ მამარდაშვილი გზაში, მოსკოვის აეროპორტში გარდაიცვალა.

ამის შემდეგ დრომ და დამოუკიდებელი საქართველოს ტრაგიკულმა ისტორიამ მერაბ მამარდაშვილის პოზიციის სიმართლე დაადასტურა. ნაციონალიზმმა და შეუწყნარებლობამ, ადამიანის პიროვნული თავისუფლების იგნორირებამ საქართველო სამოქალაქო ომსა და ეთნიკურ კონფლიქტებში ჩააბა.



**თავი ოცდამეთხუთმეტე
ქეთევან წამებული**

(1570-1624)

საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იმ წმინდანთა შორის, რომელთა სახელი გასცდა სამშობლოს ფარგლებს, თითქმის მთელი მსოფლიო შემოიარა და საყოველთაო პატივისცემა დაიმსახურა, პირველ ადგილზე წმ. ქეთევანი დგას. ქართულ, ლათინურ და სხვა ენებზე არსებობს მდიდარი აგიოგრაფიული ლიტერატურა, ასევე სიტყვაკაზმული მწერლობისა და სახვითი ხელოვნების ნიმუშები, რომელშიც სრულყოფილადაა ასახული მისი სარწმუნოებრივი დეაწლი და მოწამებრივი აღსასრული.

ქეთევანი იყო კახეთის დედოფალი. ამ სამეფოს იმ დროს მისი შვილი, თეიმურაზი, მართავდა. იგი, ისე, როგორც მისი მამა და პაპა, ირანის ქვეშევრდომი იყო, მაგრამ მან პოლიტიკური კურსი ერთმორწმუნე რუსეთისაკენ აიღო, რაც ირანის მეფეს, შაჰ-აბასს, შეუმჩნეველი არ დარჩენია. მან თეიმურაზს მძევლებად დედა და შვილები მოსთხოვა. ასე რომ, შაჰ-აბასმა ქეთევანი პოლიტიკური მოტივით დაატყვევა და 1614 წელს ირანში, შირაზში, გადაასახლა. თეიმურაზმა რუსეთთან ურთიერთობის გაღრმავებაზე უარი არ თქვა, რამაც შაჰი განარისხა და მან მძევლების დასჯა გადაწყვიტა. ქეთევანს და მის თანმხლებ მართლმადიდებელ მღვდელს ისლამზე გადასვლა მოსთხოვეს. ქართულ წყაროში აღნიშნულია, რომ მღვდელმა ვერ გაუძლო განსაცდელს და ქრისტეს სარწმუნოება უარყო. დედოფალმა კი საკუთარ მრწამსზე მტკიცედ დადგომა გადაწყვიტა და სულიერი ნუგეშისათვის კათოლიკე მღვდლებს მიმართა.

როდესაც ქეთევან დედოფალს მთელი სიმკაცრით მოსთხოვეს, ან გამოიცვალე რჯული, ან კოცონისა და შანთებისათვის მოემზადეო, კახეთის დედოფალმა მეორე გზა აირჩია. მან განსასვენებელი ზიარება კათოლიკე მღვდლის ხელით მიიღო. ამის შემდეგ მას წარმოუდგენელი სისასტიკით ამოხადეს სული. შემონახულია ჩანახატი წარწერით: "ქეთევან დედოფალი მამა ამბროზიო დუშ ანჟუშისთან აღსარებაზე". ქართული წყაროებიც ადასტურებს, რომ წმ. მოწამის გაუპატიოსნებლად დამარხული გვამი "ფრანგმა მღვდლებმა" მოიპარეს და "ერთობ დიდი კრძალულებით წაასვენეს. იგი ჩაასვენეს ძვირფას კუბოში, რომელიც სხვადასხვა და ერთობ კეთილი სურნელებით იყო გაჟღენთილი. მათ ცხედარი საკურთხეველზე დაასვენეს". ამის შემდეგ იგი ავგუსტინელმა ბერებმა დაანაწილეს: თავი და მარჯვენა ფეხი საქართველოში წამოასვენეს და მეფე თეიმურაზს, მოწამის ძეს, გადასცეს; ნაწილი ინდოეთში, გოაში,

წასვენეს, ნაწილი – რომში და დასავლეთ ევროპის სხვა წმინდა ადგილებში.

დედოფლის ტანჯვისა და წამების თვითმხილველმა ბერებმა რომის პაპის წინაშე დასვეს საკითხი, რომ ის კათოლიკური ეკლესიის წმინდანად შერაცხულიყო. წამოიჭრა ასეთი კითხვა: არსებობს თუ არა დოკუმენტი, რომლის თანახმად ქრისტესთვის წამებულმა ქართველმა ქალმა კათოლიკური სარწმუნოება აღიარა და კათოლიკურ ეკლესიას შეუერთდა? ასეთი დოკუმენტი არ აღმოჩნდა და ეს ვერც წმ. მოწამის კათოლიკე მოძღვარმა ამბროზიომ დაადასტურა. შედგა კომისია, რომელმაც ასეთი დასკვნა გამოიტანა: ის ფაქტი, რომ მორწმუნე მართლმადიდებელმა გაჭირვების გამო კათოლიკურ ეკლესიას მიაკითხა და წმ. საიდუმლო კათოლიკე მღვდლისაგან მიიღო, მისი კათოლიკე წმინდანად გამოცხადების საკმარისი საბუთი არ არის.

დედოფალ ქეთევანის სულიერი სიმტკიცისა და კაცთმოყვარეობის შესახებ ცნობები მთელ მსოფლიოში გავრცელდა. განსაკუთრებული ინტერესი გამოიჩინეს ევროპელებმა. ისინი აღფრთოვანებულნი იყვნენ იმ ფაქტით, რომ ქართველმა მოწამემ ეროვნული და რელიგიური კარნაკტილობა დაძლია და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებებს ეზიარა. იგი არ დაეთანხმა იმ მართლმადიდებლებს, რომლებიც კათოლიკურ ეკლესიას მადლისაგან დაცლილად მიიხნეოდნენ და კათოლიკეებთან სარწმუნოებრივ ურთიერთობაზე უარს ამბობდნენ. ამ თვალსაზრისით წმინდა მოწამე ქეთევანი ეკუმენურ პოზიციაზე დგას. ის იმაზე კი არ ოცნებობდა, რომ მართლმადიდებლებსა და კათოლიკეებს შორის მეტი და მეტი განსხვავებები დადასტურებულიყო, არამედ რომისა და აღმოსავლეთის ეკლესიების დაახლოებისათვის, ჩატეხილი ხიდის გამრთელებისათვის იღეწოდა. ასეთ პოზიციას მისი მართლმადიდებლური იდეალებისათვის არაფერი დაუკლია. პირიქით: საკუთარ სარწმუნოებაში იგი კიდევ უფრო განმტკიცდა და გასხ-

იოსნდა.

წმ. ქეთევანის სულიერი მოძღვრის, კათოლიკე მღვდლის, მამა ამბროზიოს მიერ 1640 წელს წარმოთქმულმა სიტყვებმა დასავლეთ ევროპის ქრისტიანები მოხიბლა. სწორედ ამ წელს გადაწვდა რომში უარყოფითად დედოფალ ქეთევანის კათოლიკე წმინდანად გამოცხადების საკითხი, რის გამოც მის სულიერ მამას გული ეტკინა და ეს ტკივილი ასე გამოხატა: ”სავარაუდოდ, დედოფალი ზეცაშია და ღვთის დიდებით ხარობს. მიუხედავად იმისა, რომ ბერძნულ წეს-ჩვეულებას მისდევდა, იგი დიდი სიყვარულით ეკიდებოდა წმ. კათოლიკურ ეკლესიას და ყველა ლათინელს; მხურვალედ უყვარდა ისინი და რითაც შეეძლო, ეხმარებოდა. გარდა ამისა, ჩვენთან იმდენად კარგი ურთიერთობა ჰქონდა, რომ შეუძლებელია, წმ. კათოლიკური ეკლესიის მოწინააღმდეგე ყოფილიყო”. წმ. ქეთევანს მეორე კათოლიკე მოძღვარიც ჰყავდა, პედრო სანტუში, რომელიც ასევე ეხმარებოდა და ანუგეშებდა კახეთის დედოფალს, აზიარებდა მას და ყოველივეს აკეთებდა მისი სულის სიმტკიცისა და მხნეობისათვის.

კითხვები გააზრებისათვის:

- * რა იყო მთავარი მიზეზი იმისა, რომ კახეთის დედოფალმა სარწმუნოების შეცვლაზე უარი თქვა? საქართველოს ისტორია ხომ იცნობს ბევრ ისეთ ქრისტიან მოღვაწეს, რომელთაც სარწმუნოება მხოლოდ ფორმალურად შეიცვალეს?
- * რაზე მეტყველებს და რას გვასწავლის ის ფაქტი, რომ მართლმადიდებელმა მოწამე ქეთევანმა კათოლიკე მოძღვრებთან სულიერ თანაზიარებაზე უარი არ თქვა?
- * თქვენ რომ კათოლიკე იყოთ და მონაწილეობდეთ იმ კომისიაში, რომელმაც ქეთევან წამებულის წმინდანობის საკითხი განიხილა, რა პოზიციას დაიჭერთ?

როგორ გამოვიყენოთ წიგნი?

იმედს ვიტოვებთ, რომ თქვენ არ იქნებით წიგნის მხოლოდ პასიური მკითხველი, რომელიც აიღებს ინფორმაციას და შემდეგ გონებაში ღრმად შეინახავს მას; ჩვენ იმედი გვაქვს, რომ გამოინახავთ ამ წიგნის გამოყენების გზას, როგორც პიროვნული ზრდის საშუალებას და პირადად მიიღებთ მონაწილეობას სხვადასხვა რწმენის ადამიანებს შორის იმედის ხიდების შენებაში. ასე რომ, ჩაუღრმავდით წიგნს, გაეცანით მასში მოთხრობილ ამბებს, გაუზიარეთ წაკითხული თქვენს გარშემო მყოფ ადამიანებს, ასე შეეძლებთ უფრო მშვიდობიანი და ტოლერანტული გარემოს შექმნას.

ინდივიდუალური მოხმარებისათვის

თითოეული გმირის ისტორიის წაკითხვის შემდეგ თქვენ ნახავთ “კითხვებს გააზრებისათვის”. თქვენ შეგიძლიათ გააკეთოთ ჩანაწერები ყველა იმ შეკითხვისა და აზრის შესახებ, რომელიც გაგიჩნდებათ კითხვისას. წარმოიდგინეთ, რომ წაკითხული ისტორიის გმირი თქვენ წინაშეა. რას ეტყობით? რა კითხვებს დასვამდით? რა რჩევას სთხოვდით? რითი გაამხნევებდით ან რა გამოწვევების წინაშე დააყენებდით? ჩაიწერეთ ყველაფერი, რაც კი აზრად მოგივათ. ერთი დღის შემდეგ გადაიკითხეთ თქვენი ჩანაწერები და დააკვირდით, რა ახალ სიღრმეებს დაინახავთ.

კიდევ ერთი რჩევა, ყური დაუგდეთ ყველა ადამიანს, ვისთანაც გაქვთ შეხება ცხოვრების გზაზე. არის ვინმე სხვა სარწმუნოების მიმდევარი თქვენ გარშემო? აღმოაჩინეთ განსხვავებები და მსგავსება თქვენსა და მათ შორის. რა მოგცათ წიგნმა ამ თვალსაზრისით ახალი?

ყველა შემთხვევაში, გახსოვდეთ, გამოცდილების გაზიარება საჩუქარია.

გამოყენება ჯგუფში

წიგნში წარმოდგენილი სხვადასხვა სარწმუნოების გმირები სიფრთხილით და მათი რელიგიური წარმომადგენლობის მიხედვით დაბალანსებულად უნდა იყვნენ შერჩეულნი ეთნიკურად ან რელიგიურად მრავალფეროვან ჯგუფში მუშაობისათვის. მნიშვნელოვანია ჯგუფის ყველა წევრმა თავი კომფორტულად იგრძნოს თავისი აზრის გაზიარებისას.

ჯგუფში შეგიძლიათ გამართოთ დისკუსია, გამოიყენოთ ყოველი ისტორიის ბოლოს წარმოდგენილი შეკითხვები. ასევე მცირე ჯგუფებში მისცეთ გმირები განსახილველად, ან შეადარეთ ისტორიები ერთმანეთს.

თუ ექვთ დამატებით წიგნებს ჯგუფური დისკუსიებისათვის, ეწვიეთ საიტს www.ReadTheSpirit.com, რომელიც დამატებით წყაროებს სთავაზობს მკითხველს.

ჯგუფს შეუძლია აირჩიოს გმირები იმ მიმდევრობით, როგორც არის წიგნში ან მათი დაჯგუფებით შეისწავლოს სხვადასხვა ისტორიული პერიოდები, მაგალითად ძველი დროის გმირები (ნიგუსი, მაიმონიდი, ალ-კამიდი, რუმი, აქბარი და მენდელსონი, ქეთევან წამებული) კოლონიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი გმირები (თაგორი, განდი, გაფარ ხანი, ლესტერი), ჰოლოკოსტის დროინდელი გმირები (ჰილესუმი, ალბანელი მუსლიმები, ბუბერი, ტროკმე, მარიტენი, ფერაძე), ადამიანთა უფლებების დაცვისათვის მებრძოლები (ვილიამსი, დები გრიმკეები, ტურმანი, კინგი, ჰესკელი), გმირები საყოველთაო უფლებებისათვის (მონტეფიორე, ბუბერი, ალი, ალ-სადრი, სუმარტანა, ლუსტიგერი, მამარდაშვილი) და არაძალადობისა და სიყვარული იდეების გამავრცელებლები (ზოლდი, დელ ვასტო, ეიხენბერგი, დე ჩერგე, ხალსა).

განმარტებები

თაბრიზი – ქალაქი ირანის ტერიტორიაზე.

ალბონჰინეზური – ჩრდილო ამირეკელ ინდიელთა ენობრივი ჯგუფი

ემსკომუნიკაცია - იგივე ეკლესიიდან განკვეთა

კვაკერები – რელიგიური თემი, რომელსაც “მეგობრების რელიგიურ საზოგადოებასაც” უწოდებენ. კვაკერები გახსნაკუთრებით აქტიურები იყვნენ სოციალურ საქმიანობასა და ადამიანის უფლებების დაცვაში. ისეთი დიდი საქველმოქმედო ორგანიზაციები, როგორცაა Oxfam, Amnesty International მათი უშუალო მონაწილეობითაა დაარსებული.

აბოლიციონიზმი – (სიტყვიდან abolishment –რაც გაუქმებას ნიშნავს) მოძრაობა ევროპასა და ამერიკაში მონებით ვაჭრობის გაუქმებისათვის

ბრაჰმანი – ინდუიზმის ყველაზე მაღალი წოდების – ვარნის წარმომადგენელი, ქურუმი, ინტელექტუალი. ბრაჰმანის უმთავრესი მოვალეობაა ვედების შესწავლა და ჭეშმარიტების დაუფლება. ამიტომაც სიტყვა “ბრაჰმანი” “სწავლულის” მნიშვნელობითაც იხმარება.

აშრაში - უმწეოთა თავშესაფარი, უნდუისტი მოძღვრის საცხოვრებელი ადგილი.

უპანიშადები – ხანსკრიტზე დაწერილი ინდუიზმის წმიდა წერილი.

გარიყულთა (მიუპარებელთა) კასტა – “დალითები”, აღანიანები, რომლებიც რიტუალურად არაწმინდებად

ითვლებოდნენ და ასრულებდნენ ყველაზე ბინძურ საქმეს.

ჩარლზ ენდრიუსი - 1871-1940, ბრიტანელი ღვთისმსახური, განმანათლებელი, ინდოეთის განმათავისუფლებელ მოძრაობაში მამათმა განდის თანამებრძოლი

ბაპელანი - სასულიერო პირი, რომელიც მოღვაწეობს სეკულარულ ორგანიზაციებში. არსებობს სასწავლებლებში, სამედიცინო დაწესებულებებში და აგრეთვე სამხედრო ნაწილებში

მაკატმა - სანსკრიტზე ნიშნავს „დიდებულ სულს,, ქრისტიანულ ტრადიციაში „წმინდანის,, თანაფარდი პიროვნებაა

ტრაპისტები – კათალიკური ორდენი, ბენედიქტელთა ერთ-ერთი მიმდინარეობა

კუნდალინი იოგა – იოგას ფიზიკურ მედიტაციური დისციპლინა. მას სხვაგვარად “შემეცნების იოგასაც” უწოდებენ, რადგან იგი ეხმარება “კუნდალინის” – ყველა ადამიანში არსებული უსაზღვრო შესაძლებლობების გამოღვივებას.

3HO – სამი **H**, რაც **H**-ით დაწვებული სამი ინგლისური სიტყვის ერთობლიობაა (**Healthy** -ჯანსაღი, **Happy** - ბედნიერი, **Holy** - წმიდა).



© Istituto Luce del 2014

ISBN 978-9935-834-8-1